

30 თალღი ქვეშაპე



შიგოჭური ენდემაზური

ՅՈՒԹԱԾՈՅ ԺԵՆԵՐԱԲԵ

ՇՈՅՉՈՎՈՐՈ  
ԿԱԼԹԱԵՎՈՐՈ

(ՈՅՏՈՅՈՂՈՑՈՅԱ)



ԹՅՈԼՈՍՈ

2011

ჩანჩქერებიდან დაბლა, ვიწრო ჭალებში, ლოდებზე მორბე-ნალი მდინარის კალმახისადმი სიყვარულმა და გადაშენებული ორაგულის „ნოსტალგიამ“ შექმნა წინამდებარე წიგნი. მისმა ავ-ტორმა პირველად ფეხშიშველმა, ფერად კენჭებზე გავლით შეი-გრძნო სამშობლოს სიყვარული. შეიგრძნო ნემსკავზე და ბადეში მოფართხალე კალმახის როკვით და არა დენით დახოცილი, გუ-ლალმა წყალწალებული თევზის დაჭერით.

საყოველთაოდ არის აღიარებული მდინარის კეკლუცი კალ-მახი და ორბუნებოვანი, „ორად რგული“ ორაგული. მათი უფხო ხორცი ხასიათდება მაღალი ცხიმიანობით, შესანიშნავი გემოთი, კარგი ყუათიანობით და სამკურნალო თვისებებით. სწორედ ამ თვისებების გამოა, რომ ესოდენ დიდი ყურადღება ეთმობა კალ-მახისა და ორაგულის მეცნიერულ კვლევას და მოშენებას.

წინამდებარე წიგნში განხილულია მტკვრის აუზის მთის მდი-ნარების ბინადარი ძირითადი სახეობის თევზები და მათი მოპ-ოვების ხერხები, რაც ვფიქრობთ საინტერესო იქნება ბუნების მოყვარულ მეთევზე-მონადირეთა წრისთვის.

რედაქტორი და რეცენზენტი: ეკოლოგიურ მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი,  
ბიოლოგიურ მეცნიერებათა  
დოქტორი ვენერა სტეფანიშვილი

მხატვარი: კონსტანტინე ვარშანიძე

ISBN 978-9941-0-3332-2

© ვიტალი ქენქაძე, 2011

ნიგნი ეძლვნება უდროოდ დაღუპულ ქსნის ხეობელ  
გოჩა ტატუნაშვილის ხსოვნას





წიგნი გამოიცა ბელგიაში მოღვაწე ქველმოქმედ გელა გვრიტიშვილის  
დაფინანსებით, რისთვისაც ულრმეს მადლობას ვუხდით  
ხეობადაკარგული თანამემამულე ქსნელები.

## სარჩევი

წინასიტყვაობა .....	6
პირველყოფიდან .....	9
ანკესით თევზაობა .....	25
ანკესით თევზჭერის დრო და ადგილი: .....	29
თევზის მოსატყუებელი .....	33
ბადით თევზაობა .....	39
სათევზაო ბადეების რელიგიური მნიშვნელობა .....	43
ხელაობა.....	44
ოჩინი .....	45
ფშებში თევზაობა.....	50
თოვლით თევზობა.....	55
გოდრით ანუ პირქცეულით თევზაობა.....	56
ფაცრის ჩადგმა .....	57
ჩანგლით, ბარჯით და კავით თევზაობა .....	58
წყლის მონამვლით თევზის დაჭერა.....	62
თევზის მორფოლოგია.....	62
მდინარის კალმახი.....	65
ტბის კალმახი .....	72
ცისარტყელა კალმახი .....	72
კალმახის ეტიმოლოგია .....	76
ორაგული .....	77
ორაგულის ეტიმლოგია .....	84
მურნა .....	85
მტკვრის წვერა (დედალი მურნა) .....	86
ფიჩხული (კაპოეტი, ცოცხალი, ხრამული, ლურჯა) .....	87
ჭანარი .....	89
გველანა (მკბენარა) .....	91
მტკვრის ციმორი (ფეტვია, ლომლომა, ჩოჩია) .....	92
აღმოსავლური ფრიტა-ნაფოტა.....	93
მტკვრის გოჭალა (ჩხირა) .....	94
კავკასიური მდინარის ღორჯო, ლვანა .....	95
მტკვრის თაღლითა .....	96
თევზების მიგრაცია .....	98
თევზების ზრუნვა შთამომავლობაზე .....	100
თევზის მტრები.....	102
თევზეული და მისი როლი კვების რაციონში.....	105
ტექსტში ნახმარი ტერმინების განმარტება .....	114

„მუნიციპალიტეტის და ხელი მუნიციპალიტეტი კუთხი.“

## 6000-ის იურიდიკური კონკრეტული შემთხვევა

დასაბამიდანვე ბრძოლა არსებობისათვის ადამიანის ცხოვრების უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა. როგორც წინარე ისტორიულ ხანაში ისე ისტორიულში არსებობისათვის ბრძოლა გულისხმობდა უბირველესად საკვების მოპოვებას და შემდგომ თავდაცვას. სწორედ ნეანდერტალელ, მოაზროვნე ადამიანს გამოკვების ინსტიქტმა ააღმინა ხელში ჯოხი, ქვა. მოაპოვებინა ცეცხლი, რითაც დაიწყო საკვების მომზადება და მოგვიანებით ლითონის გამოდნობა. შემდგომ კვებითი რესურსების მეტი და მეტი მოთხოვნილების გაჩენამ, უზრუნველი, გაბატონებული ცხოვრების სურვილმა წარმოშვერი ტომოპრივი შუღლი და მტრობა. პირდაპირ რომ ვთქვათ, საკვების მოპოვების მიზანი შეიქმნა მიზეზი ომების დაწყებისა.

ჯერ კიდევ უძველეს დროიდან ქართველთა მითოლოგიაში აისახა ადამიანთა წარმოდგენები ცხოველთა სამყაროზე, ციურ სხეულებზე, ბუნების კანონზომიერებაზე. იმ დროიდან მოყოლებული ცოცხლობს ქართველთა ცნობიერებაში ნადირთა მფარველი ლვთაებანი დალი და ოჩობინტრე. ისევ ადამიანთა საკეთილდღეოდ ბუნებას დაცვა სჭირდებოდა. თავისი საქციელის მსჯავრდასადებად შექმნა ხალხმა ამ ლვთაებათა სახელები.

თუ რაოდენ შეგნებული ჰქონდა ქართველ კაცს ბუნების დაცვის აუცილებლობა იქიდანაც ჩანს, რომ 1078 წლის სიგელში მოხსენიებული არიან „ტყის მცველთა უხუცესი“. მცველნი იხსენიება მე-14 საუკუნის „ხელმწიფის კარის გარიგებაში“, მე-18 საუკუნის „დასტურ ლამაში“. ვახტანგ VI-ის კანონთა წიგნში გათვალისწინებულია საძოვრების, წყლებისა და სხვათა დაცვა. იოანე ბაგრატიონის სჯულდებაში წერია: „აგრეთვე იყოს სანადიროთა, ტყეთა და მდინარეთა უფროსი კაცი“.

ჩვენი შორეული წინაპრების ცხოვრებაში თევზეულის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს უძველესი ქრისტიანული, ორიათასწორი სიმბოლოები — თევზი და ხომალდი. ხომალდი სიმბოლურად აღნიშნავს ამ ცხოვრების მღელვარე ზღვაში წყნარი ნაგავაყუდელისაკენ მავალეკლესიას.

ბერძნულად თევზი არის ichthys, (იხთუს) რომლის პირველი ასოები შეადგენენ გამოთქმას „იქსო ქრისტე ძე ღმრთისა, მაცხოვარი“. („ისუს ხრისტუს თეუს ჰუიოს სოტერ“).

საგულისხმოა თევზის შუბლის ერთ-ერთი ძვლის მსგავსება ჯვართან, რაც წინაპართა თქმით ასოცირდება ქრისტიანობასთან. „იხთუს“-



იდან უნდა მომდინარეობდეს აგრეთვე თევზების შემსწავლელი დარგის „იქტიოლოგის“ სახელი, რომელიც არის ბიოლოგიასთან გაერთიანებულ ზოოლოგიის ნაწილი.

ახალი თევზის ნედლად გამოყენებასთან ერთად ჩვენში ამზადებდნენ დამარილებულ, გამომშრალ თევზს ანუ დოშს. ამზადებდნენ შებოლილსაც. განსაკუთრებით საუკეთესო კალორიულ თევზეულად ითვლებოდა ხიზილალა, ზურგიელი (დამარილებული და მზეზე გამშრალი ორაგულის, ზუთხის და სხვა თევზის ზურგის ანაჭერი). ლორი და შაშხი, ნელა — რომელიც მზადდება თევზის გრძელ, გამხმარ ნელები-საგან. გარდა ამისა თევზისგან ამზადებდნენ გემრიელ კონსერვებს და მუჟუს, საჭმელ და ტექნიკურ ცხიმს. გამოყენებდნენ თევზის ბუშტს და ზურგის სიმს. ყოველივე ამის საშუალებას იძლეოდა და იძლევა როგორც შავი ისე კასპიის ზღვის ბინადარი ტარდანი და სხვა ბევრი ჯიშის თევზი. მაგალითად, კაპარჭინა თევზის ცხიმიანობა შემოდგომით 8,7%, სქელშუბლასი კი 23,5%-ია რაც საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ მათი ნარჩენები სასურსათო და ტექნიკური ცხიმის, ნებოს და ფქვილის დასამზადებლად.

კასპიის ზღვის ბინადარი თეთრულას თევზის ქერცლისგან აკეთებენ ხელოვნურ მარგალიტს. გარდა ამისა, საუკუნეების იქით კატაკლიზმებისა და სანესტვეულებო რიტუალებისას მიცვალებულთა სამარხებში დამარხული და შემდგომ არქეოლოგთა მიერ ნაპოვნ თევზების ზეთისგან ჩვენი ფარმაცევტები ამზადებენ ანტისეპტიკურ, ანთების სანინაალმდეგო თვისებების მქონე „იქთიოლის მაღამოს“.

ადამიანებისათვის დიდი სიკეთისა და კეთილდღეობის მოტანა შეუძლია გამბუზის ჯიშის თევზს, რომელიც იტალიიდან საქართველოში 1924 წელს შემოყვანა ექმდება რუხაძემ. აღნიშვნული თევზი მასობრივად ანადგურებს მაღარის გადამტან კოლოს მატლებს, რითაც თავის დროზე დიდად შეუწყო ხელი დას. საქართველოში მაღარის მოსპობას.

ჩვენი სათევზე მეურნეობისათვის დიდი სიკეთის მომტანია ციმბირიდან საქართველოში 1962 წელს აკლიმატიზირებული „ამურის თეთრი“. იგი გამოიყენება როგორც საკვებად ასევე წყალსატევების და ხელოვნური არხების მცენარეულობისაგან გასაწმენდად.

დღეს წარმოუდგენლად დიდია ჩვენს ცხოვრებაში თევზის როლი და მისი ეკონომიკური მნიშვნელობა. არც გასულ საუკუნეებში იყო უმნიშვნელო და ანგარიშგაუნეველი. საკმარისია აღნიშნოს, რომ მსოფლიო ბაზარზე ყოველწლიურად 17 მილიონი ტონა თევზის ხორცი გამოიდის. სარენაო თევზებს შორის უმთავრესია ქაშაყისნაირნი, ორაგულისნაირ-

ნი, კოპრისნაირნი, ზუთხისა და ვირთევზასნაირნი და სხვა. ყველაზე მეტი რაოდენობით მზადდება ქაშაყისნაირნი. დიდი ღირებულება აქვს ორაგულისხაირებს. მათ შორის ძვირფას ხორცს იძლევა კალმახი, ორაგული, სიგა, თევზთეთრა (ბელუგა).

საბჭოთა კაცშირის არსებობის პერიოდში ძირითად თევზმეურნეობის რაიონებს წარმოადგენდნენ 1. კასპიის ზღვის რაიონი, იძლეოდა მთელ კავშირში დამზადებული თევზის დაახლოებით 30%-ს. 2. აზოვი — შავი ზღვის რაიონი, მისი ხვედრითი წონა დაახლოებით 15%-ს.

საქართველოში აღრიცხულია 25075 დიდი და პატარა მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე 8 ათასი კილომეტრია, აქედან დიდი ნაწილი კასპიის ზღვის აუზს ჩაუდის დედამდინარის — მტკვრის ეშხიანი ღელვითა და დუდუნით. წინამდებარე წიგნშიც ამ აუზის მდინარეთა მაგალითზეა განხილული იქ ბინადართაგან 12 სახეობის წამყვანი თევზის ჯიში, რომლებიც ბუნების უმშვენიერეს კალმახთან ერთად, საქართველოს მტკნარ წყლებში გავრცელებულ 80-ზე მეტ სახეობის თევზებიდანაა ამორჩეული და სილამაზესთან ერთად დიდ სიცხოველეს ანიჭებს ჩვენი სამშობლოს მთისა და ბარის მდინარეებს.

### მტკვრის უმთავრესი შენაკადების ძირითადი ჰიდროგრაფიული მონაცემები

მდინარე	რას ერთვის	მდინარის სიგრძე კმ-ში	აუზის ფართობი კვ კმ-ში	აუზის საშუალო სიმაღლე მ-ით	ვარდნა მეტრებით
ბორჯომულა დას. ფრონე აღმ. ფრონე ძაბა	მტკვარს სურამულას მტკვარს —	19 48 50 28	165 398 252 342	1800 960 1040 1430	1737 1175 1096 1489
დიდი ლიახვი პატარა ლიახვი მეჯუდა	დიდ ლიახვს — —	115 73 54	2311 468 656	1590 1815 1040	2450 2248 1468
ტანა თეძამი ლიხურა ქსანი არაგვი ქცია-ხრამი იორი	მტკვარს — — — — — — მინგეჩაურის წყალსაცავი	46 63 53 84 112 201 320 351	380 394 289 885 2740 8340 4650 16920	1400 1460 1070 1470 1600 — 840* 940	1424 1541 1506 2447 2681 2162 2752 2741ს
ალაზანი					

**პირველ ყოფიდანვე** ადამიანისთვის ერთადერთ საარსებო წყაროს ბუნება წარმოადგენდა, მატერიალურ თუ სულიერ საზრდოს იგი გარე სამყაროსგან იღებდა.

უდავოა, რომ პირველი „ნანადირევი“ ადამიანმა რომელიმე მტაცებლისგან თავდაცვისას მისი მოკვლით მოიპოვა და ამავდროულად საკვებადაც გამოიყენა. ფაუნის დიდ და პატარა მხე-ცების შემდეგ ფრინველებამდე, ადამიანმა წყლის ბინადარ გემრიელ თევზთა სახეობებს მიაკვლია. წყალდიდობები, მდინარეთა კალაპოტების შეცვლა, ტოტების გადავარდნა, შემოდგომით წყაროებსა და ფშებში თევზის ქვირითობა ცხადია არ გამოეპარებოდა შიმშილით აფორიაქებულ ადამიანს და იგი თანდათანობით ითვისებდა გონების განვითარებისათვის საჭირო ყუათიან თევზეულის მოპოვების ხერხებს და საშუალებებს.

ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული პირობები:<sup>1</sup> შავი ზღვა, ტბები-სა და მდინარეების სიუხვე ხელს უწყობდა მეთევზეობის განვითარებას და მის ერთ-ერთ უძველეს დარგად ჩამოყალიბებას, რის შესახებაც მოგვითხრობენ ისტორიული წყაროები. ძვ. ბერძენი ისტორიკოსის სტრაბონის ცნობით (I ს. ძვ.წ.) შავი ზღვისპირეთში მოსახლე ქართველური ტომების სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთ დარგს მეთევზეობა შეადგენდა.

რაოდენ მოსაწყენი და უფერული იქნებოდა ქართველ მეფეთა ცხოვრება, ნადირობა და ნადიმობა თევზის გარეშე. ისტორიული წყაროებით ირკვევა, რომ მეფე-დიდებულები ნადირობის-გან განსხვავებით ნაკლებად იღებდნენ მონაწილეობას თევზის ჭერაში, უფრო მეტად მათ თავიანთი მებადურეები და მათი უხუცესი მეკონები ჰყავდათ დარგის გამრიგებად.

შემონახულია წყალობის წიგნი საქართველოს პატრიარქის ანტონ II-ისა ზაზა სოლოლაშვილისადმი მცხეთის მეკონეთუხუცესობის დანიშვნაზე.

„ქ. ყოვლისა საქართველოს პატრიარქისა, მეფის ირაკლის ძის, ანტონის კეთილად სახსოვარო სოლოლაშვილო ზაზავ.

მერე რადგან ჩვენი ნამსახური იყავ და მრავალ რიგად თავდადებული, ამისთვის ჩვენც წყალობა გიყავით — მცხეთის მე-

1. ჩვენში, როგორც მთაგორიან ქვეყანაში მთის წილი ბევრად მეტია. ტერიტორიის საშუალო სიმაღლე 1300 მეტრს აღწევს. ტერიტორიის მხოლოდ 17% განლაგებულია 600-დან — 1000 მეტრამდე, ხოლო ნახევარზე მეტი კი 1000-3000 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

კონეთ-უზუცესობა; რომ შენთან სადაოთ ხელი არავისა აქვს. შენ მიხვიდოდე და თავს დაადგებოდეს და კონსა ისე ჩაადგ-მევინებდე. და რომელიც შენი განწესება იყოს იმას აიღებდე და ჩვენს საქმეზე ბეჯითად მაიქცეოდე.

ნოემბერსა 3, წელსა ჩრდშ (1788წ. 6 დეკემბერი)<sup>2</sup>

მეფეთა ცხოვრებაში ჩახედული კაცისთვის ძნელი წარმო-სადგენია სუფრასთან მჯდარი „ზაქიჭამია“ — გიორგი XII, რომ-ლის წინ არ ყოფილიყო თევზეულით დამძიმებული ფიცარნაგი. ცხონებულს განსაკუთრებით „გელაქნური“<sup>3</sup> ყვარებია.

ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი, თავის უზარმაზარ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში ბევრ საინტერესო ცნობას გვაწვდის საქა-რთველოს ფლორასა და ფაუნაზე, ბუნებრივ სიმდიდრეებზე. აღწერს როგორც დიდ მდინარეებს ასევე ზღვის დონიდან მაღალ მთათაშორის დაკიდებულ, მომცრო მდინარეებს და ხევებს. იძლევა მათ დახასიათებებს. აღწერს გავრცელებულ ნადირ-ფრ-ინველს და მდინარეებში არსებულ თევზთა სახეობებს. სამეფოს აღწერაში კვითხულობთ:

„ეუალად მდინარეები მრავალნი და წყარონი დიდ-დიდნი, ცივნი. გემოიანნი და შემრგონი, და მკურნალნი სენთანი, და ტბანი დიდნი და მცირენი, არამედ ვიეთნი თევზითა ტკბილითა სავსენი და ვიეთნი უხმარნი.

ხოლო წყალთა შინა თევზნი არიან: ორაგული, ზუთხი, ანდა-კია, გოჭა, ჭანარი, ლოქო,<sup>4</sup> კაპოეტი, კარჩანა, მწერი, კალმახი, ფიჩხული, და წვრილი თევზნი მრავალნი და სხუანიც<sup>5</sup>“.

ვახუშტი ქართლის ცალკეული მდინარეების დახასიათები-სას საუბრობს მათში თევზის სხვადასხვა სახეობის არსებობა-არარსებობაზე. განიხილავს მდინარეთა ტოპონიმებს, მათზე მოწყობილ სარწყავ სისტემებს. მეცნიერს აღწერისას თევზებში პირველი ორაგული და ზუთხი უწერია, ხოლო ბუნების მართ-

2. ქართული სამართლის ძეგლები ტ. III თბ. 1970. გვ. 975.

3. „გელაქნური“ — ერთი გაგებით ნიშნავს სევანის ტბის კალმახს ანუ იშხანს, მეორე გაგებით კი ფშავსა და მთიულეთში მდინარის კალმახს გელაქნურსაც ეძახდნენ.

4. ლოქო არს სომხური, ხოლო ქართულად ენოდების ლლავი (დავით რეკტორი)

5. ვ. ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ქართ. ცხოვრება ტ. IV. თბ. 1973. გვ. 43

ლაც საოცრება, ულამაზესი და უგემრიელესი — კალმახი მე-10 ადგილზე თითქმის ბოლოს ყავს დაყენებული.

გამორჩეულად, ქართველი ბატონიშვილისგან, გერმანელ მკვლევარს და მეცნიერს იოჰან ანტონ გიულდენშტედტს საქართველოში, კერძოდ ქსნის ხეობაში მოგზაურობისას მთის წყლების დამამშვენებელი წითელვარსკვლავებიანი კალმახი ყურადღების ცენტრში მოუქცევია, მოსწონებია და სათანადო ჩანანერიც გაუკეთებია „რაპორტში“, რომელიც 1772 წლის ზაფხულში გაუგზავნია პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისთვის, ჩანანერში ვკითხულობთ:

„ზემო ქსნიდან მე მივიღე *Salmo fario* — კალმახი და *Cuprinus gobius* (ციმორი ვ.ქ.) მონადირებმა მომიტანეს *Hirundo apus* და *Motocilla phoenicurus*. აქ თევზაობები პატარა ერთი საჟენი<sup>6</sup> სიგრძისა და სიგანის ბადით, რომელსაც ამძიმებს დაკიდული ლითონი<sup>7</sup>.“

ქართლ-კახეთის სამეფოს საპატიო სტუმარს, გერმანელ ნატურალისტს, მეცნიერ-მკვლევარს, მედიცინის დოქტორს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს ი. გიულდენშტედტს, რომელიც დიდი პატივით მიიღო საქართველოს მეფემ ერეკლე II და ასევე დიდი პატივისცემით მიიწვია ახალგორში „საქართველოს ყველაზე მძლავრმა მაგნატმა“, იმხანად ავადმყოფმა დავით ქსნის ერისთავმა, ცხადია, არაფერი მოაკლდებოდა. მის საამებლად (ჩანს ქსნის ერისთავის მითითებით.) ზემო ქსნიდან მიართვეს ყველაზე უგემრიელესი თევზი — კალმახი და ციმორი. მაგრამ არ იხსენიება ასევე თავისი გემოთი ცნობილი ორაგული. უთუოდ ორაგულს ლარგვისშიც დაიჭერდნენ და განსხვავება არ ექნებოდა ქარჩოს ანუ „ზემო ქსნურ“ ორაგულთან. კალმახი კი უდავოა, რომ როგორც ახლა ისე 240 წლის წინათაც გემოთი და ფერით განსხვავებული იქნებოდა ქვემო ქსნურისაგან.

მეცნიერის მიერ თქმულ „ზემო ქსნიდან მე მივიღე...“ ე. ი. ვგულისხმობთ ქარჩოხიდან... რატომ ქარჩოხიდან?! მაშ საიდ-

6. რუსული ზომის ერთეული, უდრის 3 არშინს; 2, 134 მეტრია, იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოლებამდე (ერთი არშინი უდრის დაახლოებით 71 სმ-ს)

7. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში თბ. 1962. გვ 97. ტ. I.

ან? ზემო ქსნურში ცხრაზმის ხეობა არ უნდა იგულისხმებოდეს, უამურის ხეობაში კი ციმორი არც შედის და არც მრავლდება. ქსანთან ლომისის ხევის შესართავის ზევით ვიდრე გორგამდე ერთპიროვნულად ლიდერობს მხოლოდ კალმახი. გამოდის, რომ გიულდენშტედტის ექსპედიციას ქარჩოხელმა მეთევზებმა საჩუქრად მიართვეს უგემრიელესი შავი კალმახი და ციმორი.

აქ უინტერესო არ იქნება შიდა ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მდინარის ქსნის ტოპონიმი, რამეთუ წინამდებარე წიგნის ოემატიკა დაკავშირებულია მდინარე მტკვართან და მის მარცხენა შენაკადებთან ქსნათან, არაგვთან და ლიახვთან.

მდ. ქსანი ზღვის დონიდან 2921 მეტრის სიმაღლეზე „ნეფისკალოს“ მთებში არსებულ ზურმუხტისფერ, კამკამა ყელის ტბიდან იღებს სათავეს. ჩანჩქერებად დაკიდებული, უანგბადით მდიდარი მთის ცივი წყალი ნასოფლარ გორგას წინ ღორღიანებში კლდეებს ეხეთქება და „ცეცხლწაკიდებული“ კალმახით გალამაზებული, სწრაფი დინებით, დუქმორეული 84 კმ-ს სიგრძის თავისივე გაჭრილ კალაპოტში, სამხრეთით, მტკვრისკენ მიედინება და სოფ. ქსანთან ერთვის დედამდინარეს. იქვე მახლობლად, მაღალ მთაზე ამაყად დგას ისტორიული ციხე-სიმაგრე, რომელსაც ხალხი ერთდროულად ქსნის, მტკვრის, მტკვრის ციხესაც ეძახის. გადმოცემის თანახმად ამ ციხეს კონსტანტინელაბადის სახელითაც მოიხსენიებენ, რაზეც მოგვიანებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

ქსნის სახელწოდება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე გაურკვეველია. არსებობს მეცნიერ-მკვლევართა ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები. მათგან უფრო სანდო ვახუშტი ბატონიშვილი მიგვაჩნია. თავის ცნობილ აღნერაში ის შემდგნაირ განმარტებას იძლევა:

„ხოლო მდინარემან ქსანმან მოიგო სახელი ესრეთ, რამეთი მდინარე ეს არს სხუათა მდინარეთა ერთი ქსანი და არს სარგებლიანი მდინარე თევზიანი“<sup>8</sup>. ხოლო რაც შეეხება ძველ ქართულ ენაში შესულ ჰიდრონიმ „ქსანს“ იხმარებოდა ველურის, გარეულის მნიშვნელობით<sup>9</sup>.

8. ქართლის ცხოვრება, ტ. IV. გვ. 352, თბ. 1973.

9. ვ. ლუნაშვილი „ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია“. თბ. 2005. გვ. 3

ქსანი იხსენიება საკმევლის, ნიგვზის და ერბოს საწონად<sup>10</sup>. საბას ლექსიკონში ქსანი თუხტი და თუხტის ნაოთხალია (იხ. ს. ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“ თბ. 1993. გვ. 234) ქსანს აქვს თუ არა რაიმე კავშირი სომხურ „ქსანიკასთან“, რაც ნიშნავს პატარა პარკს, ქისას, ჯერ გამოსარკვევია.

მკვლევარ ვ. სიდამონიძის განმარტებით — დღესაც გურიაში ქსანი უდრის 20 კვერცხის წონას, ხოლო 1772 წლის ჩანაწერებში გერმანელი მკვლევარი გიულდენშტედტი იმერეთში გავრცელებულ წონის ერთულად აფიქსირებს. „ქსანი უდრის რუსულ ნახევარ ფუნქს (ნახევარ გირვანქას); ჩარექი უდრის 4 ქსანს ანუ 2 ფუნქს“.<sup>11</sup>

ზემოთ მოყვანილ ვახუშტისეულ განმარტებას ქსანზე ვ. სიდამონიძე შემდეგნაირად ხსნის: „აქ იგულისხმება, რომ ქსანი პატარაა მტკვართან, ლიახვთან, არაგვთან და სხვა მდინარეებთან შედარებით“.

საწინააღმდეგოს ადასტურებს ქსნის სიდიდეზე არაგვთან მიმართებაში გერმანელი მეცნიერი. მდინარე არაგვის დახასიათების მერე ეხება მდ. ქსანს და დასძენს, რომ: „ქსანი არაგვზე დიდია, მაგრამ სხვა ყველაფერში მისი მსგავსია; მასზე და მის შენაკადებზე ზემოთ არიან ოსურ-ქართული, ქვემოთ ქართული მხარეები“.<sup>12</sup> ასეა თუ ისეა, ჩვენის აზრით სიტყვა ქსანი საერთო ქართული ტერმინია.

საქართველო მთიანი ქვეყანაა, სადაც წყლის რესურსების ფართო სპექტრია წარმოდგენილი. ეს არის მდინარეები, ტბები, მყინვარები, ჭაობები და მიწისქვეშა წყლები. განსაკუთრებით ბევრია მდინარეები, რომელთა საერთო რაოდენობა, საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის მონაცემებით შეადგენს 26060 ერთულს, აქედან 99,4% ძალიან მცირეა, რომელთა სიგრძე 25 კმ/ს არ აღემატება.<sup>13</sup>

10. ივ. ჯავახიშვილი, საფას-საზომი, თბ. 1955. გვ. 68

11. გიულდენშტედტის მოგზ. საქართველოში, გელაშვილის რედაქციით. თბ. 1962. გვ. 287

12. იქვე. გვ. 223

13. საქართველოს ყველაზე უხვენყლიანი მდინარე რიონია. მას ყოველწავში ზღვაში ჩაქვს საშუალოდ 403 მ³ წყალი. აღმ. საქართველოში კი მტკვარია, რომელიც ქვეყნის ყველაზე გრძელი (1364 კმ) და დიდი აუზის მქონე მდინარეა.

ქსანი საშუალო სიდიდის მდინარეებს მიეკუთვნება. მისი სიგრძე 84 კმ-ია. ცნობილი მეცნიერი რომან კვერენჩილაძე 1968 წელს გამოცემულ თავის ნაშრომში „სამხრეთ ოსეთი“ აღნიშნავს, რომ მდინარე უხვთევზიანი არ არის და დასძენს მიზეზებსაც: „ჩქარი დინება იწვევს მდინარეში თევზისათვის საჭირო საკვების სიმცირეს“. სინამდვილეში კი მთავარი მიზეზი მტაცებლური, იმდროინდელი შხამქიმიკატებით და სხვა დრაკონული მეთოდებით თევზჭერა წარმოადგენდა, რასაც ზედ ერთვოდა მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს შექმნილი დენის აპარატით თევზაობა. (ცნობილია, რომ დენის აპარატი შეიქმნა თევზსაშენი მეურნეობის მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ).

მდ. ქსანი და მისი შენაკადები მეტ-ნაკლებად ჩქარი წყლებია. წვიმებისა და თოვლის დნობის დროს ხშირად იციან ადიდება და კალაპოტიდან გადმოსვლა. დიდი ხმაურით ახეთქებენ ლოდებს, მოაქვთ ტონობით ლორლი და ქვიშა, თოვლის ზვავებისგან ჭალებში გამოტანილი ხეები და მათი ნამსხვრევები, აქა-იქ ჩამონლილ მეწყერებს გამოყოლილი ფესვებდანყვეტილი ტყისა და ბუჩქნარის დიდი კორომები. ივნისის მეორე ნახევარში ზედ ერთვის ყელის ტბის ყინულის ლლობა და მტვრევა, რაც იწვევს მდინარის აზვრითებას. ასეთ ამინდებში თევზი ქსნის წყლიდან ხევებსა და პატარ-პატარა ხეობებში: ოხირში, ძაბურთხევში, ცხრაზმულაში, ჭურთულაში, ცხავატურაში (რეხვაში), ყანჩეურაში და ნახიდის წყლებში აფარებს თავს. მიუხედავად ამისა ძლიერი წყალდიდობები და სწრაფი დინება მაინც ვერ ჩაითვლება ქსანში თევზის შემცირების მთავარ მიზეზად.

XIX საუკუნის თბილისში გამომავალმა ქართულმა გაზეთმა „ცნობის ფურცლება“ დაბეჭდა პატარა კორესპოდენცია, რომელიც გვაწვდის ცნობას იმდროინდელი სოფლის — მონასტერის (ლარგვისის) მედუქნებზე თუ როგორ იაფად ყიდულობენ ქსნის ორაგულს:

„ს. მონასტერში თევზის ნადირობის ამინდია, რადგან „ყელის ტბის“ ყინული ჩატყდა და ქსანიც აიმლვრა. იქაურები მარჯვედ ისვრიან ბადეს და ამოაქვთ: ორაგული, ფიჩხული, კაბუეტი რომლებსაც მონასტრის დუქნებში ნახევარ თუნგ<sup>14</sup> ღვინოზე

14. თუნგი სპარსული სიტყვაა, იგი ღვინის ძველებური საწყაო და უდრის 2 ხელადას. ნახევარი თუნგი არის 1 ხელადა. ქართული ხელადა — საწყაო ორი ლიტრისა და 1 ჩაის ჭიქის ტევადობისაა.

ჰყიდიან, თითო ორაგული ხუთი მანეთი ღირს და ამ უსინდისო ზოგიერთ ვაჭრებს არც კი რცხვენიათ ხალხის ამგვარი მოტყუება. ქართული ანდაზა მაინც გაიხსენონ, „ქათამი წყალს დალევს და ღმერთს შეხედავსო“<sup>15</sup>

ამ პატარა წერილში კორესპონდენტს უთუოდ გამორჩა კალმახის აღნიშვნა, რომელსაც ორაგულთან, ფიჩხულთან, კაპუეტთან და სხვა გემრიელ თევზთან ერთად მებადურეები იჭერდნენ, მოიხმარდნენ და ნაწილს ყიდდნენ კორინთა-საძეგურის, ახალგორის, ლარგვისისა და ქარჩხის დუქნებში. XIX საუკუნის როგორც მთის ისე ბარისა და ქალაქის მოსახლეობა დიდი რაოდენობით მოიხმარდა თევზეულს. მიუხედავად მოიჯარადეებისა და ჩარჩ-ვაჭრებისგან ხელოვნურად ფასების ზრდისა.

მსხვილი კაპიტალისტების და მათი ხელისშემყურე გაიძვერა, ვაჭარ-მედუქნეთა თავგასულობა, თევზზე ფასების ზრდა, მეტი და მეტი სიმდიდრის ხელში ჩაგდების სურვილი და საზოგადოების გულისწყრომა კარგად ჩანს გაზრდა „დროების“ ერთერთ კორესპონდენციაში, რომელიც სერგი მესხს მიუწოდებია რედაქციისათვის.

— „თუ რომელსამე საგანზე შეიძლება ითქვას, რომ ეს საგანი ხალხის ცხოვრებისათვის „აუცილებელ საჭიროებას“ შეადგენსო, უეჭველია, ესევე უნდა ითქვას თევზზედაც. ეს ითქმის განსაკუთრებით ჩვენი ხალხისა და კიდევ უფრო ჩვენი ქალაქის შესახებ. ქალაქს უთევზოდ გაძლება არ შეუძლიან, იმას უყვარს თევზი, ქალაქის ქართველებისა და სომხებისათვის თევზი ისეთივე საკვები და საზრდოა, როგორც პური. მაშასადამე პირველ მოვალეობას იმ დაწესებისას, რომელსაც ხალხის ბედზე ზრუნვა აქვს მინდობილი სხვათა შორის ისიც უნდა შეადგენდეს, რომ ეს აუცილებელი საზრდო ჩვენს ხალხს არ მოაკლდეს, იმდენად არ გაუძირდეს, რომ იმით საზრდოობა გაუჭირდეს.

როგორც მოგეხსენებათ, ქალაქი და თითქმის მთელი კავკასია იმ თევზით იკვებება, რომელსაც სალიანში და საზოგადო ბაქოსკენ იქცერენ. მოგეხსენებათ აგრეთვე, რომ ყველა ეს თევზის საჭერი წყლები (კასპიის ზღვის ნაპირები, სალიანის ტბა, გოგჩა, არაქსი და სხვა მდინარეები) სახაზინოა და ხაზინა იმათში თევზის დაჭერის უფლებას იჯარით აძლევს, კანტრაქტით.

15. გაზ. „ცნობის ფურცელი“. 1897წ. 4 ივლ. №244. გვ.3

როგორც ბუზები თაფლს, ისე ეხვევიან, ისე შენატრიან ხოლმე ჩვენი მდიდარი ვაჭრები და კაპიტალისტები ამ იჯარის აღებას. ადვილადაც გასაგებია ეს: მართლა, თავიდანვე — ვისაც კი ეს თევზის დაჭერისა და ყიდვის უფლება იჯარით აუღია, ყველა გამდიდრებულა, ყველა მილიონერებად შექმნილია. უ. მირზოევები ამ იჯარამ წამოაყენა პირველად ფეხზე უფ. არშაკუნიმ თევზის წყალობით ააშენა ის „კრუჟოკის“ სახლი, რომლის სიმშვენიერე და სიმდიდრე ჩვენ გვაკვირვებს. თამამშევი — ამან გააკეთა და სხვები. ახლა ეს იჯარა ონანოვისა და ამხანაგებს აქვთ და, როგორც ამბობენ, წელიწადში უკანაკასნელი 80 000 თუმანი ნალდი მოგება რჩებათ, ერთი სიტყვით ჩვენი ვაჭრებისთვის სალიანის თევზი კალიფორნიად არის ქცეული.

ჩვენს ხალხს თევზი და ხიზილალა უყვარს, ის უთევზოდ ვერ გასძლებს, ამბობენ თავის გულში იჯარადრები, ერთი შაური, აბაზიც რომ მოუმატოთ გირვანქაზე, მაინც კიდევ იყიდიანო!“ და უმატებენ ფასს, უმატებენ, მაგრამ ამ მომატებასაც რომ ბოლო ალარა აქვს! უ. მირზოევების დროს ერთი გირვანქა გამხმარი თევზი ორ შაურად ლირდა და კარგი ხიზილალა — აბაზად; ახლა გამხმარ თევზსას გირვანქას — აბაზზს, ექვს შაურს ნაკლებ ვერ იშოვნი და ხიზილალას 14 შაურ, მანეთ ნაკლებ!

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქალაქის მცხოვრებლები ქალალდს ამზადებენ, ამჟამად კავკასიის სამოქალაქო მთავრობისთვის მისაცემად, რომელშიაც ისინი განმარტებენ თავიანთ გაჭირებას, ამ თევზის სიძვირის გამო, და თხოულობენ, რომ მთავრობამ ტაქსა დანიშნოს და საზოგადოთ სხვა რამე ღონისძიება იხმაროს თევზის გაიაფებისათვის...“ [მესხი სერგი]<sup>16</sup>

მე-19 საუკუნის ბოლოს თბილისის გუბერნიაში თევზზე მოთხოვნილების ზრდამ გამოიწვია თევზის შემცირება მტკვრის აუზში. რასაც ბუნებრივად მოჰყვა მასზე ფასების ზრდა. ამ არასახარბიელო მდგომარეობას ჩანს ნათლად ხედავდა იმდროინდელი ხელისუფლება და სათანადო ღონისძიებებიც გაუტარებია მდგომარეობის გამოსასწორებლად. მანამდე კი ინტერესით გამოუკვლევიათ თუ რა უნდა ყოფილიყო მტკვრის აუზში თევზის განყვეტისა და მისი გაძვირების მიზეზი.

16. გაზ. „დროება“. 1876. 10 დეკემბერი. №134. გვ.1.

გაზეთ „დროების“ ფურცლებიდან ვგებულობთ, რომ მტკვრის აუზში თევზის კატასტროფულად შემცირების მიზეზი ყოფილა მტკვრის გადაკეტვა მოიჯარადეებისაგან კანონების უხეში დარღვევით. ნათლად იკვეთება მსხვილ ვაჭარ-მოიჯარადეთა ოთხი ერთმანეთისადმი მოქიშპე დაჯგუფება: 1. მირზოევები; 2. ონანოვები; 3. არშაკუნები და 4. თამამშევები<sup>17</sup>. ამ ოთხ საგვარეულო კლანს აქვს ხელში ჩაგდებული ამიერკავკასიაში თევზის მოპოვებისა და გასაღების სადავეები. ამიტომაცაა, რომ ხალხი თხოულობს სათანადო რეაგირება მოახდინოს მთავრობამ მათზე. 140 წლის უკან (1880წ.) დაბეჭდილი გაზეთი იუნიკება:

„.... ჩვენში უკანასკნელ ხანებში წყლები თითქმის დაიცალა თევზისაგან. მიზეზი პირველი ის იყო, რომ დიდ წყლებში მტკვარში, არეზში (არაქსში) და სხვები მოიჯარეებმა შემოილეს რკინის კონი (ზაბოიკა) მთელს წყლებსა კრავდნენ, თევზს ამნეცვდებდნენ და არც ზემოთ უშვებდნენ და არც ქვემოთ. ამის გამო მმართველობამ აკრძალა კონის გამართვა, ასე რომ მოიჯარადებს გაღმით ნაპირიდან და გამოლმიდან წყლის მესამედის შესვლამდის შეუძლიათ თევზის დასაჭერი იარაღები იხმარონ. მაშასადამე შუა წყლის მესამედი ნაწილი სრულებით თავისუფალია და თევზს გზა აქვს ზღვითგან ამოსვლისა სათავემდის და უკან დაბრუნება ქვირითიდამ გამოსვლის შემდეგ.

წრეულს ახალი წესით მიეცა იჯარით გატეხილი ხიდამდის ტკვარი ზღვიდგან ამოყოლებული 29 ნაწილად დაყოფილია და თითო მოიჯარადეს ორი წილის აღების მეტი არ შეუძლია. ერთი ნაწილის შუა ცარიელი ადგილებია ასი საჟენი (1 საჟ=213 სმ და 4 მმ.) დარჩენილი, რომელშიაც აკრძალულია დაჭერა. ესეც თევზის გასამრავლებლად არის, რომ ბინა გაიჩინოს. ამას გარდა დასაჭერი იარაღები, ბადეები, ფაცრები და სხვა ისეთი ზომის უნდა იყოს, რომელიც დამტკიცებულია მმართველობისაგან. იარაღები იმგვარია, რომ წვრილი თევზი ბადეში არ დარჩეს და გავიდეს.

17. თამამშევების ოჯახიდან იყო ქსნის ერისთავების ბოლო წარმომადგენლის კოლა ერისთავის მეულე ეკატერინე მიხეილის ასული თამამშევა, რომლის მზითვის ფულით კოლამ განაახლა ხანძრით განადგურებული საგვარეულო ციხე-სასახლე ახალგორში.

წყლებზე იჯარადების მოქმედებისა და თევზის დასაჭერი ზედამხვედელობისათვის გამგეობა არის დანიშნული და ყარაულები იქნებიან. წესის დარღვევისათვის დიდი ჯარიმაა დადებული და იჯარადს ჩამოერთმევა იჯარა.

ამ ზაფხულს თანდათან ჩნდება ჩვენ მტკვარში თევზეულობა და იმედია, ამ წელს წინა წლებზე თანდათან გამრავლდეს. ჯერ გასაყიდათ ბაზარში არ ჩანს, რადგანაც ზაფხულის თვეებში ქვირითის დების დროს, კანონით თევზის ჭერა აკრძალულია იმ აზრით, რომ თევზი გამრავლდეს და არ გამოილიოს“.<sup>18</sup>

მმართველობისაგან დროულად გატარებული ლონისძიებების მიუხედავად, საშუალო და მცირე სიდიდის მდინარეებზე (ქსანი, არაგვი, ლეხურა, ნარეკვავი) არ ფორმდება საიჯარო ხელშეკრულება, ამიტომაც მათზე კონტროლი და თევზის დაცვა ევალდებოდა, როგორც ადგილობრივ თვითმმართველობებს ისე მოსახლეობას, ოჯახს, სოფელს, თემს. რომელთაგანაც სამწუხაროდ ხშირად გულგრილობას და დაუდევრობას ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებით წლის იმ პერიოდში, როდესაც მდინარეებში თევზი ზღვიდან შედიოდა გასამრავლებლად. ადამიანთაგან ასეთ გულგრილობაზე შეწუხებული წერს ორი საუკუნის წინანდელი გაზეთი „ივერია“.

„ერთს მეტად სამწუხარო ამბავს გვწერენ არაგვის ხეობიდან. მოგეხსენებათ ამ დროს, შემოდგომაზე ჰყურის ორაგული ქვირითს. ამის გამო მუცელი სტკივა, შეწუხებულია, გამოდის ნაპირას და ეხახუნება და იქ ჰყურის ქვირითს. ხალხი წარა-მარა ჰხოცავს თურმე ამ დროს ორაგულს და ამნაირად წყვეტს ამ გემოთი განთქმულს თევზს არაგვისას, რადგან ხშირად მაშინა ჰხოცავენ ხმლითა და ხანჯლებით, როცა ქვირითი არც-კი დაუყრიათ. ყოვლად მავნებელია ასეთი ქცევა ხალხისაო. იმის გარდა, რომ თევზი წვება წყალში, იმითია კიდევ ცუდი ეს ჩვეულება, რომ ქვირითის დაყრის დროს, ორაგული სრულიად არ არის გემრიელი და ჩალასავით ხორცი აქვსო. ამის გამო ამგვარად დახოცილის თევზს არც ფასი აქვს, თითო უშველებს ორაგულში ათს შაურზე მეტს არ იძლევიან მედუქნები და ჩარჩებიო.“<sup>19</sup>

18. გაზ. „დროება“. 1880. 13 აგვისტო. №170. გვ.3

19. გაზ. „ივერია“ 1886. №213.გვ.1

ზემოთხსენებულიდააუცილებელიღონისძიების გატარების გარდა (მტკვრის ნაპირებიდან წყლის მხოლოდ ერთ მესამედზე თევზჭერის დაკნონება, რკინის კონების ჩაგებისა და მდინარის გადაკეტვის აკრძალვა) მთავრობის გადაწყვეტილებით სპეციალისტები მუშაობენ და ეძებენ ადგილს თევზსაშენის მოსაწყობად; ქვეყანაში ასეთ სიახლეებზე, მეურნეობის ასაღორძინებლად წინ გადადგმულ პროგრესულ ნაბიჯებს ტრადიციულად ეხმაურება გაზეთი „ივერია“ და „ტფილისის საზოგადოებას ამცნობს რომ: „მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო მამულების სამინისტროს აზრად აქვს ამიერკავკასიაში გამართოს ორაგულის მოსაშენებელი ადგილი. ამ აზრით სამინისტრომ გაპგზავნა ბ-ნი კავროისკი და ინჟინერი გიდრავლიკი პსარევი იმ ადგილების გამოსაკვლევად, სადაც შესაძლებელი იქნება მისი გამართვა. ბ-ნი კავროისკიმ და პსარევმა უკვე გამოიკვლიეს ყველა ადგილები და კიდეც დაბრუნდნენ ტფილისში. მათის აზრით საუკეთესო ადგილი მდ. პატარა არაგვია ფასანაურის მახლობლად, გუდამაყრის ხეობაში“.<sup>20</sup>

ქვეყნის ხელისუფალთაგან თითქოს იდგმება ნაბიჯები კავკასიის რეგიონში მეთევზეობის განვითარებისათვის. დედაქალაქის გაზეთები აქვეყნებენ სხვადასხვა ცნობებს ამ დარგის გასაუმჯობესებლად, კერძოდ ქონების სამინისტროსაგან დაგეგმილ ღონისძიებებზე: „1895 წელს საქართველოში ინსპექტორის — ვინმე გრიმის მოვლინებისა რათა მოამზადოს პირობა მტკვარში ხელოვნურად ლოქოს მოშენებისა და თევზის ქარხნის დაარსებისათვის“.<sup>21</sup>

ზემო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 5 წლის შემდეგ, 1900 წლის გაზეთ „ცნობის ფურცლიდან“ ვგებულობთ, რომ: „სახ. ქონების სამინისტროს გადაუდვია 8050 მანეთი მტკვრის შესართავში თევზის ქარხნის მოსაწყობად; განზრახვა აქვთ, გაამრვალონ მტკვარში ზუთხი და თართი. ამ ქარხანაში ქვირითიდან ყოველწლივ უნდა გამოიყვანონ მილიონ ნახევარზე მეტი თევზის ჭიჭყინა“.<sup>22</sup>

20. გაზ. „ივერია“ 1897 №165. გვ.1

21. გაზ. „ივერია 1895. №115. გვ.2

22. გაზ. „ცნობის ფურცელი“ 1900 №1171. გვ.3

აღნიშნული განცხადებიდან გადის რამდენიმე თვე და ტფილისში არსდება „კავკასიის ტბებში თევზის ჭერისა და თევზის მოშენების საზოგადოება“ . 1902 წლისთვის, ზემოაღნიშნული საზოგადოებისაგან განსხვავებით, რეალურად უკვე შექმნილია თევზეულობით ვაჭრობის კომისია, რომლის მოთხოვნით, რადგან კავკასიაში მეთევზების მომეტებული ნაწილი მაპამდიანია, უქმდება კვირა დღით თევზის დაჭერის აკრძალვა, რადგან მათ წეს-ჩვეულებას არ ესადაგება ქრისტიანული კვირაძალი. ამასთანვე დგინდება ახალი უმნიშვნელო წესები მეთევზეობასთან დაკავშირებით.

1897წ. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№216) აქვეყნებს ნოვატორულ იდეას „ამიერკავკასიის რკინიგზით ცოცხალი თევზების გაგზავნა-გამოგზავნაზე, ალბათ მომდინარეს ისევ ქონების სამინისტროსაგან. იმ სამინისტროსაგან, რომელსაც არც საქართველოში და არც მთლიანად ამიერკავკასიაში მეთევზეობის განვითარებისათვის კაპიკი არ გაუღია, თუ არ ჩავთვლით ორიოდე სპეციალისტის მივლინების ხარჯებს. იდეა იდეად დარჩა, ფიქრი, მოსაზრება, სურვილი — მოგონებად, თევზი კი ჩვენს დედამდინარე მტკვარში და მის ცივ, უანგბადით, საკვებით უხვ შენაკადებში ღმერთისა და მეტ-ნაკლებად გერგილიანი ადამიანების ამარა.

ძველი ნათქვამია, ყველაფერს თავისი მტერი ჰყავსო. მართლაც რომ ასეა თევზისთვის, თანაც ერთი მტერი კი არა მრავალი. მათგან ანგარიშგასაწევია წყალდიდობები, ღვარცოფები და მეწყერები. ათასობით ტონა ქვა და ტალახი ჩაეხეთქებოდა ქსნის და არაგვის ჭალებში, დამეწყრილ-დაგლეჯილ-დახეთქილ მთის ფერდობებიდან. გაზაფხულზე გაბმულ წვიმებს თუ ცოტა სითბო დაერთო, მაღალ და საშუალო მთებში იწყება ორი-სამი მეტრი თოვლისა და ღრმა ღრანტე ხევებში დატკეპნილი, რამდენიმე ათეული მეტრის სისქის ზვავების დნობა. ამ დროს მთის მიდინარეები გაცოფებულები და გადარეულები მოედინებიან ბარისკენ, ანგრევენ, შლიან ზღუდეებს და სულ რაღაც წუთებში ქრება გლეხკაცის მიერ წლიდან-წლამდე ნანოლიავები ბალი და ბოსტანი, ზვარი და მაღლარი. მიაგორებს ქვებს გუგუნით, დგა-

ფუნით და ხოცავს უამრავ თევზს: ქვირითიანს და უქვირითოს, დიდსა და პატარას. სპობს მათ საკვებ ჭია-ღუას და დამფრთხალი თევზი თავის გადასარჩენად აწყდება აქეთ-იქით, ხშირად რჩება აქა-იქ მორევებში და იხოცება. აბობოქრებული ქსანი და არაგვი მხოლოდ მტკვართან ჩახუტებით წყნარდებიან და ისე ძვრებიან მის კალთის ქვეშ როგორც დედასთან ბავშვები.



მდინარე მტკვრისა და ქსნის „ხერთვისი“

1963 წელს ლამისყანაში გარაყანისძისგან გ. ხორგუშვილის მიერ ჩაწერილი ხალხური ლექსიც უდავოდ ქსანზე ერთ-ერთი წყალდიდობის მერეა შექმნილი.

„ლომისა, ძლიერო პატრონო,  
შენ გაგვიძლიერე ქსანი და არაგვი:  
მე თქვენი გაძლიერება რად მინდა  
მე ჩემ თავად გავძლიერდები.  
ამ წინებზეც დავგლიჯე  
მიღელაანთ წისქვილები,  
ვაკეზე, რომ ჩამოვედი

რატიშვილს შემოვუთვალე: <sup>23</sup>  
 მოვრბივარ, მოვხუვი,  
 ფეხზედ არ მაკრავს ნალები  
 შენ ვინ მოგცა მანდ მამული  
 როდის მოგიწერე ხელი?  
 დავგლიჯო შენი კაკლები  
 თან გავატანო ვაზები  
 სულ ჩავზიდო კონახურაზედა  
 სადაც მტკვარს ვერთვო” <sup>24</sup>

წყალდიდობების გარდა უამრავი თევზი ეწირებოდა სარ-  
 წყავ სისტემებს. მდ. ქსნიდან სათავეს იღებდა რამდენიმე არხი,  
 რომელთა დანიშნულება როგორც მორწყვა, ასევე წისქილების  
 დაბრუნებაიყო. პირველი დიდი ოუქსნის შუაწელზე „ნალკოტიდ-  
 ან“ მიედინებოდა გაღმა საძეგურში, მეორე რუ სოფ. წირქვილის  
 პირდაპირ „ბერიკოანთ წისქილებიდან“ იკოთში, ახმადურზე,  
 დოლიანში. ასევე ქსნიდან, დიდი რუ იღებდა სათავეს იკოთის  
 ბოლოში „ბუნელისა“ და ქსნის შესართავთან (ქსნის მარცხენა  
 მხარე). არხი მიედინებოდა ახალგორ-ფიჭვნარამდე. იგი დღე-  
 ვანდელი ახალგორის ცენტრში წმინდახთა მემორიალის დასავ-  
 ლეთით აბრუნებდა სამთვლიან წისქილს <sup>25</sup>, რწყავდა ასობით  
 ჰექტარ ბალ-ვენას. უეჭველია საკმაოდ მოზრდილი და მოწეს-  
 რიგებული წყლის რუ ექნებოდათ თავის დროზე გაყვანილი ახ-  
 ალგორში ქსნის ერისთავებს.

შიდა ქართლის ვაკე შედარებით ღარიბია ატმოსფერული  
 ნალექებით და წლის მანძილზე მათი განაწილება ხელსაყრელი  
 არ არის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთ-  
 ვის; ზაფხულის მეორე ნახევარში აქ იცის გვალვები, ამიტომ,  
 საკმაოდ მრავალი სახნავ-სათესები დიდად იყო დამოკიდებული  
 სარწყავ არხებზე. კომუნისტებმა არხები გაიყვანეს ქსნის მარ-  
 ჯვენა სანაპიროდან ახმაჯი-ლამისყანა-თეზი-ოკამი-იგოეთის

23. ქსნის ერისთავების განაყარი რატიშვილები ცხოვრობდნენ მდი-  
 ნარე ქსნის მარცხენა სანაპიროზე სოფ. ქსოვრისში, სადაც დღემდე  
 შემორჩენილია მათი ნასახლარები.

24. გ. ხორგუაშვილი, ნამცვრევი. თბ. 1989. გვ. 138

25. ალნიშნული არხის ფრაგმენტები ახალგორში ბოლოდრომდე  
 შემორჩენილი იყო სტალინის ქუჩაზე მცხოვრები გოგი ზაქარიას ძე  
 გათენაშვილის ეზოში.

გავლით, რომლითაც მოქმედებდა აგრეთვე ჰიდროელექტრო სადგური. (2008 წ. ომის დროს, ახალგორის ოკუპაციის გამო ზემოაღნიშნული არხი აღარ ფუნქციონირებს).

როგორც ცნობილია, მორწყვა საქართველოს მდინარეთა გამოყენების ერთ-ერთ ძველ და გავრცელებულ სახედ ითვლება. ირკვევა, რომ შიდა ქართლის მდინარეებზე: ლიახვზე, მეჯუდაზე, ქსანზე, არაგვზე მეთვრამეტე საუკუნეში ყოფილა გაყვანილი რამდენიმე არხი. არსებობს ცნობა, რომ საქართველოში უძველესი სარწყავი არხი გაყვანილი უნდა ყოფილიყო მდ. ქსნიდან აღ. მაკედონელის მიერ. ჩვ.წ. აღ-მდე მე-4 საუკუნეში.

თევზი გამუდმებით ეძებს საკვებს, მიგნების შემთხვევაში მოთხოვნილება უფრო იზრდება, ამიტომ იყო, რომ ქსნიდან წასულ არხებს, მუდამ გასდევდა დიდი რაოდენობით როგორც მსხვილი, ასევე წვრილი თევზი. მათი შესვლა არხებში განადგურების ტოლფასი იყო.

მკითხველს, ოძისიდან ქვემოთ — მუხრანის ველისკენ გაყვანილ სარწყავი სისტემის არხებზე და იქ მოხვედრილ თევზზე წარმოდგენა რომ შეექმნას მოვიყვანთ ი. ჭავჭავაძის გაზ. „ივერიაში“ ოძისელი ერისთავების მიერ მიწოდებულ და გამოქვეყნებულ კორესპონდენციას:

„...ქსანი რეტიანი ცხვარივით გამოქანდება სარწყავ არხებს და რუებს ერთშანოւთში არევს ხოლმე დომშალივით.

სარწყავი არხების დაცვა წყალდიდობებისაგან აქაურის „მირაბის“ მოვალეობას შეადგენს ერთის მხირვ, და მეორეს მხრივ მისივე მოვალეობაა სარწყავი არხების გამრავლება და სარწყავად წყლების მომატება, რადგან ზაფხულობით სარწყავი წყლების ძალა მცირდება, მცხოვრებთა უმრავლესობას აწ არსებული სარწყავი წყალი არ ყოფნის და თავ-პირის მტვრევა ასტყდება ხოლმე. ეს საგანი ჯერ-ჯერობით უყურადღებოდ არის მიტოვებული. ჩვენ გვახსოვს ძველი დროითგან მარტო 3 სარწყავი არხი: 1. „საოძისო წისქვილების რუ“ რომლიდგანაც სარწყავად ძლიერ მცირედი წყალი რჩება, რადგან ისევ წისქვილებს სჭირია და არც კი ყოფნის; 2. „საგლახაო რუ“; 3. „ნადიკვარის წყალი“ ეს უკანაკსნელი საზაფხულოდ იმდენად მცირდება რომ „მუხრანიანი“ გულშელონებულთა მოსაბრუნებლადაც კი

„წილკნელებს“ წყალს არ უთმობენ და ხშირად „ძალის“, „წილკანს“ და „მუხრანიანთა“ შორის სისხლის ღვრა მოხდება ხოლმე.

თუ ამჟამად არსებულ სარწყავ არხებს მცირეოდენ შრომას დავადებთ; თუ წყლების მმართველობაც კეთილს ინებებს ხალხისათვის, მაშინ „საონისო წისქვილების რუ“ გაგანიერდება, ქსნიდან წყალი მოემატება და ამასთანავე გამაგრდება ქსანთან უმთავრესი სათავე, რომ მდინარემ კვლავ არ გაჭამოს. ს. ქსოვრისიდან გაიჭრება ცალკე არხი „წილკნელების“ სულის მოსაგებად, რადგან მდინარე ქსანი ბოროტებასთან მოწყალეც არის და ყველას უხვად მიაწვდის სარწყავ წყალს: უნაყოფო მიწას ნაყოფს გამოვალებინებთ და „წილკნელებსაც“ სამუდამოდ დავიხსნით „მუხრანიანთა“ მტარვალობისაგან“.<sup>26</sup>

ქსნის თავადის წერილიდან ჩანს თუ როგორი მზარდი მოთხოვნაა მოსახლეობისაგან სარწყავი სისტემების გაუმჯობესებასა და განვითარებაზე, უკეთესი მოსავლის მისაღებად. დროის მსვლელობამ გვიჩვენა, რომ წლითი-წლობით იზრდებოდა სარწყავი არხების ქსელი არა მარტო მდინარე ქსანზე არამედ არაგზე, ლიახვზე და მტკვარზე. ჩანს ვერ აკმაყოფილებდა ბურუუაზის რელსებზე შემდგარ ქართველ თავადებს არაგვიდან წილკან-ძალისზე გავლით მუხრანში ჩამავალი არხის წყალი, რომელიც თავის დროს ისე წილკნელს ჩამოუყვანია. „ტყვილიანიდამ“ ისო წილკნელმა, ი ~ გ (12) მამათაგანმან, წარმოილი ყავარჯის თრევით რუ, რომელსა მოსდევდა უმუშავოდ წყალი“<sup>27</sup>.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, სარწყავ არხებს, რომლებიც წისქვილებსაც აბრუნებდნენ, უამრავი თევზი გასდევდა და იღუპებოდა. ამიტომ ყველა მენისქვილე მეთევზე იყო და ნაზიარები იმ სიხარულის მაზანდას, რომელსაც ადამიანები თევზის დაჭერისას განიცდიან.

სოფ. მუხრანში მცხოვრებმა ლადო ოქროაშვილმა, რომელსაც ადრე წყლის წისქვილში უმუშავია გვითხრა, რომ ბევრჯერ წისქვილის სალორედან 100 კილოგრამამდე თევზი ამოუღია და მეგობარ-ამსანაგებისათვის დაურიგებია: „ჩემი პაპები ქსანს და არხებს აშრობდნენ და თევზით ურმებს

26. გაზ. „ივერია“ 1897. №90. გვ.3.

27. ვახუშტი ბატონიშვილი. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ — ქართლის ცხოვრება (ყაუხჩიშვილუს რედაქციით) ტ. IV თბ. 1973. გვ. 351

ავსებდნენ“. მისივე თქმით თევზეულით საკმაოდ მდიდარი ყოფილა არაგვიდან წამოსული არხი, რომელიც მუხრანის თავზე გადიოდა და სოფ. როზენტალის ბოლოს ქსანს უერთდებოდა. (აღნიშნული არხი გაიჭრა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 50-იან წლებში, ძალისელ და მუხრანელ გლეხთა ერთობლივი ძალისხმევით. განაწესის თანხმად თითოეული ოჯახი ვალდებული იყო 30-მეტრიანი მონაკვეთი გაეჭრა.) მუხრანის ველზე გამავალი ერთ-ერთი თევზით მდიდარი არხი „ნადიკვარის წყალი“ სათავეს იღებდა ილტოზის ქვევით, ირნჟებოდა: ქსოვრისი, როზენტარი, მუხრანი, ქანდა, სადაც ორ, სამ და ოთხ თვლიანი წისქვილებსაც აბრუნებდა.

საქართველოში უხსოვარ დროიდან მეურნეობის ერთ-ერთ ტრადიციულ დარგს მეთევზეობა წარმოადგენდა. თევზის მოპოვების იარაღები და ხერხები თავდაპირველად მარტივი იყო. თევზსს იჭერდნენ ერთსა და იმავე დროს სანადირო და საბრძოლო დანიშნულების იარაღებით: შეილდ-ისრით, შუპით, სატევრით. საბრძოლო იარაღების (ხმლის, ხანჯლის) გამოყენება XIX საუკუნის მთიულეთშიც არის დაფიქსირებული (იხ. გაზ. „ივერია“ №213).

საერთოდ ეთნოგრაფიისათვის ცნობილი სათევზაო იარაღები და ხერხები მეტად მრავალფეროვანია, რაც ორივე ერთად განაპირობებდა წარმატებულ თევზაობას. ისინი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ.

1. ანკესით თევზაობა;
2. ბადით თევზაობა;
3. ხელაობა;
4. ოჩხი;
5. ფშებში თევზაობა;
6. თოვლით თევზაობა;
7. გოდრით ანუ პირქცეულით თევზაობა;
8. ფაცრის ჩადგმა;
9. ჩანგლით, ბარჯით და კავით თევზაობა;
10. წყლის მოწამვლით თევზის დაჭერა.

## ანკესით თევზაობა

— უპრიანია ცალ-ცალკე განვიხილოთ თევზჭერის ეს იარაღები და ხერხები, რომლებიც თავის მხირვ იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი ფორმით, მოცულობით და ტერმინოლოგიით, რამდენადაც თვით მდინარეთა და წყალსატევართა ადგილმდებარეობა და ხასიათი.

ვერტიკალურ ზონალობასთან მიმართებაში არქეოლოგიური კვლევებით დასტურდება, რომ თევზის მოპვების უძველესი სამუალება ანკესი ყოფილა. იგი გვიან — პალეოლიტიდან გვხვდება. „საგვარჯილეს ენეოლიტის ფენებში ნაპოვნია თევზის ძვლები, ძვლისა და ლითონის ანკესები. აქვე ნეოლიტურ ფენებში აღმოჩნდა ბოლომოკაუჭებული ძვლის ანკესები, ასევე ცხოველის ძვლისგან გაკეთებული ჭვილით“.<sup>28</sup>

საზოგადოების განვითარების სხვადასვხა საფეხურზე ანკესი მზადდებოდა ქვისგან, ძვლისგან, ლითონისგან. დროთა განმავლობაში იცვლებოდა არამარტო საანკესე მასალა, არამედ თვით ანკესიც. იგი უფრო რთული და დახვეწილი ხდებოდა.


აღმ. საქართველოში ანკესს ნემსკავს ვეძახით, ხოლო დიდი ზომისას კი ჩანგალს, შავი ზღვისპირეთში ბერძნული დასახელებების ზეგავლენით იქ მცხოვრებთა ლექსიკაში დამკვიდრდა ბერძნულიდან შემოსული სიტყვა „ანკასი“. (ამ სიტყვის ბერძნულ წარმომავლობაზე მოუთითებს თვით საბაც.)

ანკესის ჯოხზე ამაგრებდნენ კანაფისა და აბრეშუმის ძაფს, ვინაიდან თევზაობდნენ დღისით, წმინდა წყალში მეთევზებს უნდა შეერჩიათ ისეთი ძაფი, რომელიც თევზისთვის შეუმჩრეველი იქნებოდა. მეტად საინტერესოა აბრეშუმის ჭიდან საანკესე ძაფის დამზადება სამეგრელოში. ასევე საინტერესოა აბრეშუმის ძაფის დამზადების ხალხური წესი ლაზებში. აბრეშუმის პარკს როცა ის მეოთხე კანში იყო ათავსებდნენ ძმარში, თავსა და ბოლოს მოაჭრიდნენ, ძაფი ს ამოილებდნენ და დაგრეხავდნენ. ამ ხერხით მიღებული ძაფი წყლისფერია და თევზი ვერ ამჩნევდა მას.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდში დაცულია ერთი ლაზური ანკესი (№44-40/65). საინვენტარო დავთარში ვკითხულობთ: „ანკესი გრძელია, ლერწმის წვერში მიბმულია აბრეშუმის ძაფი, რომელსაც განსაკუთრებით აკეთებენ. ძმარში მოათავსებენ, რომ შესაფერი ფერი მიიღოს. ამ ძაფის ბოლოსვე მიბმულია ანკესი და მის გარშემო მიკრულია ყვერულის (დაკოდილი ქათმის მამალი) ბუმბული. „კვანწილა“, რომელიც წყალში გადასროლის დროს პეპელას ემსგავსება.<sup>29</sup>

28. საქ. არქეოლოგია, თბ. 1959. გვ.64

29. ქ. მირიანაშვილი, თევზჭერის იარალების შესწავლისათვის. წიგნიდან მასალები საქ. ეთნოგრაფიისთვის. ტ. 28. 1975. გვ.102.



### ფპის ანკესი

წყნარ წყლებში ანკესის ძუაზე ტყვიების კლასიკური განაწილება ხდება სატყუარადან შორს, ხოლო ერთი ცალი საფანტის და ასევე სასიგნალო საფანტის დამონტაჟება ხდება ნემსკავთან ახლოს. სიმძიმეების ასეთი განაწილება ხელს უწყობს მგრძნობიარე კონტაქტს სატყუარასა და ტივტივას შორის (ნახ. 1)

### არხის ანკესი

წყნარ წყლისთვის სხვადასხვა ზომის საფანტს ათავსებენ ჯაჭვისებურად. საფანტის ზომა და მათ შორის მანძილი მცირდება სატყუარადან ნემსკავამდე. ყველაზე პატარა საფანტი თითქმის დაცურავს ფსკერთან ახლოს და არ უწევს ნინააღმდეგობას თევზის მოკიდებისას (ნახ. 2)

ნახ. 1

ნახ. 2

საინტერესოა, რომ როგორც ძველ ისე თანამედროვე თევზჭერაში ფართოდ გამოიყენებოდა და გამოიყენება ხმაური, (მუსიკა) რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

მთელს საქართველოში იცოდნენ თოკზე რამდენიმე ანკესის ჩამოვიდება და ღამე მდინარეში მათი ჩაფენა ერთი ნაპირიდან მეორემდე. მას გურიაში „ლარი ან „ერთი ყრა ანკესი“ ეწოდებო-

და. ქართლში ვრძელთოვა ანკესი, იმერეთში „გაგება“, მესხეთში „ოლთი“ (ძველად) ახლებურად შნური.<sup>30</sup> იქ ოლთით თევზაობა ისეთივე ძველი ჩანს, როგორ ნემსკავით და აღნიშნულ სიტყვას თითქმის აღარავინ ხმარობს. ოლთას ეძახდნენ როგორც ქართველები, ასევე მესხეთში მცხოვრები სხვა ტომის წარმომადგენლები. ოლთით დიდ მდინარეებში თევზაობდენ. მთის პატარა მდინარეები ამ ტიპისათვის გამოუსადევრია.

მტკვრის აუზში ქართლის მდინარეები: ქსანი, არაგვი, დიდი და პატარა ლიახვი, ნემსკავით თევზაობის საუკეთესო პირობებს გვიქმნიან, მიუხედავად მათი სისწრაფისა, ტყიან-ჩირგვიანი ჭალებისა, უზარმაზარი მეგალითური, ქვებისა, ლოდყრილებისა და ნარიყთა ბარიკადებისა, რაც განსაკუთრებით ზემო დინებებზეა თვალშისაცემი.

### მდინარის ანესი

მდინარის დინების სიღრმეში სატყუარა ტყვიებმა უნდა ჩაიტანონ, ამავ დროს ისინი ადგილად უნდა გადაადგილდებოდნენ წყალში. ამიტომ ძირითადი სიმძიმე უნდა შედგებოდეს ტყვიების ჯაჭვისაგან და მათი სიდიდე უნდა მცირდებოდეს ზემოდან ქვემოთ.

ძირითადი სიმძიმის ქვედა საფანტი უნდა იყოს მცირე ზომის, ასევე უფრო მცირე უნდა იყოს სასიგნალო საფანტი, რომელიც ნემსკავთან ახლოს უნდა დამაგრდეს. (ნახ. 3)

### სწრაფი დინების ანესი

ძლიერი დინების დროს წყალზე სრიალის კარგ თვისებებს ავლენს ბურთი, ამიტომ ძირითადი სიმძიმის სახით იყვნებენ მსხვილ ბურთისმაგვარ სიმძიმეს, რომელიც შუაში არის გახვრეტილი. ძირითადი სიმძიმე (ბურთი) თავ-ბოლოში შეიძლება დაფიქსირდეს წვრილი საფანტით. (ნახ. 4)

ნახ. 3

ნახ. 4

30. 6. ბერიძე, მებადურობა, თევზები, სახელები. თბ. 2005. გვ.16.

## ანკესით თევზჭერის დრო და ადგილი:

— ზაფხულობით თითქმის ყველა მდინარე თუ წყალსაცავი სავსეა საკვებით, თევზი ამ დროს მაძლარი და წუნიაა. ამიტომ უხვი თევზჭერის წინაპირობაა ზუსტად მივაგნოთ თევზის ადგილ-სამყოფელს. წყალში თევზზების ყოფნის მანიშნებელია: მკვდარი პლანქტონის, ბენთოსის და სხვა მოტივტივე სხეულის თავმოყრა. მთის მდინარეებში თევზები წყნარ გუბეებში, უმეტესად დამით შედიან, დღისით უფრო ჩქარ, ქვიან, ლვინჭიან ფსკერიან ადგილებში არიან, რაც უფრო გამოირჩევა მდინარის, წყალსაცავის რომელიმე მონაკვეთი საერთო ფორმისგან, მით უფრო მეტი თევზი გროვდება იქ. მაგალითად, ვრცელ მდინარეში — სივიწროვე, ვიწროში — ფართო ყურე, ლრმა წყალში — მეჩერი, თავთხელში — ორმონ და ა. შ.


დაბალ ტემპერატურაზე თევზებს უმცირდებათ უანგბადის მოთხოვნილება. აგვისტოს ბოლოდან აგრილებისთანვე თევზები აქტიურდებიან — მნიშვნელობა აქვს მთვარის ციკლებსაც: მაგ. გველთევზა მაქსიმალურად მოძრაობს ახალ, მინიმალურად სავსე მთვარეზე, რადგან სიბნელეში კარგად ნადირობს ლიქოს მსგავსად.

„ჭექა-ქუხილის წინ დაგროვებული ელექტრომუხტები, წნევის ცვალებადობა, ცხელი ტენიანი ჰაერი აწუხებს თევზებს (როგორც სხვა სულიერებს) და ამიტომაც ალარ აქტიურობენ. ძლიერ წისლშიც ცუდად მოსდევს თევზი. ამინდის მოსალოდნელი ცვლილებებისას თევზების მომენტალური რეაქცია უფრო განპირობებულია ინფრაბგერების, ულტრაიისფერი სხივების, მაგნიტური ტალღების, მზის რადიაციის ცვლით, რაც მათ ახლო მომავალში უსიამოვნო სიურპირზებს უქადის და ფრთხილობენ (ხშირად ამაოდაც). ზოგჯერ ამ დროს, არც წყლის ტემპერატურა, წნევა, გამჭვირვალობა, არც საკვები ბაზა არ იცვლება, თევზები კი მაინც ინსტიტით თადარიგის იჭერენ. ალბათ, ამიტომაც ნებისმიერი ცვლილებების წინ თევზჭერა უმჯობესდება მცირე ხნით, შემდეგ კი ნელდება და წყდება“<sup>31</sup>.

წნევის ცვალებადობას თევზები საცურაო ბუშტით გრძნობენ, კარგად აღიქვამენ რეზონატულ სხივებს. სინოპტიკური მიზნებითაც იყენებენ გველანას, კარჩხანას, გუნუს.

31. ჟურნ. „ნადირობა“ 2000წ. ივლისი. №7. გვ.38.

ავდრის წინ თევზები წყლიდან ხტებიან, ჩქაფუნობენ, ინფრაბერებით შეიგრძნობენ ავდრის მოახლოებას, ჯერ ღიზიანდებიან, შემდეგ იღლებიან და წყვეტენ კვებას.




სანგრძლივი ავდრის შემდეგ თბილ ამინდში ანკესს საუკეთესოდ მოსდევს თევზი და პირიქით — გაავდრების წინ ფრთხებიან. კარგი ჭერაა თუ სუსტი ქარი შუადღემდე ზომიერად ძლიერდება და საღამოს ჩადგება. თევზი საერთოდ მოყვება დილა-საღამოს. მთის სწრაფ და უანგბადით მდიდარ, მცირე დებიტიან წყლებში კალმახი ძირითადად მოსდევს გათენებიდან დილის 10 საათამდე და საღამოს 5 საათიდან დაბინდებამდე. თევზჭერისათვის ყველაზე ხელსაყრელია უნალექო, ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით მცირე ქარიანი, საღამოს წყნარი ამინდი. არც თუ ხელის შემშლელია ნახევარსაათიანი შხაპუნა წვიმა. იგი წყალს აგრილებს და უანგბადით ამდიდრებს. ხანმოკლე წვიმა და ზოგჯერ საქმაოდ ძლიერიც, სუბალპურ და ალპურ ზოლში იწვევს ცხვარ-ძროხის სადგომებიდან ფეხალური მასის წამოღებას, თავისი ჭიაყელებით, რაც ასევე ხელს უწყობს როგორც უანგბადით, ასევე საკვებით მდინარეების გამდიდრებას. მთის პატარა მდინარეებში წყლის გაციებისა და უანგბადით გამდიდრების თვალსაზრისით შხაპუნა წვიმის პროცესი უმნიშვნელოა, რადგან მთაში ვიწრო ხეობების კლდოვან კალაპოტში მორბენალ ხევებს არც უანგბადი აკლიათ და არც სიგრილე. თევზი კარგად მოჰყვება სანგრძლივი წვიმების შემდეგ, რადგან წყლის დონის მომატებისას როგორც წესი თევზი თავის ადგილსამყოფელს ტოვებს და შენაკადებსა და პატარ-პატარა ტოტებში იფანტება, ამიტომ ჩვეულ ადგილზე თევზჭერა მცირდება და შეიძლება მთლიანად შეწყდეს.

მდინარესა და წყალსატევებში, როდესაც წყალი თანდათან ან სწრაფად იწყებს კლებას, თევზი მღელვარებას იწყებს და ამ-ცირებს ან საერთოდ წყვეტს კვებას, იგი მცირენწყლიან ადგილ-სამყოფელს ტოვებს და ქვემოთ დინების მიმართულებით ღრმა წყლისკენ მიცურავს.

მეტეოროლოგიური მოვლენები საერთოდ ცხოველთა სა-მყაროზე, მათ შორის თევზების ცხოვრებაზეც ახდენს გავლენას. ზოგჯერ თევზი აქტიურია, ზოგჯერ კი პირიქით — პასური, ან საერთოდ უძრავია. „თევზჭერისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობები გამდინარე და ჩამდინარე წყლებშია. რაც უფრო დიდხ-ანს გრძელდება უამინდობა, გამოდარების შემდეგ მით უფრო ინ-ტენსიურია თევზჭერა. ცხელ,

მზიან ამინდში თევზი დღისით მცენარეულობით დაფარულ ადგილებში ჩერდება და საღა-მოს თხელ, სუფთა ადგილებს ეტანება, სადაც წყალი გრილი და ჟანგბადით მდიდარია. ზაფ-ხულობით ცვრიანობისას, თე-ვზი წყლის ზედაპირზე ჩერდე-ბა სანაპიროზე. ბუჩქებისა და ხეების მზარდი ტოტების ქვეშ, სადაც ფოთლებიდან ჩამორეცხილი მწერებითა და მატლებით იკვებება“<sup>32</sup>

მეთევზემ უყურადღე-ბოდ არ უნდა დატოვოს ისეთი ადგილები, სადაც საქონელი მიდის წყლის დასალევად. თევზის ქარავანი ამ დროს საქონლის მიერ ამღვრეულ და სუფთა წყლის საზღვარ-ზეა ხოლმე გაჩერებული. ასევე ანგარიშგასაწევია თევზის




32. ბახტაძე რ. „თევზჭერის ამინდი და დრო“. ქურ. „ნადირობა“ 2010წ. №2. გვ. 23.

ადგილსამყოფელის ძებნისას მონაკვეთები სადაც მღვრიე მდინარეს გამჭირვალე, სუფთა წყალი ერთვის, ან პირიქით დაწ-მენდილ მდინარეს რომელიმე სხვა პატარა: წვიმით, მეწყერ-ით, ინტენსიური თოვლის დნო-ბით ამღვრეული შენაკადი. თე-ვზის სამყოფელის საუკეთესო მიგნებაა სწრაფ მდინარეზე გი-განტური ლოდების წინ გაჩენი-ლი მორევები და უკუდინებიანი მორევები, სადაც შემდეგნაირი წესი მოქმედებს: რაც მცირეა მანძილი ძირითად ნაკადსა და უკუდინებას შორის, მით უფრო მიმზიდველია თევზისათვის.

თევზაობის დაწყების წინ მეთევზემ უნდა შეისწვალოს მდინარის ან წყალსატევის რელიეფი, წყლის სილრმე, დინების სიძლიერე და ხსიათი. გარდა ამისა, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ყოველგვარი ბუნებრივი მოვლენა, რომელიც თევზზე კომ-ბლექსურად მოქმედებს.

პატარა და საშუალო მდინარებზე თევზაობისას მიზან-შეწონილია მეთევზე დინების მიმართულებით გადაადგილდეს ვინაიდან, დამფრთხალი თევზი ყოველთვის დინების საწინააღ-მდეგოდ მიიჩეარის, ამიტომ დინების ქვემოთ თევზი დამფრთხა-ლია. ზაფხულობით დილის საათებში თევზი საკვებს წყლის შუა და ზედაპირთან ახლოს დინებაში ეძებს, მზის ამოსვლისას კი ფსკერთან ახლოს. სადაც არ უნდა ვიყოთ მთის პატარა ხევზე თუ დიდ მდინარეზე მაქსიმალური სიჩუმე უნდა დავიცვათ, უნდა მოვერიდოთ ნაპირს, მითუმეტეს თუ მზე ზურგიდან გვირტყამს. ამისათვის შეუმჩნევლად ნახევრად ჩამჯდარ მდგომარეობაში ვუახლოვდებით და ფრთხილად ვაგდებთ როგორც ანკესს ისე ბადეს, ჩვენში ერთი ასეთი ხალხური გამოთქმაც კი არსებობს: „წყალს ჩრდილი დაეცა, მეთევზეს თევზი გაექცა“.

გახოსვდეთ! სახლში იმდენი თევზი ნაიღეთ, რამდენიც თქვენს ოჯახს ერთ ჯერზე ეყოფა, წვრილი და საშუალო ზომის თევზი კი დაჭერისთანავე გაუშვით, განსაკუთრებით ქვირითო-ბის დროს.



კუნძულის უწყებული მდგრად  
დოკუმენტი


## თევზის მოსატყუებელი:

— ყველა სახეობის თევზის თავისებური ბილოგიური ხა-  
სიათი, სითბო, სიცივის მოთხოვნილება და კვების მანერა აქვს,  
რომლის ცოდნა დიდად მნიშვნელოვანია. ტემპატარატურას,  
რომლის მერყეობა წყლის გარემოში გაცილებით უფრო ნაკლე-  
ბია ვიდრე ხმელეთზე დიდი როლი ენიჭება თევზების ცხოვრე-  
ბაში. თევზები წარმოადგენენ ეგრეთ წოდებულ „ცივსისხლიან“  
ცხოველებს. მათი სხეულის ტემპერატურა დამოკიდებულია  
გარეგანი გარემოს ტემპერატურზე. წყალში ტემპერატურის მო-  
მატება იწვევს თევზის გაძლიერებულ კვებას, ჩქარდება სქესო-  
ბრივი მომწიფება, იზრდება სხეულის წონა და ა. შ. ტემპერატუ-  
რის დაწევა იწვევს აღნიშნულ მოვლენათა ტემპის შემცირებას,  
ხოლო ზოგი თევზის, მაგალითად: კობრის, ორაგულის, კარასის  
და სხვათა ძილს.

თევზაობის დროს უმნიშვნელოვანესი პირობაა მისატყუებ-  
ლის მოპოვება, მომზადება, შერჩევა და გამოყენება. მისატყუე-  
ბელი ეწოდება იმას რაც გამოიყენება ნემსკავზე წამოსაგებად,  
თევზის მისაზიდად და დასაჭრად. მისატყუებელი იყოფა 2 ჯგ-  
უფად: ცხოველურ და მცენარეულ სატყუარებად.

თევზაობისათვის საჭირო ცხოველური სატყუარა უამრავია:  
წყალსატევებში, წყალმცენარეებზე და ხმელეთზე მცხოვრები  
ყველა მწერი და მისი მატლი საუკეთესო საკვებია თევზებისათ-  
ვის. მტაცებელ თევზებზე მისატყუებლად გამოიყენებენ წვრილ  
თევზებსაც. ხმელეთზე მცხოვრები სატყუარებია: ნაკელის ჭია,  
ნეშოს ქვეშა ჭია, მოთეთრო  
ჭიაყელა, მუხლუხო, კუტ-  
კალია, ლოკოკინა და სხვა.

ქსნის ხეობის სოფელ  
მუხრანში ჩვენმა რესპო-  
დენტმა კოლია ოქრუაშ-  
ვილმა გვითხრა, რომ გასუ-  
ლი საუკუნის 80-იან წლე-  
ბამდე სოფ. როზენტალის



— „ვარდისუბნის“ — ქათმების ფერმის სანაგვეზე მოპოვებული ქათმის მატლი საუკეთესო ცხოველურ სატყუარას წარმოადგენდა მრავალი სახეობის თევზის დასაჭერად, რომელიც კი გავრცელებული იყო მტკვრის აუზში. რესპოდენტის თქმით, როგორც თბილისიდან ისე ახლო-მახლო ადგილებიდან მოდიოდნენ და დიდი რაოდენობით მიჰქონდათ ზემოთ აღნიშნული ცხოველური სატყუარა. მუხრანელთა თქმით, მთელ რიგ თევზებზე სანადიროდ, ნემსკავზე წამოსაგები საუკეთესო საშუალება იყო ასევე სახლის სხვენზე სტრაფილებსა და კრამიტზე მიმაგრებული კრაზანის მატლები.

უპრიანია თევზაობის დასაწყისში პირველივე დაჭერილ თევზის გავუჩრაათ მუცელი და იქ ნანახი ჭია-ლუათაგან ერთ-ერთზე შევაჩეროთ არჩევნი, როგორც უკვე დადასტურებულ, რეალურად ყველაზე საუკეთესო სატყუარაზე. ხმელეთზე მცხოვრები სატყუარებიდან ყველაზე გავრცელებული და შეუცვლელი ჭიაყელაა. მათი შერჩევის დროს გასათვალისწინებელია თევზის სახეობა და სიდიდე, ნემსკავის ზომა. შეცდომა იქნება დიდ ნემსკავზე პატარა ჭიის აგება, რის შედეგადაც სატყუარა კარგავს ბუნებრივ სახეს და თევზი არ ეკარება. არსებობს მიწის ჭიის რამდენიმე ათეული სახეობა, მაგრამ მეთევზები იყენებენ მხოლოდ რამდენიმეს. ნაკელის ჭია მრავლდება გადამწვარ ნაკელში (გამოირჩევა მუქი წითელი ფერით), ნახევრად დამპალ თივაში, საქონლის სადგომ ადგილებში, მიწაში — ეს უკანასკნელი ღია მოლურჯო — ვარდისფერია, სხვა ჭიებისაგან მძაფრი სუნით განსხვავდება, ხელის მოჭერის დროს გამოყოფს ყვითელ სითხეს, კანი შედარებით მკვრივი აქვს და კარგად მაგრდება ნემსკავზე. ჭიაყელის წამოგება იწყება თავის მხრიდან, რომელიც მოწითალო-მოისფროა, კუდის მხარე ბაცი. აგროვებენ ფოთლებისა და თივის გადაქექვის შედეგად, დიდი ხნის დაყრილ ხეების ქვეშ.

მიწის თეთრი ჭია გვხვდება მდელოზე, ნახნავში, ბალში, მდინარის პირა სველ ადგილებში. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული არცერთი სახეობის ჭია არ მოიპოვება მდ. ქსნის ალპურ ზოლში — ბაგინში, ჭურთისა და ჟამურის ხეობებში.

„თევზაობის დროს ჭია უნდა შეინახოთ მჭიდროდ ნაქსოვ ტილოს პარკში, ოდნავ ნესტიან ხავსთან ან ნემომპალასთან

ერთად. დაუშვებელია ჭიების შენახვა მზეზე, უპაეროდ, მშრალ მასაში<sup>33</sup>.

ტივტივიანი ანკესით თევზაობის დროს ტივტივა მოწყობილობის უმნიშვნელოვანესი და შეუცვლელი ნაწილია. ტივტივა მიანიშნებს თევზის სატყუარაზე მიკარებას და ნინკნას, თან ამავე დროს ანკესს საჭირო სიმაღლეზე აფიქსირებს.

„ტივტივა კარგია თუ ის მცირე ზომისაა, აქვს მაქსიმალური ტვირთმზიდაობა და მგრძნობიარობა. ის ადვილად უნდა იძირებოდეს, უნდა იყოს მკვრივი, ადვილად უნდა მაგრდებოდეს ძუაზე, თავისი შეფერილობით არ უნდა აფრთხობდეს თევზს და არ უნდა იულინთებოდეს წყლით, ყველა ამ მოთხოვნას „პენოპლასტისაგან“ დამზადებული ტივტივა აკმაყოფილებს. ის მარტივი და ადვილი დასამზადებელია. პენოპლასტის შემცვლელია კორპი“<sup>34</sup> რაც უფრო პატარაზეა ამოშვერილი ტივტივას ზედა ნაწილი წყლის ზედაპირიდან, მით უფრო მგრძნობიარეა ის. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ფრთხილი თევზების მაგ., კალმახის დაჭერის დროს. მგრძნობიარობა დამოკიდებულია ტივტივას კონფიგურაციაზე. არსებობს მრავალი კონფიგურაციისა და სახის ტივტივა. ყველაზე მოსახერხებელია თითისტარის ფორმის, ის ადვილად იძირება და ნაკლებ ნინაალმდეგობას ქმნის თევზის ამოყვანის დროს. თუ ტივტივას არასწორი ფორმა აქვს, მაშინ ის ძნელად იძირება, რასაც თევზი გრძნობს და სატყუარას ნემსკავთან ერთად პირიდან აგდებს.

ტივტივას ზომას განსაზღვავს ანკესის ტყვია და სატყუარას სიდიდე. ტივტივასათვის საუკეთესო მდგომარეობაა, როცა ის ვერტიკალურად დგას. ასეთ მდგომარეობაში ტივტივა კარგად ჩანს, ადვილად იძირება და მეთევზე მაშინვე ალიქვამს სატყუარაზე უმნიშვნელო მიკარებას. ტივტივა რომ წყლის ზედაპირზე კარგად გამოჩნდეს



33. რევაზ პახტაძე. „თევზის მისატყუებელი“ ჟურნ. „ნადირობა“ 2007. № 7. გვ.34

34. მისივე ანკესით თევზაობის ძირითადი პრინციპები, ჟურ. „ნადირობა“ 2007. № 9. გვ.31

საჭიროა მისი ზედა ნაწილი შეიღებოს ყვითლად, წითლად და სხვა რომელიმე მუქ ფერად, ხოლო მისი ქვედა ნაწილი ბაც რუხად, წყალში უხილავი რომ იყოს.

ნემსკავი არის სათევზაო ანგესის ძირითადი ელემენტი. მისი ხარისხი და სწორად შერჩევა განსაზღვრავს თევზჭერის შედეგს. ნემსკავი არსებობს ორნაირი: მოკლე და გრძელ ღეროიანი. მოკლე ღეროიანს იყენებენ მცენარეული სატყუარათი თევზაობისას, ხოლო გრძელ ღეროიანს ცხოველური (კალია, მუხლუხო, ჭიაყელა და სხვა) სატყუარასათვის. ნემსკავის ზომა უნდა განისაზღვროს თევზისა და სატყუარას სიდიდის მიხედვით, მაგრამ ყოველთვის უნდა ეცადოთ, რომ ნემსკავი ნაკლებად შესამჩნევი იყოს.

ნემსკავებს განასხვავებენ აგრეთვე ღეროს დაბოლოების მიხედვით. ერთია ნიჩბიანი თავით, მეორე რგოლიანით. მათი შერჩევა ხდება „პოვადოკის“ მიხედვით: ელასტიური და წმინდა „პოვადოკის“ დროს მიზანშეწონილია ნიჩბიანი ნემსკავი, ხოლო ხისტისათვის რგოლიანი უფრო მოსახერხებელია. აუცილებელია დიდი ნემსკავის ხმარების დროს სათევზაო ჯოხის წვერი მკვრივი იყოს და პირიქით, თუ პატარა ნემსკავით და სატყუარათი თევზაობთ მაშინ ჯოხის წვერი ელასტიური უნდა იყოს.

საძირავის დანიშნულებაა სატყუარა დააფიქსიროს საჭირო სიღრმეზე და ადგილზე. თევზაობის მეთოდის მიხედვით იყენებენ სხვადასხვა ზომის და ფორმის საძირავს. მდინარეზე ფსკერული თევზაობის დროს იყენებენ ბრტყელ, მასიურ საძირავს, წყლის ნაკადმა ადვილად რომ არ გადაადგილოს, ტივტივიანი ანკესით თევზაობისას კი გამოიყენება ტყვიის ფირფიტები ან ჩაჭრილი სხვადასხვა ზომის საფანტი.

შესაძლებელია ზოგჯერ ხელი არ მიგვიწვდეს ძვირადლირებულ სათევზაო მოწყობილობებზე, მაგრამ დაინტერესების შემთხვევაში კაცი ყოველთვის გამოძებნის გამოსავალს.

მთის მდინარეებზე და ვიწრო ხევებში კალმახზე სათევზაოდ გული თუ მიგიწევთ, აიღეთ სამ მეტრიანი თხილის სახრე-ჯოხი, გაქერქეთ და რამდენიმე დღით მზეზე ჩამოკიდეთ წვერით. აიღეთ 0,4 მილიმეტრიანი ძუა, ჩააბით ჯოხის წვერზე სადაც პატარა ძნელად შესამჩნევი განტოტვა აქვს. ძუა ჯოხზე 20-25 სან-

ტიმეტრით მოკლე უნდა დააყენოთ. კალმახისათვის 7-8 ნომერი ნემსკავია სასურველი. ნემსკავიდან 15 სანტიმეტრში ძუაზე დაამაგრეთ 5-10 გრამიანი დინების სიჩქარის შესაბამისი ტყვიის ბურთულა და ანკესიც მზადაა.

შემდგომი ეტაპი სანსალას (ლორტავის) ან ჭიაყელას შეგროვებაა. სანსალა კალმახისა და მურნას — წვერას ნუგბარი საკვებია, მას მდინარის მძლავრ ჩქერებში მოვიპოვებთ. მდინარის ჩქერიდან ამოღებული ყოველი ქვის ქვეშ მრავალ მოფუსფუსე მწერს დაინახავთ, მათ შორის სანსალა თავისი ფორმით და სიდიდით გამოირჩევა. იგი ოვალური და ბრტყელია, ზურგი რუხი აქვს, მუცელი კი თეთრი ან მოვარდისფრო. გაჭყლეტილს თევზის სუნი დაპერავს. სანსალა რაც უფრო დიდია, მით უფრო უკეთესია. უმჯობესია 1,5-2 სანტიმეტრის სიგრძისა. სანსალა ადვილად კვდება და კარგავს სატყუარის თვისებებს. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ნაჭრის მცირე ქისა, რომელშიც მომარაგებულ სანსალას ხშირ-ხშირად დავასველებთ ხოლმე. აღნიშნული სატყუარა ნემსკავზე თავით მუცლისკენ უნდა ნამოვაგოთ და ჯოხი მდინარის დინების სანინაალმდეგოდ მოვიქნიოთ. მთის სწრაფ და პატარა, დიდ ლოდებსა და მურყნიანტირიფიან ხევებზე სახელდახელოდ გამართული ანკესით ტივტივის გარეშე უფრო მიზანშეწონილია თევზაობა, ამიტომაც კონტაქტი სანსალასა და თქვენს შორის ერთი წამითაც არ უნდა შეწყდეს. ნემსკავზე წამოგებულ სატყუარას წყალში ჩავარდნისთანავე დინება გაიტაცებს, სწორედ აქ გვმართებს მაქსიმალური ყურადღება. სატყუარა ისე უნდა ვმართოთ, რომ მან რაც შეიძლება ახლოს ჩაიაროს ფსკერთან და ამ დროს ერთხელაც არ უნდა მოეშვას ძუა. მთის პატარა ხევებზე თევზაობისას მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ ლოდებს შუა და ლორდში დამარხულ ნარიყს არ წამოედოს ანკესი, რაც შეიძლება ძუის მთლიანად დაკარგვით დამთავრდეს.

კალმახი აგრესიული, მტაცებელი თევზია. დარტყმა მეტად ძლიერი აქვს და სხვა თევზებისაგან ამითაც გამოირჩევა, სპორტული თვალსაზრისით კალმახზე თევზაობა ამიტომაა განსაკუთრებით აზარტული. რაც შეეხება თევზის დარტყმას — პირველად ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს ნემსკავი რაღაცას

წამოედოო, ამას წამში მძლავრი დარტყმა მოჰყვება, რომელიც უწყვეტ როკვაში გადაიზრდება. კალმახს რქოვანი ხახა აქვს და თუ დროზე არ მოვქაჩეთ ჯოხი ჩვენსკენ ის უკვე წასულა და ნემსკავზე მხოლოდ სანსალას ან ჭიაყელას ნარჩენი ფრაგმენტები-ლა შეგვრჩება. გატყევებულ ვიწრო ხევებზე თევზაობისას დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ კალმახის ამოვგანისას, ანკესის ჯოხი ემოციებს აყოლილებმა, გაუაზრებლად არ ამოვკრათ და მურყნის ან სხვა რომელიმე ხე-ბუჩქის ტოტებს არ შევანასკვოთ.

ქართლის მთიანეთში, ქსნელ მომთაბარე მეცხვარეებს დიდ და პატარა ლიახვის სათავეებში თევზის სიმრავლით ბევრჯელ უსარგებლიათ და საჭირო მოწყობილობების გარეშე, ძაფზე გამობმული „გულაპკით“, ხშირად დაუჭერიათ მთის უგრე-მიელესი კალმახი. საერთოდ წარმატებული თევზაობისთვის საჭიროა: თევზის ცხოვრების ნირის, ჩვევების, ქცევის, ბინად-რობის, ადგილ-სამყოფელის და იმის ცოდნა თუ რითი იკვებება ის.

თევზჭერის სახეობებიდან ზოგი განკუთვნილი იყო საზაფხულოდ, ზოგი საშემოდგომოდ, ზოგიც საზამთროდ. მაგ.: ნემსკავით, ტოტის დაწყვეტით, ფაცრით თევზის დაჭერა შეუძლებელი იყო ზამთარში. ხალხში გავრცელებული აზრით, ზაფხულში და შემოდგომით, ქვირითობაში, თევზის დაჭერა ცოდვად ითვლებოდა: „თუ თვის სახელში ბეგრა „რ“ არ ურევია, იმ თვეში თევზი არ იჭმევაონ“. ნამდვილი მეთევზები ერიდებოდნენ თევზის ჭერას ქვირითობისა და გამრავლების-„მუნიობის“ დროს.

მეთევზეობასთან დაკავშირებული იყო ზოგიერთი რიტუალი, კერძოდ: სათევზაოდ გასული კაცი მოერიდებოდა თარსს და წითურს, ისეთსაც რომლის შეხვედრა დაცდილი არ ქონდა, ამიტომ როგორც წესი, ვინც სათევზაოდ მიღიოდა გვერდზე არ იყურებოდა, არავითარ შემთხვევში მეთევზე უკან არ მიბრუნდებოდა, მეთევზებს არ ესალმებოდნენ, იგი არასოდეს უპასუხებდა დადებითად კითხვას „სათევზაოდ მიღიხარ?“ ან „სად მიდიხარ?“, პირველ თევზს, დაჭერისთანავე კუდს მოაკვნეტდა მეთევზე. თუ თევზი პატარა იყო წყალში გადააგდებდა დიდს კი ტომარაში. თევზაობა ძალზე ცუდი შედეგით მთავრდებოდა თუ ქალს წაიყვანდა ვინმე თან. ამიტომ ბოლო დრომდე ტრადიციად არ იყო მიღებული სათევზაოდ ქალების წაყვანა.



პირში თევზგაჩრილი მებადური

ვაში!.. იძახდა ილბლიანი გიგია და შედეგიც არ აყოვნებდა, ყოველთვის ხელდამშვენებული ბრუნდებოდა შინ ოჯახის „მაწყევარი“.

გასული საუკუნის შუა ხანებში, ქსანზე, ქარჩოხში ცხოვრობდა ანკესით მოთევზავე გიგია ქენქაძე, რომლის ოჯახის კვების რაციონში დიდი ადგილი ეკავა თევზეულს. გადმოცემით მას ხშირად, თითქმის ყოველთვის ნარმატებული თევზაობა გამოსდიოდა თუ წყლიდან ამოყვანილ, ყოველ დაჭერილ თევზზე იტყოდა: „ღმერთო დიდებულო, დიდო წყალაფთარო, ჩემი ოჯახის ქელებში მომანდომე! ჩემი ცოლ-შვილის წირვაში მომახმარე! ჩემი შვილების წირვაში!.. ჩემი შვილების წირვილების წირვაში!..“

## პალით თევზაობა

თევზჭერა და მასთან დაკავშირებული იარაღების გამოყენება განსაზღვრული იყო მათი პრაქტიკული და ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით. იარაღის სრულყოფა არ ნიშნავდა ახალ იარაღზე უარის თქმას. მებადურეობის განვითარებამ ჩრდილში მოაქცია ანკესით თევზაობა და გასართობ-სპორტულ საქმიანობად აქცია იგი. დღეისთვის მეთევზეობა, მებადურობა აღარ არის, რადგან ყოველდღიურ ცხოვრებაში დაინერგა თევზჭერის ახალი ხერხები და ბადის როლი მინიმალური გახდა.

ბადით თევზაობა და მისი ზომები განპირობებული იყო მდინარის ხასიათზე, დებიტზე, გეოგრაფიულ მდებარეობაზე და ა.შ. ქსნის, არაგვისა და ლიახვის აუზებში თითქმის ერთი და იგივე სახის ბადეებით იჭერდნენ თევზს ადგილობრივი მცხოვრებნი. დროთა განმავლობაში იცვლებოდა, იხვენებოდა ბადეები. გერმანელი მკვლევარი, იოჰან ანტონ გიულდენშტედტი რომელიც რუსეთის მეცნიერებათა აკადემის მიერ დაფინანსებული ექსპედიციას ხელმძღვანელობდა საქართველოში, თავის 250 წლის წინანდელ ჩანანერებში ახსენებს ბადეს, რომლითაც მდ. ქსნის ზემო წელზე მებადურეები თევზს იჭერდნენ: „...აქ თევზაობენ (ქსნის ზემო წელზე ვ.ქ.) პატარა, ერთი საუენი სიგრძის და სიგანის ბადით, რომელსაც ამძიმებს და კიდული ლითონი“.<sup>35</sup>

პატარა ბადე, რომელსაც კალმახის ბადე ერქვა, გამოიყენებოდა ძირითადად მთის მდინარეებში. მას ასე ახასიათებდნენ მეთევზეები: „პატარა კალმახის ბადე, არის 40 თვლიანი და ექვსი ნამატი თვლით. მას 90 ტყვია (მძივი) აკრავს. თითო ტყვია 40-50 გრამი უნდა იყოს.“<sup>36</sup>

ქართლში გავრცელებული იყო ძირითადად სამი სახის ბადე: 1. სასროლი ბადე, 2. მოსასმელი ბადე, 3. ჩასაგები ბადე. პირველ და მეორე ბადეს თითო კაციც გაართმევდა თავს, ჩასაგებს კი მინიმუმ სამი კაცი მაინც უნდოდა.


ბადეზე ხშირად ტყვიის ნაცვლად მძივებად რკინის რგოლებს ხმარობდნენ, რაც ხმაურიანია. გაშლისას და აკრეფის დროს რაკი-რუკი გაუდის. სასროლი ბადის ნაწილებია: კალთა ორმოცი რიგი; ბეჭი 28-30 თვალი — 20 მმ. და კალთის თვალი 16-18მმ.

ბადეს სჭირდება ორი თოკი, ზედა თოკი და ტყვიებში გასაყრელი თოკი. ზედა თოკი უნდა ყოფილიყო 5-6 მეტრი. ეს ორივე თოკი აუცილებლად ბამბის ძაფის უნდა იყოს, რათა სროლისას ქვებს შუა ჩაწვეს და თევზი არ გაიქცეს. სასროლი ბადე მდინარის სათავეებთან უფრო მცირე ზომისა იხმარებოდა, ვიდრე მდინარის შესართავთან. საქსოვად ძაფი აბრეშუმის ან ბამბის უნდა ყოფილიყო. ძველად იყო კანაფი და სელი.


35. ი. ა. გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში. ტომი I. თბ. 1962. გვ. 97

36. ბერიძე მერაბ, მებადურობა, თევზჭერა, სახელები, თბ. 2005, გვ. 26

ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენაკადი სწორედ ჩვენი დიდი მგოსნის ვაჟა-ფშაველას მემკვიდრეობაა, შესანიშნავად გვიხატავს ორაგულის



ჩასაგები ბადე მუხრანიდან



ცხოვრებას, სადაც მრავალ საინტერესო ცნობებს გვაწვდის არაგვში გავრცელებულ ამ უნიკალურ თევზის ჯიშზე და მის მტრებზე, თევზჭერის ხერხებზე და საშუალებებზე. მწერალი თავის პროზაულ ნაწარმოებში (დაწერილია 1912 წელს) „ორა-გულის ცხოვრება“ ალაპარაკებს კასპიის ზღვიდან, მტკვრით — არაგვში შემოსულ დედალ-მამალ ორაგულს და მოიხსენიებს იმ-დროინდელ „საორაგულე ბადეს“.

„წავზე უარესი მტერი ჩვენ ადამიანი გვყავს. აბა იფ-იქრე რამდენი მანძილი უნდა გამოვიაროთ ზღვიდან აქამომდე და თითო ფეხის გადადგმაზე ასი და ათასი მტერი გვიცდის ზოგი ჩანგლით, ზოგი თოკით, სხვა ბადით, ეს სასროლი ბადე ვარო, ეს მოსასმელიო, მცხეთელებს გარდა იმისა, რომ ფაც-ერს გვიდგამენ იქ, სადაც არაგვი ერთვის მტკვარს, შემოუღიათ სხვანაირი გუდულის ბადეები, რომელსაც საორაგულე ბადეს უძახიან. გაუგიათ, შეუსწავლიათ ჩვენი ზნე; იციან კარგად, რომ ორაგულები, როცა წყალი ადიდდება პირალმა ნაპირზე ვდგე-ბით; საშიშროებას ვერიდებით. მეთევზეც მოაყოლებს ამ ბადეს ზევიდან — თავქვე, რომ გუდულაში თავი ჩაგვაყოფინოს და შემ-დეგ მშრალზე ტყაპანი გაგვადინოს“...<sup>37</sup>

ამჟამად ისეთ დიდ მდინარეებზე როგორიც მტკვარი და ალაზანია თევზაობენ ე. წ. „პუტანკა“ ბადეებით, რომლებიც სიგ-რძით 15-25 მეტრია, სიგანე კი 1,50 სანტიმეტრი.

ტექნიკის განვითარებამ იგივე მდგომარეობაში ჩააყენა ბადე, რა მდგომარეობაშიც ამ უკანასკნელმა ანკესი. ამჟამად ბადით თევზაობა უფრო სპორტისა და გართობის სახეობაა, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ ბრაკონიერთა ოჯახურ ტრადიციებს, შემოსავლის წყაროდ თევზჭერის გახდომას. აქვე მინდა აღინიშ-ნოს ვანდალური მიღვომა ჩვენი ბუნების მარგალიტის — უნი-კალური კალმახისადმი ჩვენივე ხალხის მხრიდან. დღეს „ყოჩა-ლი, გერგილიანი ბიჭები“ დენის აპარატით იჭერენ და რესტორ-ნებში 30 ლარად აბარებენ გადაშენების პირზე მისულ, „წითელ ნუსხაში“ შეტანილ ენდემური ჯიშის შავ კალმახს.

37. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბ. 1987, გვ. 336

## სათევზაო ბადეაპის რელიგიური მნიშვნელობა

— სათევზაო ბადე გამოიყენებოდა არა მარტო თევზის და-საჭერად, არამედ „ჩვენი წინაპრების რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, მას მიენერებოდა ავი თვალის და უუმურისაგან ადა-მიანის დაცვის უნარი. ამით უნდა აიხსნას ახალდაბადებულ ბავშვება და მშობიარე ქალზე მისი გადაფარების ჩვეულება, რადგან ხალხის წარმოდგენით ავი სულები განსაკუთრებით მათ ემტერებოდნენ“.<sup>38</sup>

ეთნოლოგისა და ქართველი ერის სულიერი კულტურის მკვლევარის ვერა ბარდაველიძის აზრით, ეს შეხედულება მომ-დინარეობს: „იმ მსოფლმხედველობიდან, რომ ადამიანთა ყო-ფა-ცხოვრებას მართავს ორი ძალა, ორი დასაბამი: კეთილი და ბოროტი, რომელთა შორის მუდმივი ბრძოლაა. ეს ორი ძალა გან-საკუთრებით მძაფრდება სიცოცხლის საკითხში და რამდენადაც ქალი ჭურჭელია, რომელშიც ისახება ახალი სიცოცხლე, ამდე-ნად ის ხალხის თვალში წარმოადგენს მეტად მიმზიდველ არეს კეთილი და ბოროტი სულების ჭიდილისათვის“.<sup>39</sup>

მშობიარობისას ქალის ავი თვალისაგან ბადით დაცვის შეს-ახებ ყველაზე ადრეული წერილობითი ცნობა მოეპოვება ვახ-ტანგ ბატონიშვილს: „რა უამსა განთავისუფლდის ქალი, იგი იშვის ყრმა, წარვიდის მთხოობელი მათთა ნათესავთა და მე-გობართა თან და სამშობლოსა ქალისასა, დღესა მესამესა, უამ-სა ბინდისასა შეაწვენენ ქალს ტახტსა ზედა დილით ტურფითა საგალობელითა და გარდააგდებენ ბადებრ მშვენივრად მოქსო-ვილსა ბალდახინად“.<sup>40</sup>

სამეგრელოში არქ. ლამბერტის ცნობით სათევზაო ბა-დით ფარავდნენ ავადმყოფის ლოგინს და ბავშვის აკვანს. იგი ასუფთავებდა ჰაერს ავისულებისგან. გურულთა წარმოდგენით მელოგინე, რომ მორჩებოდა 15 დღე თავზე ბადე უნდა ჰქონოდა გადაფარებული.

38. მირიან შვილი ქ., სათევზაო ბადეების რელიგიური მნიშვნელობა; მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის, ტ. XXIII. თბ. 1087. გვ.232.

39. ბარდაველიძე ვ., ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუ-ალი მთიან ქართლში; საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. თბ. 1927. ტ. IV. გვ. 254

40. ვ. ბატონიშვილი, ისტორიებრივი აღნერა. თბ. 1914. გვ.18.

ავი თვალისგან დასაცავად საქართველოს ზოგიერთ კუთხებში ბადის გაფენა იცოდნენ აკვანზე, სახლის მთავარ შესასვლელში და ყველგან, სადაც კი საჭიროდ ჩათვლიდნენ ადამიანის დაცვას უხილავი ავი ძალებისგან. ბადე აუცილებლად ნახმარი, წყალში ნამყოფი უნდა ყოფილყო. რაც უფრო ძველი იქნებოდა ბადე მით უფრო დიდი ძალა ჰქონდა.

## ხელაობა

მეთევზეობის დაწინაურებას ჩვენს ქვეყანაში ხელს უწყობდა ზღვის უშუალო სიახლოვე, თევზით მდიდარი ტბებისა და მდინარეების სიუხვე.

ოცდამერთე საუკუნეში ჯერ კიდევ შემორჩენილია თევზჭერის ისეთი უმარტივესი სახე როგორიცაა ქვების ქვეშ ხელით ჭერა, რასაც ჩვენში „ხელაობას“ უწოდებენ. „ხელაობდნენ“ ძირითადად მდინარეების ან მათი ტოტების დაშრობისას ან ახალ კალაპოტში გადაგდებისას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ წყლის დონის ვარდნისას (დაშრობისას) თევზი გრძნობს მოახლოებულ საფრთხეს, სწრაფად ტოვებს ძველ სამყოფ ადგილს და მიიღოვის წყლის დინების მიმართულებით სილრმეებისკენ, ამ დროს მოთევზავები ბუჩქების ტოტებით, ბელტებით და ლამით დამშრალ ტოტს ბოლოში „უკრავენ პირს“ და იწყება „ხელაობა“, ანუ ტოპვა. შეკრული პირის ქვემოთ ანთებენ ცეცხლს, რაც საკმაო ეფექტს იძლევა თევზის გადინებისთვის. ჩვენ შემდგომ გავამახვილებთ ყურადღებას განათებისა და მუსიკის ფაქტორზე.

ტოტის დაწყვეტა შრომატევადი საქმეა. გადასაგდები წყლის მთელ სიგანეზე კეთდება ბელტის კედელი. თუ მოზრდილი წყალია ბრეზენტით ან ცელოფენებით კეტავენ. აღნიშნულ სამუშაოს 4-6 კაცი უნდა. სანამ წყალი დაშრება მანამდე ბოლოში ფაცერს ან მანეულით დაწნულ გოდორს უგებენ. წყალი სათავიდან უნდა დაიწმინდოს და მოთევზავები აუცილებლად ბოლოდან შემოჰყებიან ხელაობით და ჯოხების ჩევერით, რადგან ამღვრეული წყალი გაუჩხრეაველ ტერიტორიაზე ხელს ვერ შეუშლის, თანაც დამფრთხალი თევზი ხშირად დინების საწინააღმდეგოდ მიდის.

ხელაობის დროს არ გამოიყენება თევზჭერის არანაირი საშუალება. ამ დროს უკეთესია წყალი გამჭვირვალე იყოს, რადგან ქვების ქვეშ ხელის შეყოფისას და ხელის გულებში მომწყვდევისას თევზი ზოგჯერ გამორბის ღრმულიდან გარეთ და გვერდით ქვის ქვეშ ძრება. აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით მოსწონთ მოზარდებს, როცა ქვებზე განოლილები დამკლაული ხელებით ქვის ქვეშ კალმახს თითის წვერებს შეახებენ და დაიყვირებენ: „არის ბიჭო არის!“, შემდეგ განცდებში ჩავარდნილები და ემოციას აყოლილები, სახის არტისტული გამომეტყველებით ხელისგულებში მოქცევენ სხარტ კალმახს და ლაყუჩებით გადაისცრიან თავმონონებით ნაპირზე.

ხელაობა ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში მიჩნეულია თევზჭერის უძველეს სახეობად, რაც ძირითადად პატარა წყლებში და ფშა-წყაროებზეა შესაძლებელი თანაც კალმახზე და მურნაზე.

## ოჩეი

ბუნებრივია, რომ ადამიანი სანამ ხელოვნურად მოწყობილ თევზის დასაქერი საშუალებების, კერძოდ „ოჩის“ მოწყობას ისწავლიდა მანამდე ბუნებრივად არსებული ღრმულებით სარგებლობდა, სადაც თევზი დიდი რაოდენობით თავს იყრიდა და ადვილი იყო მისი დაჭერა. თევზჭერის ამ სახეს აღწერს ვახუშტი ბატონიშვილი და მას როგორც „ღრუდოს“ ისე იხსენიებს.

ადამიანებმა მდინარეებში ბუნებრივ ორმო-ადგილებზე დაკვირვებით და იქ თევზჭერით მიღებული გამოცდილების საფუძველზე დაიწყეს ხელოვნური ღრმულების მოწყობა. ასეთი მოქმედებისკენ ადამიანს უბიძებდა როგორც კვებითი მოთხოვნილება, ისე ეკონომიური დაქვეითება, რაც სოციალურად დაუცველ, მდინარის პირას მცხოვრებ გლეხის ოჯახს უჩნდებოდა.

ადამიანი, ზამთარში საკვებით დაცული და უზრუნველყოფილი რომ ყოფილიყო ხშირად მიმართავდა ოჩით თევზჭერას, რომლის მოწყობა საკმაოდ დიდ ცოდნა-გამოცდილებას და ენერგიას მოითხოვდა. ხშირად რამდენიმე კაცი, გვარი და სოფელიც კი შეიკრიბებოდა, აირჩევდნენ ამ საქმეში გამოცდილ პირებს და რამდენიმე ოჩს მოაწყობდნენ მდინარეზე.

ქსნის ხეობაზე ოჩხის გაკეთება და ჩადგმა იცოდნენ მტკვრის შესართავიდან სოფ. ქურთამდე და კორინთამდე. ამ სოფლების ზევით როგორც მდ. ალეურაზე ისე ქსნის მთავარ დინებაზე ბატონობდა კალმახი და იკლებდა ისეთი წვრილი თევზი, რომელიც ადვილად შედიოდა ოჩხში. მოგეხსენებათ, რომ კალმახი ძალზე იშვიათად თუ შევიდოდა ხელოვნურად მოწყობილ ზამთრის საბუდარში და თუ შევიდოდა უფრო ცუდი, ჭამდა და ანადგურებდა ოჩხში თავმოყრილ, სითბოს მოყვარულ სხვადასხვა ჯიშის წვრილ თევზს. ისინიც ინსტიქტურად ერიდებოდნენ ძლიერ, მტაცებელ კალმახს და მათი გამოისობით ხშირად ოჩხი ცარიელი რჩებოდა. ამიტომაც ქურთა-კორინთის ზევით ოჩხის გაკეთების არც სურვილი და არც ტრადიცია არ არსებობდა.

ოჩხზე დიდი მოთხოვნილება ბარის სოფლებს უფრო ჰქონდათ, როგორც ქსანზე ისე ლიახვ-ლეხურის ხეობებზე, ხოლო რაც შეეხება მტკვარს, იქ მთელ რიგ სოფლების მცხოვრებთ ოჩხი კვების გარდა დამატებით შემოსავლის წყაროდ ექციათ. გლეხობა ქრისტეშობისთვის ბოლოს ამოღებულ თევზეულის ნაწილს საკვებად და უფრო დიდ ნაწილს გასაყიდად ანუ საარსებოდ საჭირო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იყენებდა.

საველე მონაცემებზე დაყრდნობით ვლინდება, რომ მუხრანში, ლამისყანაში, იკოთში ოჩხის მოწყობისას ერთიდან აიგივე ხერხებით სარგებლობდნენ. სოფ. იკოთში მცხოვრებ შოთა (ლომზარი) ისაკის ძე გიგაურის თხრობით (დაიბადა 1949წ.) „ქსანზე ოჩხის მოსაწყობად 3-4 კაცი მივდიოდით, მდინარეზე შევარჩევდით ისეთ მდორე ადგილს, სადაც წყალი უფრო დაბლობში გადადიოდა (წყალდიდობის შემთხვევაში მდორე ადგილზე რჩებოდა ლამი და გადასასვლელში მოწყობილი ოჩხის ორმო კი სუფთა და გაუბიდნავი“. მისივე თქმით შერჩეულ ადგილზე ამოიღებდნენ 1.5X1.5 ორმოს სიღრმით ერთ მეტრამდე. შიგ საშუალო ზომის ქვებით წრიულად ამოაშენებდნენ კედელს ისე, რომ ორმოს თავი დაეფარა წყალს. შესასვლელს წინიდან, დინების მხარეს გაუკეთებდნენ. აღნიშნულ წრიულ ყორეში ათავსებდნენ ხის ტოტებს, ჩალას, ლამს, ძვლებს, ხშირად საქონლის ტყავს და ქვით გადაფარებულ ორმოს სხვისი თვალისთვის ძნელად შესამჩნევს ხდიდნენ. ოჩხს ტოვებდნენ სექტემბრიდან დეკემბრის ბოლომდე, ზოგჯერ იანვრამდე და თებერვლის

შუარიცხვამდეც. ოჩეიდან თევზი უნდა ამოელოთ მანამ, სანამ დათბებოდა და წყლის დონე მოიმატებდა.

სამცხე-ჯავახეთში ასეთ ხელოვნურად მოწყობილ ორმოს როგორც ჩვენთან „ოჩხს“ უწოდებდნენ. მსგავსი წესით თევზის ჭერა დადასტურებული აქვს ჯ. სონღულაშვილს მტკვირს ხეობაში. „მდინარის პირა ადგილები ნაწილდებოდა გვარში შემავალ ოჯახებზე. ოჩხისთვის ორმო მდინარეში ითხრებოდა აგვისტოდან სექტემბრის გასვლამდის ერთ მეტრ სიღრმემდე. სიგანე იქნებოდა 2,5 მ. ორმოს ამოთხრის შემდეგ მრგვლად ამოაშენებდნენ ორპირ კედელს, ხოლო კედელის შეაში გარშემო ჩაყრიდნენ სილას და წვრილ ხრეშს, აგრეთვე ნაძვის ტოტებს. ოჩხს კარები უკეთდებოდა ქვევიდან“.<sup>41</sup>

თევზის ჭერის ხელოვნურად მოწყობილი ორმოები იცოდნენ იმერეთშიც, სადაც უფრო მომცროები კეთდებოდა ვიდრე სამცხე-ჯავახეთში. ოჩხში დაბუდებული თევზი გემრიელია და მას „ყინვის თევზაც“ უწოდებდნენ.

თევზჭერის მსგავსი საშუალებები აღწერილი აქვს თ. სახოკიას აჭარაში. სადაც „მოყორვას“ უწოდებდნენ, ოღონდ განსხვავებით ოჩხისაგან ეს ეწყობოდა აპრილ-მაისში. როგორც ცნობილია ოჩხების გაკეთება სართიან და სარგებლიან საქმედ მტკვარზე ითვლდებოდა, უფრო მოსახერხებლად კი ხაშურიდან ვარძიამდე. ოჩხების მოწყობაზე და სარგებლობაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის XIX საუკუნის ქართული გაზეთი „ივერია“.

„შემოდგომობით როცა წყალი გაცივდება ხოლმე მტკვრის აყოლება სოფელს გორის მაზრაში ჩვეულებად აქვთ ოჩხების კეთება მტკვრის ნაპირას. ოჩხებს ეძახიან წყლის ნაპირზე ამოთხრილ ორმოს რომელშიაც ჩაყრილია ქვა და ლორლი. ამ ქვას და ლოდში როცა აცივდება წვრილი თევზი ბინასა სდებს და იქიდან სულ ალარ გამოდის ზამთრის სიცივეში. ამ თევზს ოჩხის თევზს ეძახიან. სოფელი არ არის მტკვრის ახლოს, გვნერს კორესპონდენტი, რომელსაც ოცი და ორმოცი ოჩხი მაინც არ ჰქონდეს მოსაჩხრეები ამ ქრისტეშობის დამდეგამ. დილა ადრიან როცა ჯერ ისევ ყინავს და მზეს არ მოუვლია ცაზედ, შეიკრიბებიან გლეხნი თვრებიან არყითა და შეუდგებიან ხოლმე ოჩხის ჩხრეკასა. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ოჩხის ჩხრეკასას მრავალ ოჩხის მჩხრეკელთ საშინე-

41. ჯ. სონღულაშვილი, მასალები ქართ. ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის. თბ. 1964. გვ.37

ლი ჩხუბი და აყალ-მაყალი მოსდით და თავპირს ამტვრევენო. არა იშვიათია ხოლმე ისიცა, რომ ერთი სოფელი მეორე სოფელს მოუჩირექს ხოლმე ქურდულად ოჩხს და ახლა მაზედ შესდგება ხოლმე დავიდარაბა და აყალმაყალიო.

საზოგადოდ — კი ოჩხები მცირე სარგებლობას არ აძლევს გლეხობას ხან და ხან, როცა ამინდი ხელს მისცემს ხოლმე, ერთის ოჩხიდამ ორი და ხან სამი ფუთი<sup>42</sup> წვრილი თევზი ამოდის და ძალიან კარგს ფასადაც იყიდებაო".<sup>43</sup>

მდინარე ქსნაზე ოჩხის კეთების თავისებურ ხერხებზე გველაპარაკა სოფ. ლამისყანის მკვიდრი გია გიორგის ძე ქენქაძე (ტრიპაჩა. დაიბადა 1963წ.)

„ოჩხისთვის ვარჩევდით მდორე ადგილის დასასრულს და ჩქერის დასაწყისს. მოსაწყობად საჭიროა თივის კონები, რათა იმ ადგილს წყალი ავაცდინოთ, სადაც ოჩხის ორმო ითხრება. ორმოში პატარა ოთახის მსგავსად ბრტყელი ქვებით ვაშენებთ კედელს, შუაგულშიც ვატანთ დიდ ქვებს. კედელსა და სიმაღლეზე დაწყობილ ქვებს შორის ვათავსებთ ჩალას, ძვლებს, ბალახის ფესვებს, გარეცხილ ბელტებს. კარებს ვუტოვებთ იმ მხარეს საიდანაც თევზზს შესაძლებლობა ექნება შიგნით შესვლისა.

ოჩხი უნდა მოეწყოს მაშინ, როცა ხეებს ფოთლები გაუყვითლდებათ, ამოღება დეკემბრის ბოლოს ან იანვარში ძველით ახალ წელს ხდება. ამოღებისას კვლავ საჭიროა თივის კონები რომლითაც ადგილად დავამრობთ ოჩხის ადგილს და თევზს იოლად დავიჭროთ. ოჩხს ჩვენთან ეტანება გოჭალა, მურწა, ციმორი, გველანა — ამას ჩვენთან მებენარასაც ვეძახით. ფიჩხულიც ბევრია ჩვენთან, ოჩხშიც კარგად შედის, ბევრია ქაშაპი — ჩვენებურად ფშანტალა. ამ ბოლო დროს მომრავლდა ლორჯო, გაჩნდა წვრილი თევზი — ხამსა, რომელიც აქამდე ქსანში არავის გვინახავს. ლამისყანის ჭალებში ამჟამად კაცი თევზს ძნელად დაიჭრეს, ძირითადად „ჩხლდე“ ადგილებზელა. ცუდი რამ არის ეს დენის აპარატი, ამ აპარატმა ამოილო ქსნიდან თევზი, თორემ რა გამოლევდა ჩვენს დალოცვილ ქსანში ამ ლვთისნიერ არსებას“. ამბობს გულდანყვეტით ჩვენი რესპონდენტი და თან სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან გვეპატიუება.

ოჩხზე და იქ დაჭერილ თევზის მნიშვნელობაზე, აგრეთვე თავის სოფლის იკოთის პატარა მდინარეზე — ბუნელაზე

42. ფუთი უდრის 16 კილოგრამს და 384 გრამს, ანუ 3 ფუთი=49 კგ-ს.

43. გაზეთი „ივერია“ 1886. №260.

გველაპარაკა შოთა გიგაური „ზამთარში „ცოცხალი“<sup>44</sup>-ს (ოჩხ-ში ვ.ქ.) დაჭრა საშულებას აძლევდა ადგილობრივ მეთევზეთა ოჯახებს გამოყენებინათ საკვებად, ზოგჯერ გაეყიდათ კიდეც. რელიგიური კალენდრის მიხედვით არის ასევე საუფლო დღეები: ბზობა, ხარება, ფერიცვალება და ბევრი სამარხო დღეები ასევე ქორნილები, ქელეხები რომლის დროსაც ადამიანი ვალდებულია მოიხმაროს თევზეული“.

ჩვენს რესპონდენტს არ ახსოვს ის დრო როცა 15-20 კილოიანი ორაგულები შემოდიოდნენ ქსანში საქვირითოდ, მაგრამ ახსოვს ბუნელას კალმახები და კიდევ მრავალი სხვა ჯიშის თევზები. „ბუნელა ლორწომის მთიდან „წვერის ახოს“ ბოლოდან იღებს სა-თავეს. ზაფხულში ბალებში სარწყავად მიშვებულ რუებში ბევრ-ჯერ აგვიკრეფია სიმინდ-ლობიობებში გაჩერებული თევზი. ადრე „წყალკოდებამდე“ ადიოდა თევზი, იქვე „მლაშე წყლები“ მის ზევით თევზი ვერ ნავიდოდა, ჩანჩქერებია. ახლო პური ითესე-ბოდა და ნამკლებში „მლაშე წყალთან“ ქედანი გროვდებოდა. ჩვენ ბუნელას მარჯვენა მხრიდან სოფელშივე „ცირა ხევი“ უერთდება, იქაც ჩანჩქერებამდე ადიოდა თევზი ძირითადად მურნა, მეზობელ ახშადურის ხევში „ხევთაშუამდე“ აღწევდა გველანა და მურნა, რომელსაც ზოგი წვერასაც ეძახის. ეხლა სადღა რა არის, ქსანი დაცარიელდა, ფიტულს დაემსგავსა ფიტულს!“.

სამეგრელოში „ოჩხი“ ეწოდება იმ ადგილს სადაც ბევრი თევზი ბუდობს. ოჩხი მდ. ხობის წყალზე ადგილის სახელწოდებაცაა. „ოჩხი“ საბას განმარტებული აქვს როგორც „თევზთ საბუნაგო“ ადგილი, ასევეა 6. ჩუბინაშვლის ლექსიკონშიც, ხოლო იგივე სიტყვა „ქიზიყურ ლექსიკონში“ ახსნილია როგორ ფაცერი.

ჩვენი აზრით „ოჩხი“ და „ოჩხარი“ მნიშვნელობის მხრივ ძალიან ახლოს დგანან. „ოჩხი“ თევზის შესაკრებელს ნიშნავს სამცხე-ჯავახეთში, ხოლო „ოჩხარი“ მთელ აღმ. საქართველოში ცხვრის შესაკრებელ, ერთჯერად გაწეულ დახმარებას. მათთან საერთოს უნდა პოულობდნეს სიტყვა „ჩხა“ რაც რამდენიმე მტევნის ნაკრებს, შეკრებას, ერთობლიობას გამოხატავს. იქტიოლოგის ცნობილი მკვლევარი ქ. მირიანაშვილი ოჩხ-ს უკავშირებს მეგრულ-ჭანურს, კერძოდ ჩხომ-ს და წერს რომ „ოჩხი“ აღნიშნავს სათევზეს“.<sup>45</sup>

44. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ცოცხალს ეძახიან ხრამულს და კაპოეტს.

45. ქ. მირიანაშვილი, მეთევზეობის შესწავლისათვის საქართველოში.თბ. 1975. გვ.48

ოჩხოს განსხვავებულ ეტიმოლოგიას გვაძლევს პ. ცხადაია. იგი ანვითარებს აზრს, რომ ოჩხე-ოჩხი უნდა უკავშირდებოდეს ქართულსა და ზანგურში დაცულ ჩიხ, ჩეხ ფუძეს, რომელიც ზოგადად შემორაგულ, დასამწყვდევ ადგილს გამოხატავს.

დღესდღეობით ოჩხი თანდათან იდევნება, როგორც თევზჭერის ყოფითი ტრადიცია, თუ არ ჩავთვლით მდ. მტკვრის რამდენიმე სოფელს<sup>46</sup>, სადაც საბურავებით კვლავ მისდევენ ოჩხების კეთებას.

## ფარგლენის თემა

— როგორ ცნობილია თევზების დიდი ნაწილი მრავლდება გაზაფხულსა და შემოდგომით. ამ დროს ქვირითით მომწიფებული მდედრი მდინარეებიდან ფშებში გადადის ქვირითის დასაყრელად და გამოსაზამთრებლად. საუკუნეების იქიდან ეს პერიოდი დღემდე აკრძალულ დროდ არის გამოცხადებული, რადგან თვით უგემრიელესი თევზიც კი ტოფობის პერიოდში ძალზე უგემურია, ხოლო ზოგიერთი სახეობის თევზი მომზამვლეობიც კი.

შემოდგომით ფშებში შესვლისას თევზი ერთ ადგილას ეტანება და გაყუჩებულია. ზოგჯერ ხელის მოკიდებასაც ვერ გრძნობს ისეა გაბუჟებული. იმ ადგილს სადაც თევზი იყრის თავს

- 
46. მტკვარზე „ოჩხის“ მოწყობის თანამედროვე ხერხი გაგვაცნო სოფ. ქსანში მცხოვრებმა რობიზონ ისაკის ძე ზანგურმა (დაიბადა 1952წ.) მისივე თქმით „მტკვარზე ცოტალა ვინმე აწყობს ოჩხებს. მე სატვირთო მანქანის რამდენიმე საბურავის ერთმანეთზე დაწყობით, რომელსაც ძირზე ლითონის ნერილ ბადეს ამოვაკრავ ვავსებ ქვებით, რომელთა შორის დარჩენილი ადგილებს საკმაოდ დიდია. ამას ვაკეთებ სექტემბერში. საახალწლოდ საძმაკაცოდან რამდენიმე ბიჭი წავალო, ამოვილებთ „ლიბიოტკით“ და ასე მთელი ერთი თვე ქეიფში ვატარებთ ზამთრის ყველაზე სუსსიან დროს. სოფ. ქსანშივე შევიტყვე, რომ გაღმა აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფ. ხიდისყურში, ვინმე თავზე ხელალებული „თათარი ხალილა“ კეტავს სიგანეზე გასაჭიმი ბადით მდ. ქსანს. იყენებს აგრეთვე ელექტრო შოკს ბადის მაგივრად. ის მუდმივი დენის დარტყმით თევზს ამწყვდევს, მდინარის აყოლებაზე აღარ უშვებს რათა კილომეტრ ნახევრიან მონაკვეთზე თავისთვის პქონდეს თევზის მარაგი. საინტერესოა, რატომ არ აღკვეთენ კასპის რაიონის მესვეურები მდინარე ქსანზე გადამთიელის ასეთ თავხედობას.

სათხარი ეწოდება. ფშის მდორე ფსკერზე ადვილად შეამჩნევს დაკვირვებული კაცი — ნათხარია თუ არა. ამ დროს თევზაობა როგორც ავლიშნეთ დიდ დანაშაულად ითვლება.

ქსანზე, არაგვზე და ლიახვზე, როცა ორაგული კასპიის ზღვიდან შემოდიოდა გაცხოველებული ნადირობა ჰქოდნათ გარჩაღებული ადგილობრივ მოსახელობას. ისინი ანგარიშმიუცემლად ხოცავდნენ გასამრვალებლად ზღვიდან შემოსულ ორაგულს. ძველი პრესის ფურცლები არა ერთ ცნობას ინახავს ასეთ უამურ ამბებზე: „დიდი უგნურობაა ქვირითის დაყრის დროს ორაგულის დაჭერა. ჯერ იმიტომ, რომ თუ ქვირითი არ დაყარა, თევზი საიდამდა გამოვა. მეორეთ თევზი სამშვიდობო ადგილს ეძებს, როგორც ყოველი სულდგმული თავის ჩამომავლობის ზრუნვაშია, კარგი მშვიდობიანი ადგილი უშოვოს და თვითონაც დამშვიდებული იყოს ქვირითის ან კვერცხის დების ან მშობიარობის დროსა.

ჩვენი წყლები თევზეულით და ტყეებით, ფრინველით სავსე ყოფილა და ახლა ამიტომ დაიცალა, რომ ხალხი არ უფრთხილება დროთი და უდროოთ ულეტავს, შებრალება და ანგარიში არ იცის და ბოლოს შესაბრალისი თვითონა ხდება თავის უანგარიშო უაზრობისაგან“<sup>47</sup>

ასეთ სავალალო მდგომარეობაში ორაგულთან ერთად მისი „ხორცი-ხორცთაგანი და სისხლი-სისხლთაგანი“ ულამაზესი კალმახიც იყო. მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან იმ დროებაში რა უჭირდა კალმახს, გასაჭირში დღესაა. ორაგულს კი საქმე ისე გაუჭირეს, რომ ინდუსტრიის პირმშო ავჭალისა და მინგეჩაურის წყლის კასკადებმა საერთოდ „ამოაკვეთინა ფეხი“ მტკვრის აუზში. მხოლოდ მოსაგონებლადღა დარჩა ქართულ სიტყვიერებაში ერთი ასეთი გამონათქვამი: „ღმერთმა გაუმარჯოს იმ მამალ ორაგულს, რომელიც ამაღამ არაგვს აუყვება, გუდამაყართან მდედრს წამოერევა და თავის გულისნადის აისრულებს“-ო. ამ სიტყვებს დაახლოებით 200 წლით უსწრებდა დიდი გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილის შეფასება მთიულეთისა და მისი არაგვისა: „ჰავითა არს ფრიად კეთილი შუენიერი, წყარო — წყლითა და მწუანითა. წყალთა შინა კალმახი,

47. გაზეთი „დროება“ 1880. №170. გვ.1.

მრავალნი, ხორცნი, თევზნი და ფრინველნი გემოიანნი, პური ნოყიერი, აგრეთვე ქრთილიცა“.<sup>48</sup>

ცივ და უანგბადით მდიდარ წყლებში ორაგულის ლტოლვა უფრო მეტად ნაკარნახევი იყო არა პირდაპირი მოთხოვნილები-დან არამედ გამრავლების და შთამომავლობის გადარჩენის ინ-სტიქტიდან. სწორედ ამ ინსტიქტის გამო ორაგული და კალმახი მეტად თხელ, მეჩხერ წყლებში შედიოდა საქვირითოდ, რაც უად-ვილებდათ ადამიანებს მათ დაჭერას. ხშირი იყო შემთხვევები, რომ ფონ-თხელაში და წყალ-მეჩხერ ადგილებში მოხვედრილ 15-20 კილოგრამიან ორაგულებს ქალები და ბავშვებიც კი იჭერდნენ.

სოფ. ბალანში მცხოვრები თემურ რაჟდენის ძე ბალაშვილი გადმოგვცემს, რომ „პაპაჩემ თედოს საფქვავი ყრია ხოზოვ-ლების წისქვილზე (სოფ. მიდელაანის პირდაპირ, მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე) უცბად წისქვილი გაჩერებულა, გამოვარდნილა გარეთ პაპაჩემი და რას ხედავს, ერთი უშველებელი ორაგული რუს გამოყოლია და ღარში გაჭედილა. მაშვინმე წყალი გადაუკეტია, ორაგული ჯოხით მოუკლავს და ზუგრზე მოუკიდია. თევზი იმხელა ყოფილა, რომ კუდის ბოლო ქუსლებამდე ურტყამდა თურმე“.

ერთი გადმოცემით, ქარჩოხის ციხის დასავლეთით მდ. ქსნის მარჯვენა სანაპიროზე, ლოთიშვილი ნინიკას წისქვილზე ქალებს საფქვავი ჰქონიდათ დაყრილი. ქსნის ფონ-თხელში დაენახათ დიდი ორაგული, რომელსაც მუცელი და ლაყუჩები ჰქონდა მარტო წყალში და ვეღარ მოძრაობდა. დაუძახიათ ლოთიანში წისქვილის პატრონისთვის, მიშველებია ნინიკაც და კეტებით მოუკლავთ ქვირითით გატენილი თევზი.<sup>49</sup> სოფ. იკოთში მცხოვრები შოთა გიგაური იხსენებს თანასოფლელის დათიკო იმნაძის მონათხოვბს, რომ „ლვინობის თვეში ბერიკოანთ ჭალებზე ურმით მიმავალს ფშანის წყლებზე უშველებელი ორაგული მოუკლავს ბარჯით, ურემზე დაუდვია, ნამოულია და ბოლოს დაბლა მოათრევდაო“.

48. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ყაუხჩიშვილის რედ. თბ. 19873. გვ.356

49. მთხოვნელი იოსებ გიორგის ძე პავლიაშვილი დაიბ. 19256. ს. პავლიანი

ქსნის ზემო წელზე ლარგვის-ქარჩოხში სულ რამდენიმე კაცი თუ იყო, რომლებიც ორაგულებზე პროფესიონალ მონადირებად ჩაითვლებოდნენ. სოფ. მიდელაანში უცხოვრია გიგო მიდელაშვილს (გოგილაანთ შტოდან) რომელიც კარგი მენისქვილეც ყოფილა და ხეობაში ღხინის და ჭირის სუფრებისთვის დაკვეთებს იღებდა. ერთდროულად გამეჩხერებულა თევზეულით ზაჰესის აგების შემდეგ მდინარეები: ქსანი, არაგვი, დიდი და პატარა ლიახვი და მტკვრის მთელი რიგი შენაკადები. ნოენი და გემრიელ თევზს მიჩვეული მოსახლეობა კალმახის, მურნას და ზოგიერთ სარეველა წვრილ თევზის ამარა დარჩენილან.

ორაგული და კალმახი თავიანთი საუკეთესო თვისებებით, როგორც დელიკატესი თევზები ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ და თანაბრად გაბატონბული მდგომარეობა ეკავათ როგორც მტკვრის აუზის ისე შავი ზღვისპირა მოსახლეთა კვების რაციონში. საქართველოში წყალმომარაგების სისტემით გაწყობილ ყველა ციხე-სიმაგრეში, წყლის აუზებში ჰყავდა ცოცხალი კალმახი და ორაგული, როგორც სანოვაგე საკვები, სიმბოლო ქრისტიანობისა, სიმბოლო სიძლიერისა და სიცოცხლისა.

გადმოცემის თანახმად ქსნის ხეობის შუა წელზე მდებარე უძლიერეს წირქვილს ციხეს ლეკები უტევდნენ. გარდამავალი უპირატესობის მეტი ვერაფერი ვერ მოუტანია ქართველთა სისხლის მწოვ „ტკიბებისთვის“ ბრძოლის სამ დღეს. მეოთხე დღეზე წირქვილს ციხეში შეხიზულთ ცოცხალი კალმახი გადმოუგდიათ გალავნიდან და ლეკებიც გასცლიან ციხის მისადგომებს.

„მითხარი ლეკმა ლამისყანაში“,

როგორ მოგტაცა მგოსანი კოხტა

და მათ ალყაში შენი კალმახი

წირქვილის ციხიდან როგორ გადმოხტა“.

დასძენს მუზამორეული ახალგორელი ლექსში „ქსანი მედახის“.



ნირქვლის ციხიდან დანახული ქსნის ხეობა



ნირქვლის ციხის სამალავში მოწყობილი საკალმახე აუზი 230X3,78.

## თოვლით თევზობა

ვერ იტყვის კაცი, რომ თოვლით წყლის დაშრობა და უწყლო ფსკერზე თეზვის აკრეფა ნაკლებ შრომატევადი საშუალებაა ვი-დრე თევზჭერის სხვა რომელიმე ხერხი.

თოვლით თევზაობისათვის არჩევენ მომცრო მდინარეს, ხევს. თოვლი არანაკლებ 80-100 სმ. სიმაღლისა უნდა იყოს. თვი-თონ მდინარეს კი არ უნდა ჰქონდეს ყინულიანი ნაპირები. ცუ-დია თუ ძლიერი ყინვების მერე მოსულ თოვლით შევეცდებით წყლის დაშრომას, რადგან მდინარის 70% გაყინულია. წყალი კი დაშრება, მაგრამ ყინულის ხორგების ქვეშ ვერ მოვიხელთებთ თევზს. ამ ხერხით თევზჭერას სულ ცოტა 2 კაცი სჭირდება. გასათვალისწინებელია ის, რომ ჩვენ მიერ დინებაში ჩაყრილ თოვლს წყლის დიდიხინით შეკავება არ შეუძლია. პირიქით, წყლის ძალა მატულობს და თუ ერთი დაუსხლტა თოვლის ბარი-კადებს დიდი სისწრაფით გაექანება წინ და ნაპირებზე დადებულ თოვლს გადალოკავს, რაც შემდგომ თევზაობის გაგრძელებას აფერხებს. კარგია თუ მთის ლელობ-ფერდოდან დაცურებულ თოვლის სქელი ფენა დევს წყლის პირზე, რაც ერთიორად გააიო-ლებს წყლის დაშრობას და განაპირობებს წარმატებულ თევზჭ-ერას. თევზაობისთვის საჭიროა მხოლოდ ქონით გაგოზილი ხის დიდი ნიჩაბი და სიცივის ამტანობა.

აღნიშნული ხერხით თევზჭერის საშუალება მხოლოდ მთის პატარ-პატარა მდინარეებზეა შესაძლებელი, რადგან დიდთოვ-ლობა მთის რეგიონისათვის დამახასიათებელია, ხოლო იქ სა-დაც ნალექები მინიმალურია ან საერთოდ არ მოდის თოვლის სახით, თევზს ყინულის მოჭრით იჭერენ. ამგვარი ხერხით თე-ვზაობა კარგ შედეგს იძლეოდა მესხეთში: „ზამთარში შეარჩევდნენ ყურე ადგილს, შემოაფარებდნენ მდინარის მხარეს გარშემო ბადეს. ჭრიან რკინის კეტებით ყინულს და უშვებენ. მიაცურებენ ბადეს ისე, რომ ძირი მიჰყვება ფსკერს. ბოლოს ყინული რომ მოი-ჭრება დარჩება მცირე მონაკვეთი, რომელსაც ყურყუჯას ეძახ-იან. აქ არის მოგროვილი თევზი, რომლის ამოსაყვანად საჭიროა ხოლისი“.<sup>50</sup> (ხოლისი ჩვენებურად გრძელტარიანი ორკაპ ჯოხზე მორგებული პატარ ბადე)

50. ბერიძე მ. მებადურეობა, თევზის სახელები. თბ. 2005. გვ.27.

## გოდრით ანუ პირქვეულით თევზაობა

— მტკვრის აუზის მდინარეების ზემო წელზე დიდი ხანია აღარ მისდევენ გოდრით ანუ პირქცეულით თევზაობას. მას უფრო შეუა და ბოლო წელზე გამოიყენებენ წარმატებულად: მეჯუდაზე, ტორტლაზე, ლეხურაზე, ნარეკვავზე. ქსნის ტოპონიმიკაში გვაქვს თევზთან დაკავშირებული პიდრონიმები, კერძოდ ქარჩოხის ხეობაზე ფიქსირდება „მურნათხევი“ და „კონფიისო“. ამ უკანასკნელის ეტიმოლოგია ადგილობრივ უხუცესებისთვისაც გაუგებარია. საბას ლექსიკონში კონი „ქუემოდან აღმავლის თევზის საპყრობი გოდრით პირშექცეულთა“-ს ნიშნავს. გამოდის, რომ კონით თევზაობა იგივე პირშექცეული გოდრით თევზაობა გასულ საუკუნეებში ქარჩოხის მცხოვრებთა საქმიანობას უფრო წარმოადგენდა ვიდრე დღეს. საბა თავის ლექსიკონში პირშექცეულის განმარტებისას ახსენებს „სასალიკოს“ რასაც შემდგნაირ განმარტებას აძლევს: „არს ბადეთა მოსაყრელი ადგილი“<sup>51</sup>. სინონიმად ასახელებს „საპალუროს“ რასაც თავისმხრივ ასე განმარტავს: „საპალურო ეწოდების ყოველთა საწყლისპიროსა ადგილთა თევზთა საპყრობელსა, ხოლო სასალიკო, სადა ბადენი ესროლებიან და მოეყრებიან“<sup>52</sup>.

ტოპონიმი „კონოფისო“ გეოგრაფიულად მდებარეობს სოფ. კარელთკარის (ძველი ვაკე) სამხრეთ-აღმოსავლეთით და ეწოდება სახნავი მინის ნაკვეთს, რომელსაც სამხრეთიდან ესაზღვრება ხევი, სადაც გავრცელებულია კალმახი და მურნა. სავარაუდოდ იმ სახნავი მინის მონაკვეთში მის მებატრონებს ჩადგმული ექნებოდა კონუსური ფორმის პირშექცეული. განსხვავებით დღევანდელი მავთულის გოდრებისა რომელიც დაწნული უნდა ყოფილიყო თხილის ან ურძნის სახრით.

ახლო წარსულამდე გოდორს ძირითადად ზღვის დონიდან 1000 მეტრის ქვემოთ მცხოვრები ხმარობდნენ. იგი ორი სახეობისაა: ერთი — რომელიც განკუთვნილია ზემოდან ქვემოთ

51. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. ტ. II. თბ. 1993. გვ. 47.

52. ქარჩოხში, კერძოდ სოფ. თინიკაანის ჩრდილოეთით ფიქსირდება ტოპონიმი „სახალიკე“. სადაც სოფლის მცხოვრები ზაფხულობით აგროვებდნენ საზამთრო შეშას.

დინებას დაყოლილი თევზის დასაჭერად და მეორე ქვემოდან ზე-მოთ დინების საწინააღმდეგოდ აღმავალი თევზის დასაჭერად.<sup>53</sup>

საველე მუშაობისას სოფელ მუხრანში ვნახეთ და სურათი გადავუდეთ ალუმინის მავთულით მოქსოვილ პირშექცეულ გოდორს, რომელსაც გარდა შიდა ქართლის ბარის სოფლებისა მტკვრის ხეობის ჩათვლით ხმრობდნენ ფარავნის, საღამოს და ტაბაწყურის ტბებში, „ძაბრისებრი გოდრებით, სადამდეც შევი-დოდა მეთევზე ტბაში ჩადგამდა. გოდრის ძირში მისატყუებლის გარდა ქვებს ალაგებდნენ, რომ არ გადაადგილებულიყო. ჩადგმა ნიშნავდა გოდრის დანოლილ მდგომარეობაში დატოვებას“.<sup>54</sup> შედარებით მარტივად თევზაობდნენ ლაზები. გოდრით, თევზს ლარითაც იჭერდნენ.

დასავლეთ საქართველოში და ჯავახეთში „გოდრის ჩადგ-მა“, — მიდგმა თევზის დასაჭერად სცოდნიათ ჩანჩქერის ძირში. მაღლა ასასვლელად ამხტარი თევზი პირველივე ცდაზე იშვია-თად ავა, უკან ჩამოვარდნინას კი გოდორში ცვივა და ვეღარ გამოდის.

## ფაცრის ჩადგმა

— ფაცერი ფიცრის ოთხკუთხა 1,50X1 მეტრის ზომის ყუთია ძირზე ლითონის ბადით. მეტნილად ზემოდან ფიცრებით დაფა-რული, ხშირად საკეტით. მდინარეს ან მის ტოტს აღმაცერად გაღლობავნენ მსხვილი ქვით, ლასტებით, ხის ფოთლიანი ტოტებით და წყლის აჩქარებული ნაკადი ჩაედინება ფაცერში. აღნიშნული მეთოდით თევზის ჭერას (მათ შორის ორაგულისაც) მისდევდნენ როგორც სწრაფ მდინარეებზე ისე მდორე დინებებზე, სექტემ-ბრის დასაწყისიდან ნოემბრის დასაწყისამდე.

53. ამგვარად თევზჭერა იმერეთში აღნერილი აქვს ვახუშტი ბა-ტონიშვილს: „ძაბრიან გოდორს გაზაფხულზე ძაბრიან თავით წყლის დინების მიმართულებით ჩადგამდნენ ისა, რომ წყლის დონე ძაბრის ნახვრეტის შუამდე აღნევდეს. თევზი, რომელიც საქვირითოდ მდინა-რის ლინების საწინააღმდეგოდ მიცურავს მოხვდება ძაბრიდან გო-დორში.

54. მ. ბერიძე, მებადურობა, თევზები, სახელები, თბ. 2005. გვ.24

ფაცერით თევზის ჭერა კარგად აქვს დასურათებული ვაჟა-ფშაველას ბენინას მაგალითზე: „...ბენინა ოქტომბერში ფაცერსაც ჰმართავდა, საორაგულე ფაცერს, რომელიც მხოლოდ დედალ ორაგულებს იჭერდა, რადგან მამლები ბენინას გაკეთებულ ლასტებზე ზედა ხტებოდნენ. ბენინას უკვირდა, რომ მამალს ორაგულებს ვერ იჭერდა და არც იცოდა ეს გარემოება რით აეხსნა იმ დრომდე, ვიდრე ერთხელ ღამე ლაყუჩებით ლასტზე დაკიდებული ორაგული არ ნახა; მაშინდა მიჰევდა, რომ დედალი ორაგულები დასუსტების, გამხდრობის გამო თურმე ცვიოდნენ ბენინას ნაოსტატარ ფაცერში რადგან ჯანი აღარ მოსდევათ მამალ ორაგულებით ლასტებზე გადამხტარიყვნენ“.<sup>55</sup>

ტოტის დაშრობისას ფაცერი კარგ საშუალებად ითვლებოდა თუ კი მის მიღმა ცეცხლიც დაენთებოდა. მაშინ ერთიანად გაიკრიფებოდა თევზი და ფაცერიც დამძიმდებოდა. სინათლის ზემოქმედების ერთ-ერთი კარგი მაგალითია ჩანგლით თევზაობა, რაც საველე ეთნოგრაფიული კვლევისას სოფელ ლამისყანაში დამუხრანში მოვიძიეთ.

## ჩანგლით, ჩარჯით და პავით თევზაობა

შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ტემპერატურისა და ჟანგბადის შემდეგ წყლის ბინადართა ცხოვრება ყველაზე მეტად სინათლეზეა დამოკიდებული. ლიფსიტობის პერიოდში შუქის ძალა იმდენად დიდია, რომ, მრავალ მშვიდობიან თევზს ავინწყებს საკვებსა და საფრთხეს. რაც უფრო მშეირია მით უფრო ეტანება ნათებას წყლის ბინადარი. საერთოდ თევზებს აქვთ სადღელამისო განათების ციკლის შეგრძნება ე. წ. ფოტოპერიოდი. მაგალითად კაშკაშა შუქი ზამთარში ნაკლებად იზიდავს, ვიდრე ზაფხულში. საგულისხმოა, რომ თევზები ტოფობისას (ქვირითობისას) ერიდებიან სინათლეს, ე. ი. გამრავლების ინსტიქტი ავინწყებთ კვებას.

55. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბ. 1987. გვ.340.

მოკვლევისას მოპოვებული ინფორმაციის თანახმად სოფტ-ლამისყანაში დაფიქსირდა ჩანგლით და ბარჯით თევზის ჭერხები.

მდ. ქსანზე ღამით კარგ შედეგს იძლეოდა ჩანგლით თევზაობა: აილებდნენ ნახევარმეტრიან დიამეტრის, მუცელ ჩაზნექილ, მრგვალ თუნუქის ნაჭერს, რომლის კიდეები ამობრუნებული იყო 2-3 სანტიმეტრზე. შიგ ჩაანთებდნენ ცეცხლს. აღნიშნული თუნუქი ოთხი წვრილი ჯაჭვით ეკიდა ორ მეტრიან ჯოხზე, რომელიც მეთევზეს ხელში ჰორიზონტალურად ეკავა და დაჰქონდა მდინარის ნაპირზე. სინათლით აღგზნებული თევზები ნაპირს ეტანებოდნენ, მეთევზეც არ აყოვნებდა და ჩანგალს მოხერხებულად ურჭობდა.<sup>56</sup>

ჩანგლის სიდიდეს განაპირობებდა თევზის სახეობა. ჭანარზე, კაპოეტზე, წვერაზე პატარა ჩანგლები გამოიყენებოდა, ხოლო ორაგულებზე მოზრდილი გრძელტარიანი ჩანგლები.

მიმსგავსებული თევზის საჭერი ხელსაწყო დავაფიქსირეთ სოფელ მუხრანშიც, სადაც გასანათებლად ხმარობდნენ მარტივად გაეთებულ სამხედრო „ბაკლაშას“. ჩაასხავდენ ნავთს და ბამბის პატრუქს გახვრეტილ საცობიდან ამოატარებდნენ, ამაგრებდნენ 1,5 მეტრი სიგრძის ჯოხზე და მოწყობილობაც მზად იყო.

რაც შეეხება ჩანგალს, ქსნის ხეობაზე მას ზოგი ბარჯს ეძახის, მუხრანში „შტიკავოი ლაფატკითაც“ უკეთებიათ ორ, სამ და ოთხ თითიანები. დღეს უკვე ძნელია დაადგინოს კაცმა რომელი ბარჯია, რომელი ჩანგალი და რომელი კავი, ან ხოჭი და ჭვილთი. საქართველოს ყველა კუთხეში სხვადასხვა ტერმინოლოგიით იყო ცნობილი თევზჭერის რეინის იარაღები. ქართული ენის განმარტებულია როგორც რეინის კავიანი ჯოხი, რომელიც იხმარება თევზის საჭერად,<sup>57</sup> საბა ბარჯს ასე განმარტავს: „კაპია-

56. ლამისყანაში ყოფნისას ერთ-ერთმა ინფორმატორმა გვითხრა: ლამისყანელებს ცუდ მოთევზებად გვთვლიან. მეზობელ სოფელში ხშირად გაიგონებთ ჩვენი მისამართით ნათქვამს: ლამისყანაში თევზს, რომ დაიჭერენ პირველ რიგში ჯიშს კი არა წონას კითხულობენ.

57. ქართ. ენის განმარტებითი ლექსიკონი ტ. I. თბ. 1950. გვ. 985

საორაგულე კავი. ქსნის ხეობა. სიგრძე 1,20 სმ.

ნი ჯოხი, გინა სათევზაო ხოჭი,<sup>58</sup> ხოლო ხოჭის განმარტებას ასე იძლევა: „ჭვილთი რკინის ბარჯი სათევზე“.<sup>59</sup> ზემოთხსენებული ეს ორი განმარტებითი ლექსიკონი ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის. რვატომეულის მიხედვით რკინის კავიანი ჯოხი კაპიანი ვერ იქნება. კავი გამოსადებია, ხოლო კაპიანი დასარტყმელი ან ჩასარტყმელი, რომელიც ნახევრად ჭრის თევზს. ვაჟასეული განმარტებით ბარჯი — „ორთით ხეზე გაკეთებულია გალესილი რკინა ისე, რომ ზევიდან დაუშვას კაცმა ორაგულს, მხოლოდ ნახევრამდის გასჭრის, ეს კი საკმარისია, რომ მოკვდეს. მონადირესაც ეს უნდა მხოლოდ შუაზე რომ გააპოს, მაშინ შეიძლება ნახევარი წყალმა მოიტაცოს“.<sup>60</sup>

ჩვენი აზრით ბარჯი რკინის კავი ვერ იქნება, იგი გამოსადები ირალი არ უნდა იყოს, ისე, როგორც კავი ჩასარჭობი იარალი ვერ იქნება.

ორაგულზე საუკეთესო სანადირო იარალად ითვლებოდა რკინის კავი, რომელსაც არაგვზე ჩანგალსაც ეძახდნენ. კავი დაახლოებით 10 მილიმეტრიანი დიამტრის მრგვალი რკინა იყო. მაგრდებოდა 5-6 მეტრის სიგრძის ბამბუკის ან თხილის ჯოხზე. ორაგულზე მონადირე, ამღვრეული წყლის სიღრმეში კავს ზურგით წინ და წვერით უკან მდინარის დინებას დააყოლებდა. მორევებში პირალმა გატვრენილ ორაგულზე რბილად შეხებისას სწრაფად შეატრიალებდა წვერით წინ თევზისკენ და დიდი ძალით გამოჰკრავდა თავისკენ. წამოგებულ ნადავლს ნაპირზე გამოათრევდა და ქვით მოკლავდა. საორაგულე კავის ერთი ეგზემპლარი, რომელიც გავრცელებული იყო ლიახვის, ქსნისა და



58. ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. ტ. I. თბ. 1991. გვ 96.

59. ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. ტ. II. თბ. 1991. გვ 428.


60. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბ. 1987. გვ. 339.

არაგვის აუზში, დაცულია ახ-ალგორში. ქსნის ხეობის ისტო-რიის, არქეოლოგიისა და არქ-იტექტურის მუზეუმ-ნაკრძა-ლის ფონდ-საცავში. (სიგრძე 18.20სმ. საინვენტარო №2298)

საორაგულე კავით თევზა-ობისას არაგვზე დამატებით ხმარობდნენ წვრილ ჯოხს — წკეპლას, რომლის დახმარე-ბით ჯერ თევზს პოულობდნენ მერე კი კავს გადაუწვდენდნენ და გამოსდებდნენ. ორაგულის დასაჭერად ამ ხერხის გამოყ-ენებაზე კარგად წერს ბუნების მესაიდუმლე ვაჟა-ფშაველა.

„...ბენინა არაგვზე ხელში ჩანგალს და სახრეს დაიჭერდა და დაუწყებდა ძებნას ორა-გულს, სახრის შეხებით ისე ატყობდა, როგორც ხელით. მოუს-ვამდა სახრეს როცა დარწმუნდებოდა, რომ ორაგულია, ვარაუ-დით, „ანდით“ გადააწოდებდა ჩანგალს, გამოჰკრავდა, ჩანგალი გვერდში მოედებოდა ორაგულს და რკალივით მოხრილს გამოა-თრევდა მშრალზე“.

როგორც ავლინიშნეთ განათების ფაქტორი საყოველთაოდ დადასტურებულია წარმატებული თევზჭერისათვის. ამიტომა-ცაა, რომ ამ მეთოდს ხშირად მიმართავენ თევზაობისას. ხე-ლოვნურ შუქს უმეტესად ეტანებიან სინათლეში მცხოვრები თე-ვზები, განსაკუთრებით მდინარეებში მობინადრები. იაპონელ-მა იქტიოლოგებმა დაადგინეს, რომ ზოგიერთი ზვიგენი თავისი მანათობელი თვალებით იზიდავს მსხვერპლს. ლოქო ულვაშების ჭიისებური ცმაცუნით იტყუებს საკბილოს. ასევე დადგენილია, რომ წყლის ბინადრებს იზიდავთ მუსიკაც, ოღონდ კლასიკური. ჯაზის ხმაზე თევზები ფრთხებიან. ქაშაყები და ნაფოტები წრუ-წუნებენ, ქარსალები ბზუიან, ლოქო ლრუტუნებს ან გმინავს, დელფინები გოჭებივით ჭყიპინებენ, მურნა ხროტინებს და სხვა.



თევზჭერის იარაღები  
მხატვ. კონსტანტინე ვარშანიძე

## ცყლის მონამვლით თევზის დაჭრა

თევზის დასაჭერად წყლის მონამვლის ხშირი შემთხვევები ფიქსირდებოდა ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში რომლის გააქტიურებაც გამოიწვია ქიმიის განვითარებამ. მანამდე ხშირად ადგილი ჰქონდა დინამიტით აფეთქებებს, შემდეგ ქლორით და სხვა შხამ-ქიმიკატებით მდინარეებისა და წყალსატევების მონამვლას.

წყლის მონამვლის თავდაპირველი შემთხვევები უკავშირდება ტოქსიკურ მცენარეებს, კერძოდ: შქერეს, იელს, ატამს, ლაფანს და კაკალს.

სამეცნიეროში წყლის მონამვლა თევზჭერის უძველეს ხერხებს მიეკუთვნება. თევზის მოსანამლად იყენებდნენ ლაფანს. მის ნედლ შტოებს მოხარშავდნენ და შტოებიანად წყალში ჩაასხამდნენ.

მესხეთშიაც ყოფლა წყლის მონამვლის ხალხური ხერხი. შემოაცლიდნენ კაკალს წენგოს, ჩეჩევავდნენ და უშვებდნენ პატარა ღელეებში.

საველე მუშაობისას სოფ. მუხრანში პატარა ლიახვის ხეობიდან ჩასახლებულმა ემზარ ჩხატაურმა გვითხრა, რომ „მუხრანის მეურნეობის ატმის ბაღებიდან მთაში მიძქონდა კონებად შეკრული ატმის გასხლილი ტოტები და კალმახით მდიდარ, პატარა ხევში ვდებდი. ნახევარ საათში ფურჩხვის შემდეგ ხევის ბოლოს ჩაგებული კაპრონის ბადე კალმახით იცხებოდა“. შედარებით უკეთესი იყო საარაყე ქვაბში ატმის ხის ჩატენილი ნასხლავის ნახარშის ჩაღვრა პატრა ხევებში.

## თევზის მორცოლობია

თევზის წარმოშობისა და განვითარების მთლიანი სურათის გადმოცემა მეტად რთულია, რადგან პალეონტოლოგიური ნამარხები ძალზე მწირ საბუთებს იძლევა. ზოგიერთი მკვლევარის აზრით თევზები წარმოშობილან მტკნარ წყალში საინდაცისინი თანდათანობით ზღვაში გადასულან, რაც აკადემიკოს ლ.

ბერგის მიხედვით ძირითადად დევონური სისტემის შუა პერიოდში უნდა მომხდარიყო.


თევზის კლასში გაერთიანებულია დაახლოებით 20 000 სახეობის წყლის ცხოველი, რომლებიც ერთმანეთისაგან იმდენად მკვეთრად განსხვავდებიან, რომ საჭიროა მათი კლასებად დაყოფა.

თევზების საცხოვრებელ გარემოს წარმოადგენს წყალი, რომლის გარეშე არსებობა ისიც მეტად მოკლე ვადით შეუძლია მხოლოდ ზოგიერთ სახეობას, ის ითვლება ცივსისხლიან წყლის ხერხემლიან ცხოველად. სუნთქავს ლაყუჩებით. მისთვის ტემპერატურას, რომლის მერყეობა წყალში უფრო ნაკლებია ვიდრე ხმელეთზე დიდი მნიშვნელობა აქვს. მათი სხეულის ტემპერატურა დამოკიდებულია გარეგან გარემოს ტემპერატურაზე. წყლის ტემპერატურის მომატება იწვევს თევზის გაძლიერებულ კვებას. ჩქარდება სასქესო პროდუქტების მომწიფება და ა. შ. ტემპერატურის დაკლება იწვევს აღნიშნულ მოვლენათა ტემპის შემცირებას, ხოლო ზოგი თევზის, მაგალითად: ორაგულის, კობრის ძილს.

თევზის სხეული თითისტარისებრად არის წაგრძელებული, გვერდებიდან გაბრტყელებული. მის ფორმაზე გავლენას ახდენს წყლის მოძრაობა და მისით გამოწვეული მექანიკური ფაქტორი, აგრეთვე წყლის სიჩქარე განსაზღვრავს ფარფლების განვითარებას და საფარველს.

თევზის სხეული შეიძლება გაიყოს სამ ნაწილად: 1 — თავი; 2-ტანი; 3 — კუდი. თავსა და ტანს შორის საზღვარს წარმოადგენს ლაყუჩის ნაპრალი, ხოლო ტანსა და კუდს შორის ანალური ხვრელი. თავის წინა ნაწილში პირი და წყვილი ნესტოა მოთავსებული. თევზის პირის ფორმა სხვადასხვანაირია: განივი, ირიბი, ნახევარმთვარისებრი და სხვა. ლაყუჩის სახურავს უკანა კიდეზე შემოვლებული აქვს კანოვანი აპი, რომელიც ხელს უწყობს სარქველის მჭიდროდ დახურვას. კუდის ფარფლი ზოგ თევზს მთლიანი აქვს, ზოგს — ორლაპოტიანი.

თევზები განსაზღვრულ ადგილსამყოფელთან შეგუების მიხედვით იყოფა შემდეგ ძირითად ეკოლოგიურ ჯგუფებად: I — ზღვის თევზები — ბინადრობენ მუდამ ზღვაში; II. მტკნარი წყლის თევზები — ბინადრობენ მუდამ მტკნარ წყალში; III. გამსვლე-



### თევზის გაზომვის სქემა

a-b მთელი სიგრძე (აბსოლუტური სიგრძე); a-c სიგრძე კუდის ფარფლის შუასხივების ბოლომდე (სარენტი სიგრძე); a-d სხეულის სიგრძე (სიგრძე კუდის ფარფლის ფუძემდე), a-e თავის სიგრძე; f-g სხეულის უდიდესი სიმაღლე; h-i სხეულის უმცირესი სიმაღლე, k ზურგის ფარფლი; l მკერდის ფარფლი; m მუცლის ფარფლი; n ანალური ფარფლი; o კუდის ფარფლი, p გვერდის ხაზი; q ანალური ხვრელი.

ლი თევზები — გამრავლებისთვის ზღვიდან შედიან მდინარეში, ან მდინარიდან ჩადიან ზღვაში; IV. მომლაშო წყლის თევზები — ბინადრობენ ზღვის გამტკნარებულ უბნებში, იყოფიან მომლაშო წყლისა და ნახევრად გამსვლელ ფორმებად. ეს უკანასკნელი გასამრავლებლად შედიან მდინარის ქვემო დინებაში.

თევზები ირჩევიან როგორც სითბოს მოყვარულ ისე სიცივის მოყვარულებად. ამ უკანასკნელთა კატეგორიას მიეკუთვნებიან ქაშაყისნაირთა რიგის ორაგულისებრთა ოჯახი, რომლის წარმომადგენელთა უმრავლესობა ბინადრობს ზღვაში, საიდანაც საქვირითოდ შედიან მდინარეებში და ხშირად მათ სათავეებამდე აღწევენ. ზოგი მათგანი ცხოვრობს მდინარეებში და მაღალი მთების ტბებში. თავის მხრივ ორაგულთა ოჯახში ერთიანდებიან: 1. ჩვეულებრივი ორაგული; 2. კასპიური ორაგული; 3. შავი ზღვის ორაგული და 4. მდინარის კალმახი.

პირველ რიგში ჩვენში გავრცელებული მრავალი სახეობის თევზებში ყველაზე გემრიელს, სამკურნალოს და ლამაზს, ბუნების მართლაც საოცრებას მდინარის კალმახს შევეხებით, რომლითაც უშურველად არის დაჯილდოვებული ჩვენი

მთის მდინარეები. მდინარის კალმახის გარდა საქართველოში გავრცელებულია ტბისა და ცისარტყყელა კალმახი (არ იგულისხმება ორაგული — „ზღვის კალმახი“)

## მდინარის კალმახი

იშვიათი სილამაზისა და ძვირფასი ხორცის გამო, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს მტკნარი წყალსატევების თევზებს შორის. კალმახის ასეთი სილამაზე, სხვადასხვა ფერის და ელფერის პიგმენტების (წითელი, შავი, ყავისფერი, ნარიჯისფერი, ლიმონის ფერი, შინდისფერი და სხვა) არსებობით აიხსნება.

„კალმახის შეფერილობა მეტად დიდ ცვალებადობას განიცდის და უმთავრესად დამოკიდებულია ადგილსამყოფელზე, ასაკზე, სქესზე, წელიწადის დროზე. სასქესო პროდუქტების მდგომარეობაზე და საკვების შემადგენლიობაზეც. ახალგაზრდებს ლაქები უფრო ღია ფერისა აქვთ ვიდრე ასაკოვნებს. გამრავლების პერიოდში კი უფრო კაშაშა შეფერილობას ღებულობს, გვერდებზე მერთალი მომწვანო ელფერი გადაკრავს, ზურგის მხარე უფრო მუქია ზოგჯერ მოშავო, მუცლის მხარე ვერცხლისფერი. მდინარის კალმახის სიგრძე 20-26 სმ-ია. წონა 100-400 გრამი და მეტიც“. <sup>61</sup> იშვიათად გვხვდება 35-37 სანტიმეტრის ხოლო წონით 1-2 კგ-მდე. მის ძირითად საკვებს შეადგენს სხვადასხვა სახეობის თევზი და წყლის უხერხემლო ცხოველები.

ძვლიან თევზებში კალმახს ორაგულთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. საქართველოს მტკნარ წყლებში გვხვდება სამი სახის კალმახი: 1. მდინარის; 2. ტბისა და 3. ცისარტყყელა კალმახი, რომელიც შემოყვანილია ჩრ. ამერიკიდან.

კალმახს გააჩნია როგორც ლაყუჩის ისე ყბების, ენის, სასის ძლიერი კბილები. ის მოყვარულია უანგბადით მდიდარი ცივი წყლების. კარგად ეგუება მდინარის ჩქარ დინებას. შეუძლია 4-5 მეტრიანი ჩანჩქერის დაბრკოლების დაძლევა, თუ წყლის დონე

61. რ. ბახტაძე, კალმახი. უურნალი „ნადირობა“ 2008. 6

ვარდნის ადგილზე მინიმუმ 50-70 სანტიმეტრია. კალმახს ზღვის დონიდან 2800 მეტრ სიმაღლეზე შეუძლია ასვლა. მას მხარდამხარ მისდევდა დასავლეთ საქ-ში წვერა, აღმოსავლეთში მურნა. თუმცა ის ბოლომდე პარტნიორობას ვერ უწევს, მისდევს მაქსიმუმ ზ.დ. 1400 მეტრამდე. ამის ზევით კალმახი მთის შმაგი მდინარებისა და ხევ-ხუვების ერთპიროვნული ლიდერი და ბატონ-პატრონია. ზღვის დონიდან რაც უფრო მაღლა ბინადრობს კალმახი მით უფრო სამკურნალო და გემრიელია. ამის დასტურად გადმოცემა გვეუბნება, რომ ავადმყოფი დავით ქსნის ერისთავი სისტემატიურად მიირთმევდა უამურის ხეობაში დაჭერილ კალმახს. სწორედ მისივე მითითებით მის მკურნალს ი. ა. გიულდენ-შტედტს ლარგვისში ყოფნისას 1772 წლის 29 ივნისს „ზემო ქსნიდან“ მიართვეს სასარგებლო, ყუათიანი კალმახი და ციმორი.

კალმახისთვის წყლის ოპტიმალური ტემპერატურა 8-16<sup>0</sup>, უფრო მაღალი ტემპერატურისას როცა ნაკლებია აგრეთვე ჟანგბადი, მიდის უფრო ზემო დინებაში. იკვებება მწერებით, მათი მატლებით, კიბოსნაირებით, ჭიებით. მისი საყვარელი საჭმელია სანსალა ანუ ლორტავი (ლორთავა). ნაწილობრივ ეწევა მტაცებლურ კვებას უმეტესად ტბებსა და წყალსაცავებში. ჭამს თევზებს, მათ შორის თავისივე ჯიშის პატარა კალმახებს და ორაგულის ქვირითს: „თუ ორაგული ყველა ჯურის წვრილ თევზსა ჰყლაპავს და აჩანაგებს, სამაგიეროდ ეს წვრილი თევზები ქარავნად ამ დროს ორაგულს თან დასდევს და ძალიან ბევრს ქვირითს უჭამენ. ორაგულის ქვირითს უფრო კალმახი ემტერება. ორაგული ამას ჰქედავს, კარგად ჰგრძნობს და აღბათ ამიტომ ჰმაღლავს წყალში, ქვიშაში და ქვებში ჰფლავს ქვირითს, რომ ადვილად არ შეუჭამონ თევზებმა“. (ვაჟა-ფშაველა, ორაგულის ცხოვრება)

კალმახი გარემო პირობების მიხედვით ვითარდება. ტბაში კალმახი გაცილებით მაღე და დიდი, დაახლოებით 3-4 კგ-მდე იზრდება. გავრცელებულია ევროპაში, მცირე აზიაში, კავკასიაში, ირანში, მესოპოტამიაში, ჩრდილოეთ აფრიკაში. საქართველოში ფართოდაა გავრცელებული, უმეტესად ბინადრობს მთის მდინარეებსა და ტბებში. მდინარეების უმეტესობაში ცხოვრობს მხოლოდ ზემო დინებაში, მტკვარი, ალაზანი, იორი, რიონი. ზოგ

მდინარეში ვრცელდება მთელ სიგრძეზე მტკვართან შეერთები-დან ალპურ ზონამდე: ლიახვი, ქსანი, არაგვი, თუმცა ამ ბოლო დროს უინვალიდან მცხეთამდე იშვიათად. აგრეთვე გვხვდება ტბებში: ტაბაწყურში, ფარავანი, სალამო, რიწა, ერწო.<sup>62</sup> წყალ-საცავებში: ხრამის თბილისის, სიონის, შაორის და სხვა.

ქეუსობრივ სიმწიფეს კალმახი აღწევს 3-4 წლის ასაკში. ქვირითობს სექტემბრიდან მაისამდე. ტოფობისთვის ირჩევს მთვარიან ღამეს იწყებს მზის ჩასვლისას და ამთავრებს გათენებისას, თხელწყლიან, ქვა-ქვიშიან ადგილებში. წყლის 4-8<sup>0</sup> ტემპერატურისას. ყრის 500-1000 ქვირითამდე, ინჯუბაციის პერიოდი 65-200 დღეა, რაც დამოკიდებულია წყლის განსხვავებულ ტემპერატურაზე. მისი ქვირითის დიამეტრი 4-6 მილიმეტრამდეა. ქვირითს ყრის თავის ამოთხრილ ორმოში და განაყოფიერების მერე ფარავს ქვიშით.<sup>63</sup> ლიფსიტები მხოლოდ შვიდი-რვა ასეული იჩეკება, ამ უკანასკნელიდან კი ზრდასრულ ასაკს მხოლოდ 20-დან 50-მდე ლიფსიტა თუ აღწევს. კალმახის სიცოცხლის ხანგრძლივობა 10-12 წელია.

მდინარის კალმახი მფრთხალია. მეთევზის დანახვით გამოწვეული შიში, დაახლოებით ნახევარ საათში გაუვლის და მხოლოდ შემდეგ თუ გააგრძელებს წყლის ზედაპირიდან

62. ბევრს და მათ შორს ქსნის ხეობის პარის სოფლების მცხოვრება ჰგონიათ, რომ მთის ულამაზესი კალმახი ყელის ტბაშიც მრავლდება და იზრდება, რაც მხოლოდ ლიმილის მომგვრელია. ყელის ტბა ვულკანურ ზეგანზეა ზღ. დ. 2921 მ. სიმაღლეზე, სარკის ფართობი 1.28 კმ<sup>2</sup>. უდიდესი სილომე 63 მ. საშუალო 24.78. 7-8 თვე გაყინულია. წყალი მტკნარია. ტბა საზრდოობს თოვლის მინისქვემა და წვიმის წყლით. თევზი არ არის.

63. კალმახი საქვირითე თრმოების ამოთხრას ფართლების მოძრაობითაც ახერხებს. ქვირითი ვითარდება ქვიშა ნაყრილ ბნელ თრმოებში, ან ლოდების ქვეშ, სადაც წყალი ჟონვით გადის და უზრუნველყოფს როგორც უანგაბდის, ისე სხვა გაზების მინიდებას განაყოფიერებული ქვირითისათვის. შემოდგომაზე დაყრილ ქვირითიდან აღრე გაზაფხულზე, იჩეკება 13-15 მმ.-ის სიგრძის ემბრიონები. მათ დიდი საყვითორე პარკი აქვთ, სადაც მოთავსებულია ცხიმოვანი წვეობები, რომლითაც ორგანიზმი 2-3 კვირის განმავლობაში იკვებება. ამ დროს ისინი გვერდზე ან მუცელზე წვანან. საყვითორე პარკის შენოვასთან ერთად კალმახის ლავრები ბუდობიდან გამოიდიან და დამოუკიდებლად იწყებენ საკვების მოტაცებას. ამ დროს ისინი სწრაფად დაცურავენ და საკვებსაც ადვილად იჭერენ.

მწერების, ჭუპრების, ჭიების, სიღრმეში კი სანსალებისა და ლიფ-სიტების ჭამას. (არ იყვებება 3 გრადუსის ქვევით და 18 გრადუ-სის ზევით). რაც უფრო იზრდება მით უფრო მტაცებელი ხდება, ზოგჯერ თანამოძმეულსაც არ ინდობს. ადვილი შესაძლებელია დიდ კალმახს პატარა კალმახი უპოვოთ მუცელში. ის ვერტი-კალზე 150 გრადუსზე ხედავს, ხოლო პორიზონტალზე 160-170 გრადუსზე, ამასთანავე ახლომხედველია და მსხვერპლს ერთ მეტრ რადიუსში ამჩნევს. ამიტომ სატყუარიანი ანკესი ახლოს უნდა ჩაუგდოთ. უფრო კარგად ამჩნევს მოძრავ სილუეტებს. კალმახს იყენებენ მდინარის წყლის სიწმინდის ინდიკატორადაც — თუ სისუფთავეა სათავისკენ მიცურავს, თუ მავნე ნივთიერე-ბები შეერია ქვევით დაქანდება.

ძველ წიგნებში აღნიშნულია, რომ კავკასიაში ადგილობრი-ვი წითელი, თეთრზოლიანი ჭიებით, ზოგჯერ ცხვრის, ძროხის ნედლი ხორცით ბევრ კალმახს იჭერდნენ. წვრილი კალმახები გამუდმებით დადიან მდინარეში, ზევით-ქვევით საკვების ძე-ბნაში. დიდები ძირითადად მდინარეთა მოსახვევებში, მორევ-ებში დადარაჯებულნი არიან ქვებთან, კუნძებთან, ფესვებთან. კალმახი ჩქარ წყალში ადვილად ეტანება სატყუარას. ნელში აკ-ვირდება, შეიძლება უკანაც გადმოაგდოს, მათ ძალიან აშინებთ სეტყვა, ქვების გრუხუნი, ამ დროს შესაძლებელია ხელითაც დაიჭიროს კაცმა ნაპირზე.

კალმახი საქართველოში ოდითგანვეა პოპულარული. მასზე მრავალი მოთხოვნა და ლექსია დაწერილი.

ტრფობის ცრემლებად, მარგალიტებად,  
ქსანი ქარაფებს დაეკიდება,  
აახმაურებს საჯიხვეებს და  
კალმახებს ცეცხლი წაეკიდებათ. (ვ.ქ.)

ქსნის კალმახი თავისი ფერით (პიგმენტური ხალებით) და გემოთი განსხვავდება არაგვის, დიდი და პატარა ლიახვის კალ-მახისაგან. კერძოდ ზემო წელზე მკვეთრი წითელი წინწკლებით, ნაკლებად სრიალა კანითა და შავი ფერით, ქსნის შუა წელზე კი კალმახისათვის ტანის და წინწკლების ღია ფერია დამახასიათე-ბელი.

ქართველმა მკვლევარმა ვახუშტი ბატონიშვილმა, რომელმაც აღწერა მე-18 საუკუნის საქართველო, მისი ფლორა და ფაუნა, ბევრი საგულისხმო და ანგარიშ გასაწევი ცნობა დაგვიტოვა მდინარეებსა და ტბებზე და მათ იქტიოფაუნაზე. ვახუშტი ქართლში განსხვავებული შეფერილობის კალმახს ასახელებს: „ვარიანის ფშანი და ახალდაბისა ამ ფშანსა შინა იპყრობს კალმახი ყვითელი და ფრიად კარგი“.<sup>64</sup> როგორც ჩანს წითელ და შავ წინწკლებიან კალმახის გარდა ყვითელი კალმახიც ყოფილა ქართლში გავრცელებული.

ვახუშტის თქმით „ყარაბულახის ხეობაში შავწყაროს ორივე მხირდან მდინარე გამოდის, რომელიც სავსეა კალმახით“. სამხრეთ მდინარის კალმახი მისივე ცნობით — შავია, ხოლო ჩრდილოეთის — თეთრი. თუ გადავიყვანთ ჩრდილოეთის კალმახს სამხრეთის მდინარეში — გაშავდება. ხოლო სამხრეთისას ჩრდილოეთის მდინარეში გათეთრდება.

---

64. ქართლის ცხოვრება ტ. IV, გვ. 368. თბ. 1973.



მდინარის კალმახი



ორაგული



მურნა



მჭკვრის წვერა



ფიჩხული (კაპუეტი, ხრამული)



თევზაობის შემდეგ



არაგვის ხეობა, ხადის ჩანჩქერი

**ტბის კალმახი:** წარმოშობილი უნდა იყოს მდინარის კალმახისგან. მისგან განსხვავდება შეფერილობით. შავი ლაქები აქვს და დიდი ზომის სხეული. სიგრძით საშუალოდ 50-60 სმ-ს აღწევს. წონით 4-6 კგ-ს. (იშვიათად 100-120 სმ-ს. წონით კი 15-20 კგ-ს) ტოფობა (ქვირითობა) სექტემბრიდან თებერვლამდე გრძელდება. ქვირითს ყრიან იქ სადაც წყლის ტემპერატურა  $3-10^{\circ}\text{C}$  შორის მერყეობს. მისი ლიფსიტები მდინარის კალმახის ლიფსიტებისნაირად ჭამენ მწერებს და მათ ჭუპრებს, ლოკოკინებს, კიბოსნაირებს, ჭიანჭველებს, ხოლო მოზარდი კალმახი მტაცებელი ხდება და უმთავრესად თევზებსა და ბაყაყებს ეტანება.

**ცისარტყელა კალმახი:** ისევე, როგორც ჩვენი მდინარის კალმახი მტკნარი წყლის ბინადარია. მის სამშობლოდ ითვლება ჩრ. ამერიკა (ალიასკიდან მექსიკამდე). იგი გავრცელებულია წყნარი ოკეანის სანაპიროების მდინარეებსა და ტებში. 1882 წელს კანადიდან აკლიმატიზებული იქნა ევროპის, აზიის, ავსტრალიის, აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებში. ყოფილ საბჭოთა კავშირში, 1936-1940 წლებში მოაშენეს ლენინგრადისა და კურსკის ოლქებში, კრასნოდარის მხარეში, ესტონეთსა და უკრაინაში.

საქართველოში ცისარტყელა კალმახი 1952 წელს კურსკის ოლქიდან გადმოიყვანეს და აფხაზეთში მდ. შავწყალას ნაპირზე მოწყობილ კალმახის საშენ ტბორებში მოათავსეს, საიდანაც შემდეგ შავწყალაში გავრცელდა. მოგვიანებით გადაყვანილი და მოშენებული იქნა თბილისის, ტყიბულის, კუმისის, შაორის წყალსაცავებში და რუისის საკლამახე მეურნეობებში.

ცისარტყელა კალმახს გვერდებზე თითო-თითო ცისარტყელას მსგავსი ფართო ხალი გასდევს და სწორედ აქედანაა წარმოშობილი მისი სახელწოდება. ის ორი წლის ასაკამდე ძლიერ ჰგავს მდინარის კალმახს.

ცისარტყელა კალმახი ცივი წყლის მოყვარულია. ცხოვრობს მდინარეებში და ნაკადულებში, ოლონდ ჩვენი მდინარის კალმახთან ის უფრო ამტანია. ადვილად ეგუება თბილ წყლებს. იტანს  $4-30^{\circ}$ -მდე სითბოს. საერთოდ კი მისთვის ნორმალურ ტემპერატურად  $20^{\circ}$ -ითვლება, მაშინ როდესაც ჩვენი მდინარის კალმახი წყლის  $14-15^{\circ}$  ტემპერატურის დროს სათავეებისაკენ იწევს, სა-

დაც წყლის ტემპერატურა დაბალია. გარდა ამისა ცისარტყელა კალმახი სწრაფად იზრდება, თუმცა იმავე საკვებით იკვებება როთაც ჩვენი მდინარის კალმახი. სქესობრივად მწიფდება 3-4 წლის. ნაყოფიერება საშუალოდ აღწევს 500-2500 ქვირითა-მდე. მრავლდება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს, იმის მიხედვით თუ სად როგორია წყლის ტემპერატურა. ქვირითს ყრის მდინარის თხელ და ჩქარ დინების ქვა-ქვიშიან ადგილებში. დედალი კალმახი ქვირითს მარხავს, იგი ფსკერული — არაწე-ბოვანია, მოყვითალო ნარინჯისფერი, დაამეტრით 4-6,5 მმ-მდე. მისი ინკუბაცია გრძელდება 1,5-2 თვემდე წყლის ტემპერატურის მიხედვით. ლარვის მიერ ყვითრის შეწოვა ხდება 7-14 დღის გან-მავლობაში. იზრდება 50-90 სანტიმეტრამდე. წონით 0,8-1,6 კი-ლოგრამია, იშვიათად 6 კილოგრამიანებიც ხდებიან. ხელოვნურ ტბაში ორი წლისა აღწევს 350-450 გრამამდე, 3 წლისა 1-1,2 კგ-მდე, 4 წლისა 2 კგ-მდე კვების პირობების მიხედვით.

თავისი თვისისებების გამო ცისარტყელა კალმახი ძვირფასი სარეწაო, სატბორე თევზია, ხოლო მდინარის კალმახი ძირითა-დად სასპორტო თევზია, თუმცა ამ ბოლო დროს გონებადაყან-დებული ადამიანები უმოწყალოდ ანადგურებენ ჩვენი ბუნების სიამაყესა და სიმდიდრეს — ნითელვარსკვლავებიან კალმახს, ურომლისოდაც ჩვენი ქსანი, არაგვი, ლიახვი და ათასი სხვა მდი-ნარე თუ წყარო-ხევები ასეთი კეკლუცები, გულის და გონების მომაჯადოებლები აღარ გვექნებოდა.

მონადირეთა და მეთევზეთა წრეში მდინარის კალმახისა და ორაგულის (ზღვის კალმახის) საერთო წარმოშობის საკითხი ყოველთვის კამათის საგანია ხოლმე.<sup>65</sup> აქ შევეცდები ჩვენი მკითხველისთვის ნათელი გავხადო აღნიშნული სადავო საკითხი რისთვისაც ციტირებას გავუკეთებ ზოოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის მ. დემეტრაშვილის მოსაზრებებს.

როგორც უკვე ავლისწერთ ჩვენში კალმახი წარმოდგენილია 4 ეკოლოგიური ფორმით: მდინარის, ტბის (ტბაში ყველგან ცის-არტყელა კალმახი არ არის), ცისარტყელა კამლმახი და ზღვის კალმახი (ორაგული) ოთხივე ფორმის კალმახის გენოტიპი ანუ

**65. როგორც ბევრგან ისე სოფ. ლამისყანაშიც მცხოვრებ მეთევზე გია ქენექაძეს მიაჩნია, რომ კალმახი და ორაგული წარმოშობით სულ სხვადასხვა სახეობის თევზები არიან.**

მემკვიდრეობითი საფუძველი ერთნაირია, თუმცა ფენოტიპურად ანუ გარეგანი ნიშან-თვის ებებით განსხვავებული არიან. მათი ფორმის ჩამოყალიბება გარემო პირობებზეა დამოკიდებული. სახელდობრ: თუ ის მდინარეში გაიზარდა, მაშინ მდინარის კალმახად ჩამოყალიბდება, თუ ტბაში ან წყალსაცავში მოხვდა, ტბის კალმახად გადაიქცევა და თუ ზღვაში იცხოვრებს — ზღვის კალმახის ანუ ორაგულის სახეს მიიღებს. აღსანიშნავია, რომ ორაგულს დას. ევროპის ქვეყნებში (ინგლისი, გერმანია და სხვა) ზღვის კალმახს უწოდებენ.

კალმახი და ორაგული, რომ ერთიანი ოჯახის წარმომადგენელია იმითაც დასტურდება, რომ ისინი თავისუფლად ეჯვარებიან ერთმანეთს და მათი ნაჯვარი ანუ ჰიბრიდი ისეთივე ნაყოფიერია. ამიტომაც ორაგულის ქვირითს ხშირად ანაყოფიერებენ კალმახის სპერმით. კალმახისა და ორაგულის ერთიანობა დასტურდება სქესთა შეფარდებითაც. სახელდობრ, სქესმნიფე ორაგულებში, რომლებიც გასამრავლებლად ზღვიდან მდინარეში შედიან სჭარბობს მდედრობითი სქესი (80-90%), ხოლო მდინარის კალმახებში — პირიქით, მამრობითი სქესი მეტია.

კალმახის ინტენსიური ზრდის უნარი, ისტორიულად დიდი წყალსატევების პირობებში გამომუშავებული თვისებაა და მას ეს დღემდე აქვს შენარჩუნებული. კალმახის რომელი ლიფსიტაც არ უნდა გამოვზარდოთ პატარა წყალში იგი მაინც მცირე ზომისა დარჩება მსგავსად მდინარეში გამოზრდილი კალმახისა, ხოლო დიდ წყალში — დიდი ზომისა გახდება.<sup>66</sup> საგანგებო ცდებით დადგენილია, რომ გამოჩეკიდან 5 წლამდე მდინარეში ნამყოფი ორაგული სიგრძით საშუალოდ 14 სმ-ს არ აღემატება, ხოლო იგი ერთი წლის განმვლობაში ზღვაში 56 სმ-მდე იზრდება. ასევე ინტენსიურად იზრდება წყალსაცავებშიც.<sup>67</sup>

ორაგული ქვირითიდან გამოჩეკის შემდეგ, ერთ ან რამდენიმე წელს რჩება მდინარეში შემდე კი მიდის ზღვაში, იქაც რჩება ერთ ან რამდენიმე წელს. ძირითადად იკვებება თევზით, იზრდება ინტენსიურად და გამრავლების მიზნით, უბრუნდება მშობლიურ მდინარეს. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა მდინ-

66. კასპიის ორაგული წონით აღნევს 51 კგ-ს. ტაბაწყურის ტბის კალმახი 10.5 კგ-ს. მდინარის კალმახი — 0,5 კგ-ს.

67. იხ. ჟურნალი „ნადირობა“. 2007. № 8. გვ.30

არესთან დაკავშირებული ორაგული ერთმანეთისგან განსხვავდება ზრდის ტემპით, ქვირითის რაოდენობით, სასიცოცხლო ციკლის მდინარეული და ზღვიური სტადიის ხანგრძლივობით, მდინარეში შესვლისა და ქვირითობის პერიოდით და ზოგიერთი მორფოლოგიური ნიშნითაც კი, არაერთგვაროვანი ბუნებით ხასიათდება კალმახიც. ყოველთვის დიდია ინტერესი კალმახისა და ორაგულის ნათესაური კავშირის შესახებ. ამ საკითხით სპეციალისტების გარდა დაინტერესებულია ბუნების მოყვარულთა ფართო მასები. თუმცა ისინი ზოგჯერ ცდებიან, როცა ამ საკითხებზე მსჯელობდნენ.

ცნობილი იქთიოლოგი გ. ბარაჩი თავის მონოგრაფიაში „შავი ზღვის კუმჟა (ორაგულა კალმახი)“ — კალმახს არქეოს „ბინადარ კუმჟას“, ხოლო ორაგულს — „გამსვლელ კუმჟას“, ანუ ზღვის კალმახს. თუ კუმჟა მდინარეში ან ტბაში იზრდება და იქვე მრავლდება, ის კალმახად იწოდება. თუ ზღვაში წაგა მასინ ორაგულის სახელს ატარებს და მაინც ორივე შემთხვევაში ის კუმჟაა.

შავწყალას საკალმახე მეურნეობის მდინარის ტიპის აუზებში ჩატარებული ცდებით დადასტურებულია, რომ ერთ წლამდე ასაკის კალმახის და ორაგულის ლიფსიტა ერთმანეთისაგან არ განსხვავდება. როგორც კალმახის, ისე ორაგულის ქვირითიდან გამოჩეკილ ინდივიდებს ერთნაირად შეუძლიათ ზღვაში მოხვედრისას ორაგულად გაზარდა, ხოლო მდინარეში დარჩენისას — კალმახად ჩამოყალიბება.

კალმახის ორაგულად და ორაგულის კალმახად გაზრდის დამაჯერებელი ფაქტები აქვთ, აგრეთვე ფრანგ, გერმანელ, შოტლანდიელ, ახალზელანდიელ სპეციალისტებს.

პატარა და ჩქარ მდინარეში ნელი ზრდით ხასიათდება არამარტო ადგილობრივი ბინადარი კალმახი, არამედ მისი გამსვლელი ფორმაც ე. ი. ნამდვილი ორაგული, რომელიც ქვირითიდან გამოჩეკის შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაშო მდინარეში რჩება.<sup>68</sup>

აღსანიშანვია, რომ კალმახისა და ორაგულის ხორცის ფერი და გემო ძირითადად დამოკიდებულია საკვებზე. მაგალითად

68. მ. დემეტრაშვილი, კალმახი და ორაგული. ჟურნალი „ნადირობა“ 2007 №8. გვ.13

კიბოსნაირებით მკვებავი კალმახის ხორცი ვარდისფერია. ამრიგად ზემოაღნიშნული დაკვირვებები საშუალებას იძლევიან, კალმახისა და ორაგულის ერთიანობაში დავინახოთ მათი ორმაგი ბუნება — კალმახში კალმახის ბუნების გარდა ორაგულის ბუნებაცაა და პირიქით.

## კალმახის ეტიმოლოგია

საქართველოს წყალსატევებში ორი სახეობის ენდემური ჯიშის კალმახია, გავრცელებული — წითელნინჯულებინი ანუ მთის კალმახი და შავნინჯულებიანი ანუ ტბის კალმახი. კავკასიაში ამ სახეობის თევზს კალმახს და იშხანს უწოდებენ. ეს ორივე სიტყვა სპარსული ენიდანაა გავრცელებული. ჯერ „კალმახი“ განვმარტოთ. „სპარსულ ენას ასობგერა „კ“-არ გააჩნია, მის მაგივრად ხმარობენ „ხ“-ს და „ქ“-ს. „კალ“ — სპარსულად იკითხება როგორც „ხალ“. ხალი კი სპარსულშიც და ქართულშიც ერთნაირი მნიშვნელობით იკითხება. „მაჟ“ — თევზია, ე.ი. კალმახი ანუ ხალიანი თევზი. რაც შეეხება „იშხანს“, სპარსულად „იშ“ — იგივე „ფიშ“ — თევზია, ხოლო ხანი მოგეხსენებათ თავადს, ლორდს ნიშნავს. ამგვარად იშხანი ითარგმნება როგორც თავადი თევზი“.<sup>69</sup>

სიტყვა კალმახი მჭიდროდ დამკვიდრდა ჩვენს ლექსიკაში, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ დიალექტებში მას რამდენიმე სინონიმი აქვს. ალექსანდრე ნეიმანი „ქართულ სინონიმთა ლექსიკონში“ გვამცნობს: „კალმაჟი — გელაქნური, იშხანი, ბახტაკი“ (გვ.244). მთიულები და ფშაველები კალმახს მოიხსენიებენ როგორც გელაქნური, ასევე წინწკალად. სვანები კალმახს „თუზს“ — უწოდებენ.

კიდევ ერთი საინტერესო ცნობა: სიტყვა ხიზილალა, რომელსაც მოგეხსენებათ ქართველები ზუთხისა და ორაგულის ქვირითს ვუწოდებთ, არაბულ სამყაროში კალმახი ჰქვია. თუ რატომ დამკვიდრდა ამ მნიშვნელობით ჩვენში, დაუდგენელია.

69. იხ. ჟურნალი „ნადირობა“ 2008 №4. გვ. 32

სიტყვა კალმახი ქართულ ენაში ისე ლამაზად და მოხდენილად ჩაჯდა, რომ ეს სახელი მოგვევლინა, როგორ ჰიდრონიმთა ისე ისტორიულ-გეოგრაფიულ ტოპონიმებად. კერძოდ ერთ-ერთი „კალმახის წყალი“ სათავეს იღებს თურქეთის საზღვრებიდან სამხრეთ საქართველოში, ასევე „კალმახის წყალი“ ჰქვია მდინარეს, რომელიც სათავეს იღებს „ეშმაკის ციხიდან“ და აგარას-თან ერთვის მტკვარს მარცხენა ნაპირიდან.

ასევე კალმახი უდებს სათავეს ისტორიულ ციხეს — კალმახს, რომელზეც სამცხე-საათაბაგოს აღნერისას, ვახუშტი დასძენს: „ჭოროხს მოერთვის თორთომის მთიდან გამომდინარე წყალი, ამ ხევზედ არს ციხე კალმახისა, რომელი აღაშენეს პიტიახშთა, დიდ-შენი, მაგარი და შეუვალი. იყო საერისთაო ტაოსი“ (ქართლის ცხ. თ. IV. 1973. გვ. 683) კალმახის ციხე შემდეგ კალმახის საერისთაოს ცენტრად იქცა: „შემდგომად ერისთავმან კალმახისამან და გრიგოლ ერისთავმან აწვიეს ბაგრატ“. კალმახის ცნობილი ერისთავი და პატრონი არის სულა კალმახელი.

## ორაგული

იქთიოლოგები 28 სახეობის ორაგულს გამოყოფენ. ჩვენთან, საქართველოში ორაგულის ორი სახეობა იყო გავრცელებული — კასპიის ზღვიდან და შავ ზღვიდან შემომავალი. კასპიის ზღვის ანუ მტკვრის აუზის ორაგული თითქმის ყველა დიდ და პატარა მდინარეში შედიოდა: დიდ და პატარა ლიახვში, მეჯუდაში, ფრონეში, ლეხურაში, ქსანში, არაგვში, ალაზანში და სხვაგან. ორაგული მდ. იორში არ იცოდა, რაზეც საინტერესოდ წერს ვაჟა-ფშაველა, ჯერ კიდევ თამარ მეფის დროინდელი ამბებიდან: „მდინარე იორს, თუმც არაგვის ტოლია, წვრილი თევზით მდიდარი, მაგრამ რადგანაც ორაგული არ იცის იორს არაგვის ეხტიბარ არ ააქვს. — კურთხეულ თამარ მეფის სდომებია ძალად გაეჩინა იორში ორაგული. ამიტომ დედალ-მამალი ორაგული ჩაუსმეინებია თანაც ბოლოში ფაცერი ჩაუდგამს, მაგრამ ორაგულები ისევ უკან დაბრუნებულან და ფაცერში ჩაცვინულან. რატომ არ უნდა იცოდეს იორმა ორაგული? — კვირობდა ბენინა.

იორიც მთის წყალია, ქვებზე და კლდეებზე მოდის, სასმელად არაგვზე ნაკლები არ არის, მაგრამ არ იცის ორაგული და არა, რომ დაამწყვდიო, ორ დღეს ვერ გასძლებს. მოკვდებაო“ (ორაგულის ცხოვრება).

განსაკუთრებით გემრიელი ორაგული არაგვში ყოფილა, რომლის სახელიდანაც მოისაზრება თვით ამ თევზის სახელის წარმოშობა, რასაც თვითონ ვაჟა-ფშაველაც იზიარებს: „...აქ ვარ დაბადებული, ჩვენი მშობელი დედა არაგვია: - სახელიც ორაგული არაგვისგან დაგვრქმევია. მიხარიან, მე და ჩემმა ღმერთმა, რომ სხვა სახელი არა გვქვიან“. (ორაგულის ცხოვრება). თუმც განსაკუთრებული აზრიც იკვეთება, რაზეც მოგვიანებით გვექნება საუბარი.

კასპიის ზღვის ორაგულმა მტკვრის ზემო წელზე არსებობა შეწყვიტა 1926 წლიდან, როცა ზემო ავჭალის ჰიდროელექტრო სადგური „ზაჟესი“ აშენდა,<sup>70</sup> ხოლო არაგვის და მტკვრის ხერთვისამდე ანუ მტკვრის ქვემო წელზე 1953 წლიდან.<sup>71</sup>

ორაგული ზღვის ბინადარია, მაგრამ მისი სამშობლო სწორედ მთის ანკარა ხევები და მდინარეებია. ზამთარში თევზი ზღვაში იკვებება, როგორც მტაცებელი, იგი თავს ესხმის პატარ-პატარა თევზებს და ზომა-წონაში სწრაფად მატულობს. გაზაფხულობით ან ზაფხულის დასაწყისში, წინაპართა საუკუნოვანი ინსტიქტს დამორჩილებული, ორაგული თავის მშობლიურ მტკნარ წყალს უბრუნდება და იქ ქვირითობს. ტოფობის შემდეგ იგი იმდენად სუსტდება, რომ ფარფლების ქნევაც კი უჭირს. ზღვისკენ ფაქტიურად მდინარის დინებას მიაქვს. ამ პერიოდში ორაგული ხშირად იღუპება. თუ გაუმართლებს და ხელახლა ზღვის სივრცეში ამოყოფს თავს, იგი დროთა განმავლობაში

70. ამიერკავკასიაში პირველი მძლავრი ჰიდრო ელ. საფგური აშენდა ზემო ავჭალაში. დაიწყო 1922 წელს. პირველი რიგი 1927 წ. გადაეცა საექსპლუატაციოდ. სრული სიმძლავრით ზაჟესი ამუშავდა 1938წ. წლიური გამომუშავება 203 მლნ.კვტ.სთ; კაშხალის სიმაღლე 34 მეტრი. სადერკვაციო არხის სიგრძე 3 კმ.

71. წყალსაცავი მდ. მტკვარზე შეიქმნა მინგეჩაურის ჰესის კაშხლით (აზერბაიჯანი) აივსო 1953-1959 წლებში ფართი 605 კმ<sup>2</sup>. სიგრძე 70 კმ. მაქსიმალური სიგანე 18 კმ. სილომე მინიმალური 27 მ. აიგო ენერგეტიკის, სოფ. მეურნეობის და წყლის ტრანსპორტის განვითარების მიზნით. წყალსატევიდან გაყვანილია ზედა ყარაბაღისა და ზედა შირვანის არხები.

იღდგენს დაკარგულ ძალებს და შესაძლებელია ერთხელ კიდევ დაუბრუნდეს მშობლიურ მდინარეს.<sup>72</sup>

ორაგულის ზურგი მუქი ნაცრისფერია, ლურჯი — ფოლა-დის ელფერით. გვერდები და მუცლის მხარე მოვერცხლისფერო — თეთრი. სხეულზე შავი ლაქები. უმეტესად გვერდითი ხაზის ზევით. თავთან გვერდებზე უფრო მსხვილი, მუქი ლაქებია. სიგ-რძე აღწევს 110 სმ-მდე. წონა 24 კგ-მდე. იშვიათად მეტს.

ორაგული გამსვლელი თვეზია. გასამრავლებლად შემო-დიოდა კასპიის ზღვიდან და ფარავდა მტკვრის აუზის ყველა მდინარეს. ქვირითობს წელიწადში ერთხელ — შემოდგომით. მდინარეებში და მათ შორის ლიახვში, ქსანში, არაგვში რჩებოდა მაისიდან ნოემბრამდე (გიორგობამდე). მდინარეებში ლიფსიტე-ბი რჩებოდნენ 2-3 წლამდე, შემდეგ ჩადიოდნენ ზღვაში, სადაც ინტენსიურად იკვებებოდნენ, იზრდებოდნენ და იქიდან ერთი ან რამდენიმე წლის შემდეგ ბრუნდებოდნენ მშობლიურ ადგილებ-ში.

ორაგული ანუ ზღვაში ბინადარი კალმახი თავისი ძირთადი ფორმის — მდინარის კალმახისაგან განსხვავდება სწრაფი ზრ-დით, მაღალი ნაყოფიერებით, სხეულის ფორმით, შეფერილო-ბით, რაც გამოწვეულია ზღვის თავისებური პირობების გავლე-ნით. მდინარეში ყოფნისას იკვებება კიბოსნაირებით, მწერებით, მატლებით, წყალში ჩაცვენილი ჭიანჭველებით, ხოლო ზღვაში ძირითადად იკვებება თევზებით (ქაფშია, ქარსალა) და უხერხ-ემლო ცხოველებით. მისი ზრდა მდინარესა და ზღვაში საკმაოდ განსხვავებულია. მდინარეში იზრდება ნელა, ხოლო ზღვაში სწრაფად. სქესობრივად მნიშვნელი 3-4 წლის ასაკში. ზღვაში ერ-თი-ორი წლის ყოფნის შემდეგ.

მდინარეში შედიან ჯერ მსხვილი ინდივიდები 80-100 სმ. სიგრძისა შემდეგ მცირე ინდივიდები 50-60სმ. სიგრძისა.<sup>73</sup> მდი-ნარეში ქვირითობა გრძელდება სექტემბრიდან თებერვლამდე, (მდინარეთა ზემო წელზე და მთის მდინარეებში ოქტომბრამდე).

72. ნაცვალაძე კ., საქართველოს ხერხემლიანთა ცხოველთა სამყარო. თბ. 2004. გვ.19

73. ქსანში, არაგვში, ლიახვში ზღვიდან შესვლას იწყებდა მაისის ბოლოს. მცხეთამდე პირველად წამოსული თითო-ოროლა ინდივიდი აღწევდა თებერვალში. ზაჟენის აშენებამდე ადიოდა ახალციხის ზევით სოფ. ხერთვისამდე.

ორაგულის საქვირითე ადგილები განლაგებულია მდინარის შუა და ზემო დინებებში, თხელწყლიან, ქვა-ქვიშიან ადგილებში. კალმახის მსგავსად ქვირითს ყრის თავისმიერ, ზოგჯერ მამრის მიერ ამოთხრილ ორმოში. წყლის 4-8° ტემპერატურისას. ნაყოფიერება აღწევს 2,5-15,5 ათას ქვირითს. ორაგულის ქვრითის განაყოფიერებაში მონაწილეობს აგრეთვე მდინარის კალმახი. ქვირითის განვითარება დამოკიდებულია წყლის ტემპერატურაზე, 9-10° ტემპერატურისას ინკუბაცია გრძელდება 40-50 დღე-დამე.

ორაგულისა და კალმახის ახალგაზრდა თაობა მდინარეში ერთიან ფონდს შეადგენს, ცხოვრების მეორე წელს ცალკევდება ანუ ირჩევა მდინარეში დამრჩენ კალმახად და ზღვაში ჩამსვლელ ორაგულად, ამ დროს საორაგულე მოზარდები ღებულობენ ვერცხლისფერ შეფერილობას და ეშვებიან ზღვისკენ, როგორც წესი ძირითადად მიდის მდედრობითი სქესის ინდივიდები, რაც შეადგენს 80-90%, ხოლო მდინარეში რჩება უმთავრესად მამრობითი სქესი რომლებიც როგორ ავლნიშნეთ კალმახად რჩებიან და მომავალში ანაყოფიერები ირაგულთა ქვირითს.

როგორც კალმახს ისე ორაგულს საუკეთესო, კალორიული, სამკურნალო თვისებების გამო ბევრი მტერი ჰყავს. სტიქიასთან ერთად მათ დაუნდობლად ანადგურებს ფაუნის ზოგიერთი ნარმომადგენელი (დათვი, მელია, მაჩვი და სხვა.) ხოლო მათი ყველაზე დიდი მტერი ყოველთვის და ყველგან ადამიანია. გასულ საუკუნეებში სიღარიბესა და შიმშილს ქართველი გლეხი კალმახისა და ორაგულის მოპოვებით ებრძოდა. გლეხთა სიღარიბეზე და დროდადრო ბუნების წყალობაზე მოვუსმინოთ 110 წლის წინანდელი ქართულ პრესას, რომელიც არაგვის ხეობაზე მთიულეთის სოფლებს და იქ მცხოვრებ გლეხთა მდგომარეობას გვიხატავს: „ ეს სამ წელიწადზე მეტია მოსავალმა მთიულეთში იკლო, რომ გლეხს სათესლე ხორბალიც კი გამოელია და სიმინდის ზიდვამ კავკავიდამ ცხოვრება გაუმნარა. თქვენი მტერი წრეულაც, რომ ბედს ემტყუნა მთიულეთისთვის და მოსავალი რიგიანი არ მოჰსვლოდათ... როგორც პურის მოსავალმა, ისე ბალახმა წრეულ უნუგეშოდ არ დაგვტოვა და მშვენიერი თივები დაადგმევინა გლეხებს.

ამ ზაფხულს ორაგული იმდენი შემოვიდა მტკვრიდგან ამ ჩვენს არაგვში. რომ აქაური მეთევზეები თითო ორაგულს, რომ მელიც 20-35 გირვანქა<sup>74</sup> გამოდის საქართველოს სამხედრო გზის სადგურებში სამ-ოთხ მანეთად ჰყიდიან“.<sup>75</sup>

ქართულ პრესაზე და სხვადასხვა მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე თანდათან იზრდება ორაგულზე ფასები, რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო მტკვრის აუზში ამ თევზის შემცირებით, თავის მხრივ მტკვარში და მის შენაკადებში თვალში საცემად ორაგულის შემცირება პროვოცირებული იყო როგორც ბრაკონიერების ისე ჩვეულებრივი მოქალაქეების გააქტიურებით. წინა ათწლეულებში, რომ ბევრად მეტი ორაგული იყო ლიახვში, ქსანზე, არაგვში ვიდრე XX საუკუნის დასაწყისისთვის ნათლად ჩანს ვაჟა-ფშაველას ბუნების სურათში — „ორაგულის ცხოვრება“-ში. „წინად, ძველ დროში აუარებელი უნდა ყოფილიყო ორაგული თურმე პატარ-პატარა წყლებშიც კი იჭერდნენ; ყველას, მდიდარს თუ ლარიბს ჯვეფად შენახული ჰქონდა ორაგულის ხორცი წლითი-წლობამდე და დღეს რის ტანჯვა-წვალებით უნდა იპოვნო თვით არაგვში ორაგული რომ დაიჭირო. ...გასწყდა თევზი! ამ ოცი-ორმოცი წლის შემდეგ იქნება ორაგული თვალით დასანახავად გვინატრებოდეს“... სამწუხაროდ აცხადდა ვაჟას წინათვრძნობა და 10 წლის მერე, 1922 წელს („ორაგულის ცხოვრება“ დაიწერა 1912.) მართლაც სანატრელი გაუხდა მოსახლეობას ორაგულისთვის თვალის შევლებაც კი.

თევზის დეფიციტმა ფასების ზრდა გამოიწვია, კერძოდ: 1886 წელს მთიულეთში თუ „თითო უშველებელს ორაგულში ათს შაურზე მეტს არ იძლევიან მედუქნეები და ჩარჩები“, მაშინ 1901 წლისთვის 8-14 კილოგრამიან ორაგულს სამხედრო გზის სადგურებში სამ-ოთხ მანეთად ჰყიდიან.

ორაგული ყველგან გერმიელ თევზად ითვლება და ყველა კონტინენტის წყლებში გხვდება. არ არის მხოლოდ ეკვადორის სიახლოვეს, რადგან მას თბილი წყალი არ უყვარს.

74. ერთი გირვანქა უდრის 96 მისალს. ე.ი. 409.5 გრამს. 20 გირვანქა უდრის 8 კგ-ს და 190 გრამს, 35 გირვანქა — 14 კგ-ს და 332.5 გრამს.

75. გაზეთი „ივერია“ 1901 წ. №199.

როგორც ქართველთა კვების კულტურიდან ისე ისტორიიდან ნათლად ჩანს, რომ კალმახი და ორაგული დიდად დაფასებული ყოფილა ჩვენი წინაპრების მიერ. ცნობილია, რომ აღმ. საქართველოში კასპიის ზღვის ორაგული შემოდიოდა და ქართული და არა მარტო ქართული სუფრის მშვენება იყო. ძლიერნი ამა სოფლისანი მას ცოცხლად ინახავდნენ ჭებში. ისტორიაში შემოგვინახა ერთობ საინტერესო ამბავი იმაზე თუ როგორ იხსნა ქსნის ორაგულმა მაშინდელი ქართლის მეფის დავით V-ის (1505-25 წწ.) ძმა ბაგრატ უფლისწული და მისი სამუხრანბატონოს ქართველობა ავგიორგისა და კახელ თანამემაულეთა რისხვისაგან.

„1512 წ. ქართლის მეფის უმცროსმა ძმამ ბაგრატმა საუფლისწულოდ მუხრანი და შიდა ქართლის სადროშოს სპასპეტობა ითხოვა. სამაგიეროდ კახეთის მეფე ავგიორგისთან შებრძოლება იკისრა. დავითი დათანხმდა ძმას. ბაგრატმა ქსნის ციხე საუფლისწულო მამულების მიღებისთანავე ააგო. როცა ავგიორგიმ ციხის აგების ამბავი გაიგო წამოვიდა ჯარით და ციხეს ალყა შემოარტყა. ალყა სამ თვეს გაგრძელდა მაგრამ უშედეგოდ. ავგიორგიმ ბაგრატს დაცინვით ღვინო გაუგზავნა და შეუთვალა: — შენ მეფის ძე ხარ და რამდენი ხანია ღვინის გემო არ გინახავს. ბაგრატს ჭაში კი ცოცხალი ორაგული ჰყავდა, გაუგზავნა ორაგული და თან შეუთვალა: — სამი თვეა ქსანზე დგახარ და ორაგული არ გიგემიათ. აპა, ეს ცოცხალი იგემეო. ავგიორგი დარწმუნდა, რომ ციხე უზრუნვეყოფილი იყო სანოვაგით, ალყა მოხსნა და უჟიქცა“.<sup>76</sup>

ორაგული და კალმახი როგორც უკვე ავღნიშნეთ საკუთესო თევზთა სიის თავში არიან მოხვედრილები. კაშხლების შენებასა და ელექტროფიკაციას შენირული ორაგულის ხელოვნური მოშენება დაინყეს, მაშინდელი საბჭოთა კავშირის ბევრ რესპუბლიკაში და მათ შორის საქართველოშიც. კერძოდ — დას. საქართველოში აშენდა შავი ზღვის ორაგულის მოსაშენებელი სარეწაო ქარხანა შავწყალაზე (აფხაზეთი). აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა წყალსატევებში თევზის მარაგის გადიდების მიმართულებით მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ 1928 წლიდან,

76. საქ. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღნერილობა ტ. 5, თბ. 1990 გვ. 326

როდესაც მტკვრის ზემო დინებისაკენ გასამრავლებლად მომავალ ორაგულს გზა გადაუღობა ზაჰესის ჯებირმა, მაშინ შეიქმნა ორაგულის საშენი ნატახტართან (იარსება 1941 წლამდე.)

1933 წ. თევზსაშენები ჩამოყალიბდა ტაბაწყურისა და ფარავნის ტბებზე ხოლო 1958 წ. თბილისის წყალსაცავზე, 1969 წ. ხრამის წყალსაცავზე. სარეწაო ორაგულის ხელოვნურად მოშენებაზე უფრო ნათელი ნარმოდგენისთვის ციტირებას მოვახდენთ ერთი საგაზეთო სტატიიდან, რომელიც შავწყალაზე კალმახისა და ორაგულის მოსაშენებელ მეურნეობას ეხება:

„შავი ზღვის სანაპიროზე მდინარეში ხელოვნურად აშენებენ და ზრდიან ორაგულს, როცა ის დაახლოებით 100 გრამი გახდება, ფაცერს კარს გაუღებენ და ჰაიდა — გასასუქებლად ორაგულის ქარავნებს ზღვაში უშვებენ. გავა დრო, დაზრდილი და დასუქებული, ნამდვილ ორაგულებად ქცეული თევზები კვლავ მშობლიურ მდინარეს დაუბრუნდებიან ქვირითის დასაყრელად. ხომ არ გონიათ, რომ გზა აერვათ და სხვა მდინარეში შევლენ? ქარავნებად დარაზმულნი მხოლოდ მშობლიურ მდინარეს მონახავენ და აღმა აჰყვებიან.

მართლაც, რომ კარგი სანახავია, ორაგულების დაბრუნება. ამ პროცესს მეთევზები და იქტიოლოგები ტოფობას-ქვირითობას ეძახიან. საოცრად ლამაზია სატოფოდ გამზადებული ორაგული. ამ პერიოდში ბუნება საგანგებოდ რთავს მას. ცისარტყელას ყველა ფერით ბრწყინვას და ელავს იმის განთქმული ხალები“.

იმ ორაგულთა შთამომავლები, რომელთაც უკანასკნელად, მშენებარე ზაჰესის კამხალი გადალახეს დარჩნენ მტკვრის ზემო დინებაზე არაგვში, ქსანში, ლიახვეში და სხვადასხვა დიდ და პატარა წყლებში. მათ თავიანთ შთამომავლებთან ერთად რამდენიმე წელს კიდევ გაუძლეს ბრაკონიერებს და წყალდიდობებს. მათი გენოფონდი წლითიწლობით მცირდებოდა და პატარავდებოდა მათი შთამომავლობა.

მტკვრიდან ქსანში და იქიდან ცხრაზმულაში შესული ორაგულის ერთ ეგზემპლარზე გვიამბო ახალგორელმა მთის კაცმა ფედრა (დიდი) ჩიტიშვილმა (დაიბადა 1926წელს) „8-9 წლის მოჩერილი ბალლი ვიქენებოდი, კარგად მახსომს, შაბადგომა იყო. ერთმა ჩვენებურმა ციხე ჩიტიანელმა, კოჭლმა კაცმა — ნიკა

ჩიტიშვილმა, „უდროოდ გარდაცვლილი შვილის ქელებისთვის „თოხოურას წისქვილთან“ ცხრაზმულაში ნაკაფი ტოტი ეყარა და იმ ტოტებში დაგუბებულ წყალში გაჩხერილი ორაგული მოკლა“.

დღეს-დღეობით საქართველოში ორაგულის შემცირების გამო, გარდა ზოგიერთ პატარა, კერძო ტბორებისა, სარენაო ჭერა არ ხდება. ადრე მისი მოპოვება (XIXs. 50-60-იან წლებში) წლიურად აღნევდა 90 ცენტერამდე. დღეისათვის კერძო სატბორე მეურნეობაში ხდება როგორც ორაგულის ისე კალმახის მოშენება.

## ორაგულის ეთიმოლოგია

— ორაგულის სახელის წარმომავლობასთან დაკავშირებით მკვლევართა აზრი ორად იყოფა: ერთნი განმარტავენ, რომ ორაგულს სახელი მდ. არაგვიდან წარმოსგდებაო. (არაგვი-არაგვული-ორაგული, სადაც ხმოვანი „ა“, „ო“ მ შეცვალა) ამ მოსაზრებას საფუძველი სამეცნიერო ლიეტრატურაში ვფიქრობ ვახუშტი ბატონიშვილმა ჩაუყარა, ხოლო თვით ამ მდინარემ სახელი სწრაფი დინებიდან მიიღო, რომელიც არ გვიდა ხეობას. „ხედავ არა გვის ეს წყალი ამ ხევთა! არამედ ესე მდინარე ურგები, თევზინიერ ორაგულისა, არარა და იგიცა ჟამად“.<sup>77</sup> ე. ი. ეს მდინარე — არაგვი გამოუსადეგარი, ურგები გარდა ორაგულითა, ოღონდ ისიც პერიოდულად — „ჟამად“.<sup>78</sup>

ზოგიერთ მკვლევართა მოსაზრებით ორაგულს მდ. არაგვიდან არ უნდა ჰქონდეს სახელი მიღებული და აი რატომ: მტკვრიდან ორაგული აღმ. საქართველოს თითქმის ყველა მდინარეში შედიოდა, ისეთ პატარა მდინარეშიც კი, როგორიცაა ფრონე. მას

77. ბატონიშვილი ვახუშტი „აღნერა სამეფოსა საქართველოსა“. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. თბ. 1973. გვ. 350-51.

78. ვახუშტი ბატონიშვილი, მთიულეთის აღნერისას, არაგვის ზემოთ მოყვანილ დახასიათების შემდგომ იძლევა ასეთ სურათს: „პავითა არს ფრიად კეთილი და შუენიერი, წყარო-წყლითა და მწუანითა. წყალთა შინა კალმახი, მრავალნი, ხორცი, თევზინი და ფრინველნი გემოიან-ნი“... (იქვე გვ.356)

ყველგან ორაგულად მოიხსენიებდნენ. დასაფიქრებელია ისიც, რომ ალაზნის ამავე სახეობის თევზს ადრე „გოჭალას“ უწოდებდნენ! და კიდევ, თუ სახელი ორაგული მდინარე არაგვიდანაა ნაწარმოები, მაშინ ამ სახეობის თევზს დასავლეთ საქართველოში რატომ სხვა სახელი არ დაერქვა?! ლოქოს მაგალითად აღმ. საქართველოში ამ სახელით, დას. საქართველოში კი ღლავად მოიხსენიებენ.

„ჩვენი აზრით ორაგული ამ სახეობის თევზს დაერქვა არა მდინარის სახელიდან, არამედ მისი ბუნების წყალობით. ორგული ხომ ორბუნებიანია. ის როგორც მტენარი წყლის ასევე მღლაშე წყლის ბინადარია ე. ი. მასში ორი ბუნებაა ჩარგული. ანუ „ორადაა რგული“, რადგანაც ორი განსხვავებული წყლის ბინადარია.

მოგეხსენებათ, ქართული ფონემი რამდენიმე თანხმოვანს ერთად ვერ იტანს და დროთა განმავლობაში რომელიმე თანხმოვანი იკარგება. ამ შემთხვევაში „ორადრგული“, სადაც სამი თანხმოვანი — „დ“, „რ“ და „გ“ ერთადაა, სავარაუდოდ „დ“ და „რ“ დაიკარგებოდა და დარჩა „გ“ და ამ სახეობის თევზს ქართულ ლექსიკაში ეწოდა ორაგული“.?<sup>79</sup>

## გურია

საქართველის ულამაზეს ხეობათა მდინარეებში გავრცელებულ კეკლუც კალმახს გვერდს უმშვენებს და სწრაფ მდინარეთა ზეირთებში დიდ სიმაღლეებზე მხარდამხარ მიჰყვება მურნა, რომელსაც მხოლოდ ქართლში — კასპიდან ბორჯომამდე ციმორსაც ეძახიან.

მურნა ამიერკავკასიის ენდემური ფორმაა: საქართველოში ბინადრობს მტკვარში და მის შენკადებში: დიდ და პატარა ლიახვში, ფრონებში, მეჯუდაში, ლეხურაში, ქსანში (ადის ლომისის ხევის შესართავამდე ზ. დ. დაახლოებით 1400 მეტრ სიმაღლემდე<sup>80</sup>),

79. კოჭლაშვილი ნ., ორაგულის შესახებ. ჟურნალი „ნადირობა“ 2008. №2. გვ.34

80. ქსანის ზემო ნელზე ქარჩოხში ფისქირდება (სოფ. ბალაანში) მურნასთან დაკავშირებულია ჰიდრონამი „მურნათ ხევი“. გადმოცემით

ალაზანში (შედის პანკისის ხეობამდე), ჯანდარის ტბაში და სხვა წყლებში. მისი სხეული წაგრძელებულია, თითისტარისებური, შუბლი ამოზნექილი, დინჯი, მოგრძო ტუჩი ძლიერ განვითარებული, ქვედა ტუჩი სამად გაყოფილი, თვალები პატარა, ორი წყვილი ულვაში, უკანა შედარებით გრძელი.

ბიოლოგიურად რეოფილური ფორმა — ამჯობინებს მდინარის ჩქარ, ქვა-ქვიშიან ადგილებს. იკვებება ძირითადად მწერებით და მათი მატლებით, კიბოსნაირებით, დეტრიტით და სხვა. სქესობრივად მწიფდება 2-3 წლის ასაკიდან. ტოფობს მაისივნისში მდინარის ქვა-ქვიშიან ფსკერზე.<sup>81</sup> ქვირითის რაოდენობა აღწევს 3000-23000-მდე.

საქართველოს წყლებში რაოდენობის სიმცირის გამო სარენაო მნიშვნელობა არ აქვს, იჭერენ სხვა თევზებთან ერთად. გემრიელ თევზადა მიჩნეული ქსანზე და ბევრ სხვა ხეობებში.

მ. ბერიძის განმარტებით „მურნა“ და „წვერა“ ერთი და იგივეა. წვერას ძირითადად დასავლეთში ეძახიან (იმერლები), აღმოსავლეთ საქართველოში კი მურნას. გასათვალისწინებელია, რომ ლიახვის მიდამოებში მურნას ციმორსაც უწოდებენ.<sup>82</sup>

## მტკვრის ნერა (დედალი მურნა)

გავრცელებულია საქართველოს მტკნარ წყლებში, ხშირად მტკვარსა და მის შენაკადებში: ხრამი, ალგეთი, არაგვი, არაქსი, ლიახვი, ბორჯომი, ფოცხოვი, ახალქალაქის წყლები, იორი, ალაზნი. მცირეა ტბებში და წყალსაცავებში: ჯანდარის, ფარავნისა და საღამოს ტბებში. ხრამის, თბილისისა და სიონის წყალსაცავებში. ცნობილია აგრეთვე აზერბაიჯანის წყლებში.

მტკვრის წვერა მტკნარი წყლის თევზია. ამჯობინებს ჩქარდინებას, ნაკლებად ეგუება მდგარ წყლებს, ახასიათებს სქესობრივი დიმორფიზმი — დედალი 3-4 ჯერ დიდია მამალზე. დედა-

---

გლეხებს ძველ დროში, მაღალი მთის ნაკადულში უნახავთ აღნიშნული ჯიშის თევზი.

81. როგორც კალმახი, ორაგული და სხვა ბევრი თევზი — მურნაც გორაობით იშორებს ქვირითს ტოფობისას.

82. გელაშვილი ლ. საუბრები თევზებზე, თბ. 1982. გვ. 43

ლი სქესობრივად მნიუფლება 3 ნლის ასაკიდან, მამალი 2 ნლიდან. სქესმწიფე მამლის მინიმალური სიგრძე 10 სმ. წონა 12 გრამი. დედალისა — 15 სმ. წონა 70 გრ. მრავლდება აპრილის ბოლოდან შუა აგვისტომდე. ქვირითს ყრის სამ ჯერად. ნაყოფიერება აღნევს 24 ათასამდე, ქვირითის დიამეტრი 1,94-2,24 მმ-მდეა, იკვებება ბენტოსით და ნაწილობრივ წყალმცენარებით. მის კვებაში ზოობენთოსით და ნაწილობრივ წყალმცენარებით. მის კვებაში ზოობენთოსით და ნაწილობრია, რუისელები, კიბოსნაირები, დღიურები. რაოდენობის სიმცირის გამო სარენაო მნიშვნელობა არ აქვს, ის სპორტული თევზჭერის ერთ-ერთი საინტერესო ობიექტია. იჭერენ როგორც ფსკერული ისე ტივტივიანი მოწყობილობით. უმეტეს შემთხვევაში სატყუარას დინებაზე გაყოლებით. მდინარეზე თევზაობისთვის ყველაზე მოსახერხებელი ფსკერული მოწყობილობა, მოკლე სათევზაო ჯოხი და უინერციო კოჭია. ძირითადი ძუა სასურველია იყოს 0.25-0.35მმ.

მურნაზე თევზაობისას ძირითადად ცხოველურ სატყუარას იყენებენ: ნაკელის ჭიას, ბუზის მატლს, ლოკოკინას ხორცს, ქერქიჭამიას და სხვა. თევზი მოჰკიდებს თუ არა პირს სატყუარას მაშვინვე ძლიერად სწრაფად ქაჩავს ძუას, ზუსტად ამ დროსაა საჭირო ჯოხის სწრაფი და ძლიერი ამოკვრა. იგი ადვილად ვერ სძვრება ნემსკავს თუ ნამოეგო, რადგან ქსელი და დაკუნთული ტუჩები აქვს.

### ვიჩეული (პაპოეტი, ცოცხალი, ხრამული, ლურჯა)

— ფიჩეული ფართოდ გავრცელებული თევზია. პირი განივი აქვს, ქვედა ტუჩი დაფარულია რქოვანი გარსით და წინ გაფხინებულია. რითაც ადვილად ფხევს ქვებზე და სხვა საგნებზე მოდებულ წყალმცენარებს. ორი მოკლე ულვაშით, შუბლი ოდნავ ამოზნექილი, ზურგი კეფის უკან ოდნავაა შეტყლეული. სხეული თითისტარისებური, წინა ნაწილი სქელი, მაღალი, უკანა ნაწილი შედარებით წვრილია და დაბალი. კუდის ფარფლი საქმაოდაა ამოჭრილი. თავზე, შუბლზე, დინგზე გამრავლების დროს უჩინდება რქოვანი ბორცვაკები, ზურგის მხარე მუქია, გვერდები მუქი ნაცრისფერი, იშვიათადაა მოვერცხლისფერო, მუცელი მოთეთრო-მოყვითალო ელფერით. ანალური ფარფლები ხშირ-

ად მოწითალო ელფერით, სიგრძე 50 სმ-მდეა, წონა 0,5 კგ-დან 2,5 კგ-მდე<sup>83</sup> ხშირად გვხვდება პატარები.

ფიჩხული აღმ. საქართველოს წყლებში გვხვდება თითქ-მის ყველგან — მტკვარი და მისი შენაკადები: ხრამი, ალგეთი, არაგვი, ქარა, ლიახვი, ფოცხოვი, ალაზანი, იორი. ტბები — ჯან-დარის, ბაზალეთის. წყალსაცავები — თბილისის, სიონის. საქა-რთველოს გარდა გვხვდება აზერბაიჯანის წყლებში.

ეს ხუთი სახელის მატარებელი თევზი ბინადრობს როგორც მდინარეებში ისე ტბებსა და წყალსაცავებში. იკვებება წყალმ-ცენარეებით, დეტრიტით და მათთან შეყოლილი ცხოველური ორგანიზმებით. ლიფსიტები იკვებებიან პლანეტონური ორგა-ნიზმებით. მცენარეულ კვებასთან შეფარდებით ახასიათებს საკმაოდ გრძელი ნაწლავი, რომელიც სხეულის სიგრძეს აღე-მატება 3,5-12,5-ჯერ. მუცლის აპეკი აქვს შავი.

ხრამული ტბასა და წყალსაცავში იზრდება უფრო სწრაფად, აღნევს დიდ ზომას, ვიდრე მდინარეში. ის სხვადასხვა ადგი-ლებში, გარემო პირობების მიხედვით, სქესობრივად მნიშვნელება სხვადასხვა ასაკში 2-5 წლამდე. ქვირითობს მაისიდან აგვის-ტომდე თხელწყლიან ქვა-ქვიშიან ადგილებში. წყლის 12-20° ტემპერატურის დროს. ნაყოფიერება მდინარეში აღნევს 6-30 ათას ქვირითს, ტბაში და წყალსაცავში 90 ათასამდე. ტოფობს რამდენიმე ჯერად. ქვირითის დიამეტრი 0.6-1.0 მმ-მდეა. ჩანა-სახის განვითარება 15° ტემპერატურისას გრძელდება 8-10 დღე-ლამეს.

ფუჩხული გემრიელი ყუათიანი თევზია, რაც ქართულ სუ-ფრაზე ოდითგანვე ცნობილია „ცოცხალის“ სახელწოდებით. მას საქართველოში გასული საუკუნის 40-იან წლებიდან 80-იან წლებამდე შიდა წყალსატევების თევზის მოპოვებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. მისი წლიური მოპოვება აღნიშ-ნულ პერიოდში შეადგენდა 200-450 ცენტნერს. ამჟამად ფიჩხუ-ლის ანუ ხრამულის მარაგი საკმაოდ შემცირებულია.

ფიჩხულს იჭერენ მოსასმელი, ჩასადგმელი, სასროლი ბადეე-ბით, იყენებენ გორულ მოსმას, ყურის მოსმას. დაზამთრებისას მდინარის ქვემო დინებისკენ მიმავალს იჭერენ ფაცერით, რაც

83. ზრდადაუსრულებელი ფიჩხულს ქართლში და მათ შორის ქსანზე კაპოეტს არ ეძახიან, სანამ არ მიაღწევს გარკვეულ ზომა-წონას.

ამჟამად აკრძალულია. ფიჩეული იზამთრებს წყალქვეშა ორ-მოებში შეჯგუფებულად, რის მიხედვითაც ანუობენ ხელოვნურ ორმოებს. ე. წ. ოჩებს და მასში შებუდებულ თევზს იჭერენ ზა-მთარში.

იყენებენ ნედლს, ზოგ ადგილებში აგრეთვე შებოლილს და დამარილებულს. მისი ქვირითი გამრავლების დროს შხამიანია.

## ჭანარი



ჭანარი ქართულ სახელმწიფო წყლებში და სუფრაზე პა-ტივსაცემ თევზად ითვლებოდა, ითვლება და მომავალშიც არ დაკარგავს თავის ადგილს, ქართველთა კვების რაციონში. გამს-ვლელი თევზია და უყვარს ჩქარი დინებები. ბუნების მესაიდუმ-ლემ ვაჟა-ფშაველამ მხატვრულად აღწერა ორაგულისა და ჭანა-რის „სალამ-ქალამი“.

„ — მოხვედით მშვიდობით, მოხევდით მშვიდობით, ძმო-ბილებო, მეგობრებო: როგორ ძვირი სანახავი გაჰქიმდით?! — მიესალმა ორაგულებს ჭანარი.

— მშვიდობა მოგცეს ღმერთმა, კეთილი იყოს ჩვენი მოს-ვლა და შენი დახვედრა. სხვაფრივ როგორ გიყითხოთ, ჭანარო, ჯავარო, არ-ავო, თევზთა მფარველო კარავო?! — მიესალმნენ ჭანარს თავის მხრივ ორაგულები: — როგორ სცხოვრობ, მტრი-ანობა, შიშიანობა ხომ არ არის? („ორაგულის ცხოვრება“.)

აღწერილობის მიხედვით ჭანარს ორი წყვილი ულვაში აქვს. ზევითა ულვაშები აღწევენ ნესტოებამდე, ან თვალის შუამდე. შუბლი ბრტყელია, ფართო, კუდის ფარფლი ძლიერ ამოჭრილი,

ზურგის მხარე მუქია, მუცელი მოყვითალო, სიგრძე 100 სანტიმეტრი, წონა 5-6 კგ-მდე.

საქართველოში გავრცელებულია მდ. მტკვრის აუზში. მტკვარში გვხდება ახალციხემდე, მდ. არაგვის ქვემო და შუა დინებაში, ხრამში, ქსანში, დიდსა და პატარა ლიახვში, ალაზნის ქვემო და შუა დინებაში, იორში პალდომდე, ბინადრობს აგრეთვე ჯანდარის ტბაში, თბილისის წყალსაცავში.

არსებობს ადგილობრივი ბინადარი და გამსვლელი ფორმა. საქ. წყლებში გვხვდება მხოლოდ ადგილობრივი ბინადარი. აზერბაიჯანის წყლებში ცხოვრობს როგორც ადგილობრივი ისე გამსვლელი ფორმა. ეს უკანასკნელი ძირითადად იმყოფება კასპიის ზღვიდან გამტკნარებულ ადგილებში და გასამრავლებლად შედის მდინარეებში.

იკვებება წყლის ფსკერის ბინადარი უხერხემლო ცხოველებით (ზოობენოსით), ლოკოკინებით, მწერების მატლებით, წყალში ჩაცვენილი ხმელეთის მწერებით: ჭიანჭველებით, კალიებით, მახრათი, და სხვა. სხვადასხვა მცენარეებით, მათი თესლით და დეტროიტით. საკვებად იყენებს აგრეთვე ბაყაყებს, თევზებს და სხვა.

სქესობრივად მწიფდება მამალი 4 წლიდან, დედალი 5 წლიდან. მრავლდება მაისიდან აგვისტოს ბოლომდე. ნაყოფიერება აღნევს 115 ათასიდან 1 მილიონ ქვირითამდე, რომლის დიამეტრი 1,17 მილიმეტრამდეა. ქვირითობს რამდენიმე ჯერად. ჭერა ხდება მოსასმელი, ჩასადგმელი, სასროლი ბადეებით, ვენტერით, ანკესით და სხვა. გემირელი, ცხიმიანი თევზია (4,5 -8,3%). გამოიყენება ნედლი, დამარილებული, შებოლილი, დაკონსერვებული.

ჭანარი, სადაც ჭან-ფუძე ეთნონიმია, ხოლო — არ სუფიქსი, — ურ, — ულ-ი კი მიუთითებს წარმომავლობით კუთვნილებას ნიშნავს ჭანურს, ისევე როგორც ხრამული ნიშნავს მდინარე ხრამის თევზს.

## გველანა (მარიარა)




აღწერილობით გველანას სხეული წაგრძელებულია, გვერდებიდან შეტყლეული. აქვს სამი წყვილი ულვაში. ერთი წყვილი პირის კუთხეებში, ორი წყვილი დინგის ბოლოზეა. კუდის ფარფლი მომრგვალებულია. მის ფუძესთან გაწყვეტილი მუქი ზოლია. ზურგისა და ანალური ფარფლების უკან მეტ-ნაკლებად განვითარებული კანოვანი ქედია. სხეულის გვერდებზე 10-15 მუქი ლაქაა, სხეულის მუქ-ნაცვიფერ ფონზე ოქროს ელფერი გადაჰკრავს, სიგრძე 138 მილიმეტრამდეა. წონა 5 გრამამდე.

საქართველოში ბინადრობს მდინარეებში: მტკვარში, ალაზანში, იორში, დიდ და პატარა ლიახვში, მეჯუდაში, ფრონეში, ქსანში<sup>84</sup> საძეგურამდე, არაგვში ჟინვალამდე, თბილისისა და სიონის წყალსაცავებში. ერთნაირად ეგუება მდინარისა და ტბის პირობებს. იკვებება ცხოველური ბენთონით, პლანქტონით და ნაწილობრივ მცენარეული დეტრიტით. მრავლდება მაისიდან აგვისტოს ბოლომდე. ნაყოფიერებას აღნევს 2500 ქვირითამდე, რასაც ყრის რამდენიმე ჯერად. არა აქვს სამეურნეო მნიშვნელობა, — სარეველა თევზია.

---

84. ქსნის ხეობის ბარის სოფლებში ანუ დინების ქვემო წელზე გველანას კბენარსაც ეძახიან. როგორც იკოთში მცხოვრებმა შოთა ისაკის ძე გიგაურმა გვითხრა გველანას ლაყუჩებთან, გვერდებზე აქვს ძვლოვანი წამონაზარდები. დაჭერისას თევზი იჩხვლიტება და კბენის იმიტაციას ქმნის. ამის გამოა, რომ მას ჩვენთან მკბენარასაც ეძახიან.

## მტკვრის ციმორი (ფატვია, ლომლომა, ჩოჩია)




ციმორის კუდი წვრილია, პირი ქვედაა. აქვს ერთი წყვილი ულვაში. კუდის ფარფლი ღრმადა აქვს ამოჭრილი. გამრავლების პერიოდში თავზე უჩნდება ფეტვის მარცვლის ოდენა ბორცვაკები, სწორედ ამის გამო შერქმეული აქვს ფეტვია და ღომლომა. სხეულის სიგრძეზე გვერდითი ხაზის ზემოთ 6-12 მუქი ლაქაა. ზურგისა და კუდის ფარფლებზე წვრილი, მუქი ლაქების მწერივებია. ზურგი მუქია, მუცელი ღია ნაცრისფერი. სიგრძე 24 სმ-მდე, წონა 15 გრამამდე.

მტკვრის ციმორი გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს წყლებში. მტკვარში და მის შენაკადებში; ხრამში, არაგვში, ქსანში, ლიახვში, იორში და სხვაგან. ცონბილია: აზერბაიჯანში, სომხეთში, ირანში.

მტკვრის ციმორი კარგად ეგუება როგორც მდინარეებს, ისე ტბებს. ამჟობინებს მდინარეში ნელი დინების მდორე ადგილებს, თუმცა გვხვდება მთის მდინარეთა ჩქარ ნაკადებში (ქსანზე ქურთამდე, არაგვზე ცივწყარომდე). იკვებება კიბოსნაირებით, მწერთა მატლებითა და ჭუპრებით, თევზის ქვირითით და ლიფსიტებით. სქესობრივად მწიფდება 2-3 წლიდან. ქვირითობს მაის-ივნისში, თხელწყლიან, ქვიშიან ადგილებში და მცენარეულობაზე. ქვირითი წებოვანია. ენებება მცენარეებს და სხვა საგნებს. ნაყოფიერება აღწევს 1000 ქვირითამდე. სამეურნეო მნიშვნელობის თვალსაზრისით დაბალი, უხარისხო, სარეველა თევზია, იყენებენ ნაკლებად. შეტანილია „წითელ ნუსხაში“.

## აღმოსავლური ფრინა-ნაფოტა




ნაფოტას სხეული მაღალია, გვერდებიდან საკმაოდ შეტყუილების კბილაკები მოკლე. მეჩხერად მჯდომი. მუცლის ფარფლებს უკან უქერცლო ქედია. ზურგი მუქი მომწვანო. ანალური, მუცლის მკერდის ფარფლების ფუძეები უმეტესად მოწითალო-ნარინჯისფერია. სიგრძე 13 სანტიმეტრამდე, წონა 60 გრამამდე; უმეტესად უფრო პატარა.

ნაფოტა აღმ. საქართველოს თითქმის ყველა წყალში ბინადრობს. ირჩევს მდინარის მდორე ადგილებს. ტბებსა და წყალსაცავებს, მდინარეებში ადის საკმაოდ მაღლა. მდ. ქსნის ზემო წელზე უამურის ხეობის დასაწყისამდე — „ნავიხევამდე“ ვრცელდება. ადრე გაზაფხულით, როცა ჯერ კიდევ ფოთოლ-ბალახი გაღვიძებული არ არის ბადით თევზაობისას მოსდევს ინტენსიურად. ტბებში ამჯობინებს სანაპირო ადგილებს. გვხვდება აზერბაიჯანისა და სომხეთის წყლებში.

ნაფოტა თავისი ბუნებიდან გამომდინარე ერთნაირად ეგუება მდინარისა და ტბის პირობებს. იკვებება ძირითადად ზონბენთოსით, პლაქტონით და წყალმცენარეებით. სქესობრივად მწიფებრივი 2 წლის ასაკიდან. ნაყოფიერება აღწევს 500-6000-მდე ქვირითს, მისი დიამეტრი 1.16-2.16 მილიმეტრამდეა. ქვირითობს ქვა-ქვიშიან გრუნტზე მაისიდან აგვისტოს ბოლომდე. სარეველა თევზია. ზოგიერთ წყალსატევში მეტი მომრავლების გამო სარენაო მნიშვნელობის იყო. იჭერენ წვრილთვალა მოსასმელი ბადეებით. იყენებენ როგორც ნედლს ისე დამარილებულს.


## მტკვრის გოჭალა (ჩხირა)



აღწერილობის მიხედვით მტკვრის გოჭალას სხეული დაბალია, წაგრძელებული, დაფარულია წვრილი ქერცლით. ზედა ყბაზე სუსტი, კბილისებრი მორჩი. კუდის ფარფლი ძლიერაა ამოკვეთილი. აქვს სამი წყვილი ულვაში. სხეულზე აქვს უსწორო მუქი ლაქები და ზოლები. საერთო შეფერილობა მუქი-ნაცრის-ფერია. სიგრძე 80 მმ-მდე. წონა 4,5 გრ-მდე.

გოჭალა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ენდემური ფორმაა. ბინადრობს მტკვრის აუზის ყველა მდინარეში. დიდი რაოდენობით მოიპოვება მდ. ქსნის, არაგვისა და ლიახვის ქვემო დინებებზე. საერთოდ მტკნარი წყლის ბინადრად ითვლება. იკვებება წვრილი ბენთოსური ორგანიზმებით და თევზის ქვირითით. მრავლდება მაისიდან-ივლისის ბოლომდე, თხელ წყლიან ადგილებში. ნაყოფიერებას აღწევს 3000-5000 ქვირითამდე. არ აქვს სამეურნეო მნიშვნელობა. მიეკუთვნება სარეველა თევზებს.

## კავკასიური მდინარის ღორჯო, ღვანა



სხეული თითისტარისებურია, საშუალო ზომის ქერცლით დაფარული. თავი მომრგვალებულია, შუბლი ვიწრო, ტუჩები თხელია. ზედა ტუჩი პირის კუთხეებთან ოდნავ გაფართოებულია. თხემი, კეფა, მკერდის ფარფლების ღეროები და ყელის უკანა ნაწილი დაფარულია ქერცლით. მოზრდილებს საცურაო ბუშტი არ აქვთ. სხეული მუქი-მოყვითალოა. გვერდებზე ზურგისა და კუდის ფარფლებზე მუქი ლაქებია. მამალი გამრავლების დროს ღებულობს შავ ფერს. სიგრძე 15 სანტიმეტრამდე, წონა 35 გრამამდე.

ღორჯო საქართველოს მდინარეებში თითქმის ყველგან გვხვდება, ასევე გვხვდება ზოგიერთ ტბაში და წყალსაცავებში.<sup>85</sup>


უმეტესად ბინადრობს ჩქარ მდინარეებში, ირჩევს ქვაქვიშიან გარემოს. იკვებება წვრილი თევზებით. ნაწილობრივ ხმელეთის მწერებით და წყალმცენარეებით. სქესობრივად მწიფდება 2-3 წლის ასაკში. ქვირითობს მაის-ივნისში. ნაყოფი-ერება აღწევს 400-1000 ქვირითამდე. სამეურნეო მნიშვნელობა არ აქვს.

მკვლევარი მ. ბერიძე განმარტავს, რომ ქართლში და მესხეთში სახელი „ღორჯო“ შემოიტანეს გადმოსახლებულმა იმერ-

85. მდ. ქსანში ღორჯო სოფ. ახმაჯამდე ვრცელდება. რესპონდენტთა თქმით ზოგ წელიწადს დიდი რაოდენობით შემოფის ზოგ წელიწადს კი ნაკლებად. საქართველოში არსებობს ღორჯოს რამდენიმე სახეობა: ბრტყელდინგა, თავდიდა, მდინარის ღორჯო ანუ ჭყორა, მეშლამია, მდევარი, ნამცეცა, შავპირა, ციცქა, სულ 12 სახეობა. იხ. ქუჯი ნიშნიანიძე, ცხოველების სახელწოდებათა ლექსიკონი, თბ. 2005

ლებმა. საბოლოოდ ღორჯომ განდევნა კიდეც ღვანა.<sup>86</sup> ღვანას ფონეტიკური ვარიანტი ღონა აქვს განმარტებული საბას: „ღონა (თევზ.) — ღორჯო ჰქვიან“. ღონა და ღოჯა სინონიმებია დ. ჩუბინაშვილისათვის, აგრეთვე ამატებს: ღოჯა, პატარა ღოქოა.<sup>87</sup>

## მტკვრის თაღლითა



სხვადასხვა თევზებს პირის ჭრილი სხვადასხვა ფორმის და მიმართულებისა აქვთ. მტკვრის თაღლითას პირი აღწერილობის მიხედვით ზევითაა მიმართული. სქესმნიფე მამლებს გამრავლების დროს თავზე უჩნდებათ თეთრი ბორცვაკები. სხეული ზევიდან მომწვანო-მუქია. ქვემოდან მოვერცხლისფრო-თეთრი. სიგრძე 170 მმ-მდე, ნონა 44 გრ-მდე.

მტკვრის გოჭალას მსგავსად თაღლითა ამიერკავკასიის ენდემია. ბინადრობს მტკვრის აუზში. საქართველოში გვხვდება მტკვარში მთელ სიგრძეზე, მის შენაკადებში: ხრამში, ალგეთში, არაგვში, ლიახვში, ქსანში, ბორჯომისწყალში, აბასთუმანისა და ახალქალაქის წყლებში, იორში. მათ შენაკადებში და სხვა. თბილისის და სიონის წყალსაცავებში.

თაღლითა პელაგური, ქარავნული თევზია. ენევა მცირე მიგრაციას კვებასთან, გამრავლებასთან და დაზამთრებასთან დაკავშირებით. მრავლდება მაისიდან — აგვისიტომდე. ქვირითობს

86. ბერაძე მ. მებადურობა, თევზები, სახელები. თბ. 2005. გვ. 41

87. ჩუბინაშვილი დ. ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984

სამ ჯერად. ნაყოფიერება აღწევს დაახლოებით 1-10 ათასამდე ქვირითს, რომლის დიამეტრი 0.5-1.18 მმ-მდე. იკვებბა ძირითადად პლანქტონური ორგანიზმებით, აგრეთვე ბენთონითა და მწვანე წყალმცენარეებით. სამეურნეო მნიშვნელობა არ აქვს. მსგავსად მტკვრის ციმორისა, გველანასი, გოჭალასი, ღორჯოსი სარეველა თევზია, უფრო მეტიც სარენაო თევზების კონკურენტია კვებაში და გამრავლების ადგილებისათვის.

ზემოთ ჩამოთვლილი თევზების გარდა აღმ. საქართველოს მდინარეებში გვხდება მეტ-ნაკლები რაოდენობის სხვადასხვა სახეობის სარეველა თევზები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც ხარისხით ისე ბიოლოგიური თვისებებით.

მდ. ქსნის ქვემო წელზე სოფ. მუხრანში გვითხრეს, რომ ჩვენთან მონინებას იმსახურებს ღონა. მას განვითარებული აქვს წყვილი ულვაში, ნააგავს ლოქოს, მამალი მომავოა, ხოლო დედალი მოყვითალო ფერის. აქვს ერთი ნაწლავი (პატარებს არც წელავენ) იზრდება 12-15 სანტიმეტრამდე.

მდინარის ღორჯო, რომელიც ყოველ წელს არ გვხვდება მდ. ქსანში სოფ. ახმავამდე აღწევს. ასევე ახმავამდე გვხვდება ქსანში ბოლო დროს გაჩენილი წვრილი თევზი — ხამსა. ზოგიერთ წელს, გაზაფხულით აპრილ-მაისში მტკვრის ადიდებისას ხდება შემოდინება ქსანში ზოგიერთი ქარავნული თევზისა.

1953 -59 წლებში მინგეჩაურის წყალსაცავის სრულმა ავსებამ გამოიწვია მტკვრის აუზში და მის შენაკად მდინარეებში ზოგიერთი თევზის გაქრობა და ზოგიერთი უცხო ჯიშის თევზის შემოდინება: მაგალითად თუ გაქრა საყოველთაოდ ცნობილი თევზი ორაგული, რომელიც ჯერ კიდევ ზაჰესის აშენების შემდეგ მცხეთის ზევით ველარ ადიოდა.<sup>88</sup> სამაგიეროდ მტკვარში და მის შენაკადებში გაჩნდნენ ისეთი თევზები როგორიც არიან: ფარფლითელა (მტკვარში ამოდის თბილისამდე, გვხვდება ალაზანში, იორში); ბლიკა (გავრცელებულია აღმ. საქართველოს

88. ალნიშნულ დაბრკოლებების გამო არაგვზე, ქსანზე, ლიახვზე და სხვა მდინარეებში ორაგულის კვლავ გავრცელების მიზნით მოწყობილი იქნა ნატახტართან ორაგულის საშენი, ასევე მცხეთის საგუბართან მუშაობდა მეოთევზეთა სპეც. ბრიგადა, რომლებსაც ევალებოდათ კასპიის ზღვიდან შემოსულ ორაგულთა გადასხმა-გადაყვანა კაშხლის მილმა, მტკვრის ზემო დინებაში გასამრავლებლად. თუმც სამწუხაროდ ყოველივე ამან სასურველი შედეგი ვერ გამოილო.

ბევრ მდინარეში); თეთრულა, კაპარჭინა (გუნდური თევზია გავრ-ცლებულია ხრამში, აღგეთში, ალაზანში, იორში); მტკვრის ნაფო-ტა საქართველოს წყლებში შემოვიდა 1959 წლიდან. გავრცელე-ბულია არაგვში, ქანში, ლიახვში, მეჯუდაში და სხვაგან. შეტა-ნილია „წითელ ნუსხაში“.

## თევზების მიზრაცია

თევზების მიგრაცია, ისევე როგორც ცხოველებისა, მასო-ბრივია, ძირითადად — აქტიური, მაგრამ ზოგჯერ შეიმჩნევა პა-სიური გადაადგილებაც. თევზები იღტვიან იქითკენ, სადაც ისინი სასიცოცხლო პირობებს პოულობენ. ეს შეგუებითი თვისებაა, რომელიც უზრუნველყოფს არსებობისთვის და სახეობის პოპუ-ლაციის გამრავლებისთვის (აღნარმობისათვის) ხელსაყრელ პირობებს. ფაქტობრივად მიგრაცია სასიცოცხლო ციკლის ერთ-ერთი როლია, რომელიც უზრუნველყოფს როგორც წინა, ისე მომდევნო თაობების ურთიერთკავშირს. თევზის მიგრაციათა ციკლი ჩვეულებრივ სამი სახისაა: 1. საქვირითე მიგრაცია; 2. კვე-ბითი მიგრაცია; 3. გამოსაზამთრებელი მიგრაცია.<sup>89</sup>

თევზების დიდი უმრავლესობისათვის დამახასიათებელია მი-გრაციები. ხოლო ზოგიერთი ჯგუფი მუდმივად ცხოვრობს ერთსა და იმავე ადგილას, მაგალითად ღორჯოების ოჯახი.

მიგრაცია თევზებში ერთნაირად არ არის გამოხატული. ზო-გიერთი სახეობისათვის, მაგალითად, ფარგასათვის დამახასი-ათებელია მხოლოდ საქვირითე და კვებითი მიგრაცია. თევზების უმრავლესობა მხოლოდ ზამთრის მიგრაცია ახასიათებს. მაგალ-ითად ციმორები ზამთრობით მდინარის შედარებით უფრო ღრმა ადგილებს ეტანებიან, კალმახები პირიქით — თბილ ადგილს.

ზოგიერთი სახეობის თევზისთვის, მაგალითად მოზრდილი ორაგულისთვის, დამახასიათებელია კვებითი მიგრაცია მდინარი-დან ზღვაში, ხოლო როცა ისინი სქესობრივად მომწიფდებიან, საქვირითე ადგილებისაკენ მოეშურებიან, ზღვიდან მდინარეში.

89. იხ. ჟურნალი „ნადირობა“ 2006. №11. გვ.32

თევზების უმრავლესობისათვის საზამთრო მიგრაციები იმ დროსაა დამახასიათებელი როდესაც ისინი მაქსიმალურად სუქდებიან, რაც ნორმალური გამოზამთრებისათვის ძირითადი პირობაა. მაგალითად კაპარჭინა (ლეშა), ხამსა ანუ სარდალა და სხვა, თუ გამხდრებია, არ მიიღოთ გამოსაზამთრებლად თუგინდ წყლის ტემპერატურა მკვეთრად დაეცეს.

მიგრაციის დასაწყისი როგორც თევზის მდგომარეობაზე, ასევე გარემო პირობების ცვლაზეა დამოკიდებული. საქვირითე, საკვებთან დაკავშირებული და საზამთრო მიგრაციები მტკიცე ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან, რაც თევზების სასიცოცხლო ციკლს უზრუნველყოფს.

ზოგჯერ თევზებისათვის თავდაცვითი მიგრაციებიცაა დამახასიათებელი. ამ შემთხვევაში მათი მიგრაცია აქტიურია. მრავალ თევზს პასიური მიგრაცია ახასიათებს, რომლის დროსაც ორგანიზმი არ ხარჯავს ძალას, იგი წყლის დინებას მიუყვება. საინტერესოა რა ინვესტიცია ამგვარ მიგრაციას? უდავოა, რომ მიგრაცია არის შეგუება. მაგალითად დავუშვათ, რომ ყველა ორაგული რომელიც ქვირითის დასაყრელად შევიდა ამა თუ იმ მდინარეში, დარჩა იქ გამოსაკვებად და არ დაბრუნდა ზღვაში. საკვები უეჭველად შემოელევათ და მისი რაოდენობაც შემცირდება, მითუმეტეს რომ ქვირითობის გამო დასუსტებულ თევზებს დიდი რაოდენობით საკვები ესაჭიროებათ, ამიტომაც აუცილებელია მათი მიგრაცია საკვებით მდიდარ ადგილებში, ე. ი. ზღვაში.

არიან ისეთი თევზებიც რომელთა მამრები მხოლოდ მდინარეში ცხოვრობენ ხოლო მდედრები სხვა წყელბში გადიან. ასეთები არიან ორაგული, წვერა და სხვა.

საერთოდ თევზები მოძრაობენ ქარავნებად მათ შორის მიგრაციის დროსაც, რომელთაც საერთო ბელადი არ ყავთ. ქარავნებად მოძრაობა აადვილებს მათ ჭერას. თევზების ჭერა ყველაზე მოსახერხებელი და იოლია ზამთრის მიგრაციის დროს, თანაც ამ დროისათვის მაღალი ხარისხისაა.

იმ კანონზომიერების ცოდნა, რომელსაც მიგრაციები ექვემდებარება, საშუალებას იძლევა შეუმცდარად დავადგინოთ თევზების გადაადგილების გზები, მიმართულებები, ვადები, აგრეთვე მათი გამოსაზამთრებლად თავმოყრის ადგილები. ამ მომენტების ცოდნა და გათვალისწინება თევზის დიდი რაოდენობით ჭერის გარანტიაა.

## თევზების ზრუნვა შთამომავლობაზე

ყველა ცოცხალი არსება მრავლდება. მრავლდებიან თევზებიც და თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგი სახეობა ისეთი ინტენსივობით, რომ ბუნების გარკვეული კანონზომიერება რომ არა ერთი წყვილი შთამომავლობა აღმართ მთელ დედამიწას დაფარარავდა. მაგრამ ბუნებაში არსებობს მრავალი დაბრკოლება, რომელიც აფერხებს ორგანიზმთა ესოდენი ინტენსივობით გამრავლებას. ყოველი სახის ინდივიდთა დიდი რაოდენობა ნადგურდება საკვების ნაკლებობით, მტაცებლებით, პარაზიტებით, არახელ-საყრელი კლიმატური პირობებით და სხვა.

და მაინც, თევზებს შორის ცოტაა ისეთი სახეობა, შთამომავლობაზე რომ ზრუნავდეს. თევზთა უმრავლესობა ქვირითს ბედის ანაბარა ტოვებს. ლიფსიტები მშობლებისგან დამოუკიდებლად იჩეკებიან, იკვებებიან და იზრდებიან. მაგალითად ტროპიკული და ზომიერი სარტყლის თითქმის ყველა ზღვასა და ოკეანეში ბინადრობს მთვარათევზი. მისი სიგრძე სამ მეტრს აჭარბებს. წონა 1410 კგ-ია. და აი ეს თევზი სიცოცხლეში ერთხელ მრავლდება. ყრის 300 მილიონ კვერცხს. ყველაზე მეტს ხერხემლიან ცხოველთა შორის. დაუშვათ, რომ ყველა კვერცხიდან გამოსული ლიფსისტა გაიზარდა, მაშინ ამ თევზის მესამე თაობის საერთო წონა ასჯერ მეტი იქნება თვით დედამიწის წონაზე, მაგრამ ცხადია ბუნებაში ასე არ ხდება და რთული საარსებო პირობების გამო ამ მრავალრიცხოვანი მასიდან სქესობრივ სიმწიფეს სულ რაღაც ორიოდე წყვილი აღწევს.

თევზთა გამრავლებაში, ზემო აღნიშნულ დაბრკოლებების გამო რა მოუვიდოდათ დაბალნაყოფიერ თევზებს, შთამომავლობაზე ზრუნვის ინსტიქტი რომ არ ჰქონდეთ. ეს ინსტიქტი მათ ჩამოყალიბდათ ევოლუციის პროცესში, როგორც სახეობის გადარჩენისთვის აუცილებელი პირობა.

მაინც რომელი თევზები ზრუნავენ შთამომავლობაზე და როგორ?, მაგალითად, შავი ზღვის ორაგული რომელიც გამსვლელი თევზია ტოფობისთვის შედის მდინარეში. ქვირითს ოქტომბრიდან თებერვლამდე ყრის. დედალი ორმოს აკეთებს (ზოგჯერ მამალიც ესმარება) და ყრის ქვირითს, რომელსაც მამალი ანაყოფიერებს. ამის შემდეგ ორაგულები ორმოს ქვებით

და ქვიშით ფარავენ, ტოვებენ და ზღვაში ბრუნდებიან. მართალია უმნიშვნელოა, მაგრამ მაინც გარკვეული მზრუნველობაა შთამომავლობაზე. გამოჩეკილი ლიფსიტები 2-3 წალმდე მდინარეში რჩებიან. შემდეგ თუ ზღვაში დაბრუნდნენ სწრაფად იზრდებიან და მათგან ორაგულები ვითარდება, თუ მდინარეში დარჩენ ისინი კალმახებად იზრდებიან.

ზოგი სახეობის თევზი უფრო აქტიურად ზრუნავს შთამომავლობაზე, შავ ზღვაში ბინადრობს თევზი — სამეკალა. იგი 40-90 მილიმეტრის, სულ 4 გრამიანი თევზია. მამალი სამეკალა ქვირითობისთვის წინასწარ იჭერს თადარიგს, აშენებს ბუდეს, ბუდის ასაშენებელი მასალა თევზის თირკმლიდან გამონადენი ერთგვაროვანი ნივთიერებაა. ეს ნივთიერება როგორც კი წყალში მოხვდება, ცემეტივით მაგრდება.

გამრავლების პერიოდში მამალი სამეკალა ძალიან აგრესიული ხდება. მამლებს შორის რაინდული ორთაბრძოლაც კი იმართება. გამაჯვებული მამალი რიგრიგობით შერეკავს ბუდეში ორ-სამ დედალს რომლებიც დაყრიან 20-დან 100 კვერცხამდე და ეს არის და ეს. ამით ამთავრებს თავის დედურ მოვალეობას. შთამომავლობაზე ზრუნვა მთლიანად მამალს ეკისრება. იგი ანაყოფიერებს ქვირითს და იცავს მას. იცავს როგორც გაერშე მტრებისაგან ისე დედალი სამეკალასაგან, რადგანაც მასში იმდნად ატროფირებულია მშობლის ინსტიქტი, რომ თავს ესხმის საკუთარ ქვირითსა თუ ლიფსიტებს და ჭამს კიდეც. მამალი სამეკალა მზრუნველი მშობელია. იგი თავს დასტრიალებს ქვირითს, დარაჯობს მას. დროდადრო მკერდის ფართლების დაჩქარებული მოძრაობით აძლიერებს წყლის ცირკულაციას და ამით ჩანასახის უანგბადით მომარაგებას უზრუნველყოფს. ლიფსიტების გამოჩეკის შემდეგ მამალი ერთხანს კიდევ იცავს მათ.

## თევზის მტრები

მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში პოპულარობით სარგებლობს გაწვრთნილი ფრინველით ჩვამით თევზაობა. ძველი ხელნაწერები გვამცნობენ, რომ ეს ხერხი 813 წელს შემოუღიათ იაპონელებს. ჩვამით თევზაობენ კორეაში, ინდოეთში, ჩინეთში, ინდონეზიაში. საკითხავია და თანაც საინტერესო ყოველივე ამას დასაბამი როგორ მიეცა. ზოგიერთი აღმოსავლური რელიგია კრძალავს ცოცხალი არსების მოკვლას, ვინაიდან თევზს ფრინველი იჭერს და არა თვითონ ადამიანი, ამით მორწმუნები ღვთის წინაშე უცოდველად თვლიან დღესაც თავს.

ჩვამას დასხმარებით თევზის ჭერა ევროპელებმა მხოლოდ XIV საუკუნეში დაიწყეს და XVII საუკუნიდან უკვე ფართოდ გავრცელდა ძირითადად ბეგლიაში, საფრანგეთსა და ინგლისში. ეს ისევე, როგორც ბაზით ნადირობა სპორტული გართობა, ჰობი უფროა, ვიდრე ნადირობით საკვების მოპოვება.

მეთევზეები სხვადასხვა სახეობის ჩვამას იყენებენ (სულ ამ ფრინველის 26 სახეობაა ცნობილი). ჩინეთში იგი მოშინაურებული ჰყავთ და მის კვერცხებს ქათმებს აჩეკინებენ. სხვა ქვეწებში კი ახალგაზრდა ფრინველებს იჭერენ და მერე წვრთნიან. ჩვამას გაწვრთნა მეტად შრომატევადი საქმეა. ამას შვიდი-რვა თვე მაინც სჭირდება, პატრონი რომ არ დაკორტნოს ნისკარტებს წვერს ახერხავენ და ფრთებს აჭრიან. ჩვამა ტყვეობაში დიდხანს ცოცხლობს, ზოგიერთი ცნობით 20-30 წელსაც კი. ყველაზე ნაყოფიერად 3-8 წლამდე ასაკში „შრომობს“. გამორჩეულად მარჯვე ფრინველს საათში 100 თევზის დაჭერა შეუძლია.

\* \* \*

ყველა არსებას თავისი მტერ-მოყვარე ყავს. მტრების სიმრავლეს თვითონ განსაზღვრავენ, გამომდინარე თავიანთი თვისებებიდან. ზოგ თევზს მომეტებულად ბევრი მტერი ყავს, ზოგს ნაკლები და თანაც პასიური. რაც უფრო ძვირფასია წყლის

ბინადარი (ხორცით, ტყავით, ქონით და ა. შ.) მით მეტი მტრობს და ნადირობს მასზე.

ადამიანებისა და ფრინველების გარდა თევზებს ცხოველებიც ემტერებინ. ჩვენში ცნობილია, რომ მელაკუდას ერთ-ერთი გემრიელი საკვები ფშაში დაჭერილი კალმახი და მურნაა, რამდენს შეგვიმჩნევია ბინდ-ბუნდში, დილით ქსნის ჭალებზე, სექტემბერ-ოქოტმბერში, ოშოშითა და წყლის ნინმატით გამნვანებულ ხავსმოდებულ ფშებში მუხლამდე ტალახიანი ფეხებით (თითქოს ჩექები აცვია) მოთვეზავე მელია. მან კარგად იცის თევზის ფასი და ამიტომაცაა რომ კალმახს დანატრებული, ძალლებით საკეს სოფლის პირებსაც არ ერიდება. მოვუსმინოთ ბუნების მკვლევართ:

თითქმის ორი ათასი წლის წინ რომაელმა კლავდიუს ელიანუსმა თავის წიგნში „ცოცხალი ბუნება“ ასეთი რამ ჩანერა:

„მდინარის ნაპირზე მოსეირნე მელა ეშმაკურად იჭერს წვრილ თევზებს. თავის ფუმფულა კუდს იგი წყალში ყოფს. თევზები შემოხვევიან მას და ხშირ ბერვებში იხლართებიან. როგორც კი მელა ამას იგრძნობს, სწრაფად ამოაგდებს კუდს წყლიდან, მშრალ ადგილზე გადახტება და კუდს დაბერტყავს. თევზები ძირს ცვივა და მელიაც გემრიელად მიირთმევს მათ“.


მოგვიანებით 1555 წელს ცნობილი შვედი ნატურალისტი, არქიპეპისკოპოსი ოლას მაგნუსი თავის თხზულებებში დასძენს: „ნორვეგიის კლდეებში მე თვითონ მინახავს წყალში კუდჩაყოფილი მელია, იგი დროდადრო ამოიქნევდა ხოლმე კუდს და ზედ ჩაჭიდებულ კიბორჩხალებს შეექცეოდა“.

სხვადასხვა ხალხების — რუსების, გერმანელების, ესკიმო-სების და სხვათა ზღაპრებში მელიები ხშირად სჩადიან მსგავს გმირობებს.

დოქტორი გაჯერი ცხოველთა ყოველგვარი უცნაური ჩვევებისა და თავგადასავლების დაუღალავი მკვლევარია. დიდ სამეცნიერო უურნალში გამოქვეყნებულ სტატიაში მან ჩამოთვალა ყველა მისთვის ცნობილი ცხოველი, რომელთა შესახებაც ამბობენ, თითქოს კუდით იჭერენ თევზებს, კიბოებს და კიბორჩხალებს. ასეთი ცხოველი შვიდია: მელა, კოიოტი, წავი, ენოტი, ვირთაგვა, კატა და იაგუარი (მან რატომღაც არ მოიხსენია მაიმუნი) რაც შეეხება წავს და მის სიყვარულს თევზისადმი, გაკვრ-



ით, მაგრამ მაინც აქვს ნახსენები ვაჟა-ფშაველას თავის „ორაგულის ცხოვრებაში“. „წავზე უარესი მტერი ჩვენ ადამიანი გვყავს. რამდენნაირი მანქანა აქვს გამოგონილი ჩვენს შესაპყრობად“... გარდა ამ მტაცებლისა ბევრს დაუნახავს ჭალებზე, ფშებთან დიდ კოხის ქვაზე შემომჯდარი ბორა, რომელიც ჩასაფრებულია და ელოდება აღმა მიმავალ თევზის გაჩქაფუნებას თხელ წყალში. — რას ვიზვთ, კალმახი ყველას მოსწონს და უყვარს.



## თევზეული და მისი როლი კვების რაციონში

საკვები ადამიანის ერთადერთი ცნობილი ენერგეტიკული წყაროა. ადამიანი კვების გზით შედის მჭიდრო კონტაქტში ბიოსფეროს შემადგენლობის ქიმიურ ნივთიერებებთან. გარემომცველი ბუნება მოითხოვს, რომ ადამიანი იკვებებოდეს იმ საკვებით, რასაც იგი მას აძლევს და იმ რაოდენობით რასაც გასცემს.

თავდაპირველად ადამიანის გამოსაკვებად დაშვებული იყო ვეგეტარიანული საკვები: „და თქვა ღმერთმა: „აპა, მოგეცით თქვენ ყოველი ბალანი, თესლი მთესველი, რომელზეც თესლის მთესველი ნაყოფია — საჭმელად“. წარლვნის შემდგომ ადამიანის საკვებად დაშვებული იქნა ცხოველის ხორცი და ყოველივე როგორც მცენარეული საფარიდან, ასევე ცხოველურიდანაც — „ყოველი მოძრავი ცოცხალი არსება საჭმელი იყოს თქვენთვის, როგორც მწვანე ბალანი: თქვენ გაძლევთ ყველაფერს“ — ამბობს უფალი (დაბ. 9.3).

თუ წარლვნამდე იყო ერთი ხალხი, რომელიც ერთი სახის საკვებით იკვებებოდა და ამ საკვების მოგროვების ერთნაირი საშუალებები ჰქონდა. წარლვნის შემდეგ ადამიანის ცხოვრება სხვაგვარად წარიმართა, ამავდროულად დაიწყო ეთნიკურ ერთეულებად ჩამოყალიბების პროცესი. ეთნიკური ჯგუფები იწყებენ ახალ ტერიტორიებზე არსებული ფაუნისა და ფლორის საკვებად გამოყენებას. შესაბამისად დაიწყო ეთნოკულტურების ჩამოყალიბებაც.

ნინააზიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ოლქში (თურქეთი, ისრაელი, არაბული ქვეყნები, ირანი) ყველა ხალხს თავისი კულტურულ-საყოფაცხოვრებო თავისებურებანი გააჩნია. ამა თუ იმ ეთნოსისათვის კვება ძევრად იყო დამოკიდებული გარემოსაცხოვრებელ, სოციალურ და ქონებრივ პირობებზე.

არასწორი კვება (რაც შესაძლებელია სხვადასხვა მიზეზებით იყოს გამოწვეული), გავლენას ახდენს ადამიანის ცენტრალურ ნერვული სისტემის ფუნქციაზე და უმაღლეს ნერვულ მოქმედებაზე, რაც განსაკუთრებულად მგრძნობიარეა ორგანიზმის გარეგანი და შინაგანი გარემოს ცვლილებებისადმი.

ებრაელ ერზე, კერძოდ პოლონელ ებრაელებზე, გამოკვლე-



ვის საფუძველზე დაყრდნობით წერდა ერთი ამერიკელი, ვისკონიის უნივერსიტეტის პროფესორი — მორგულისი, რომ: „ამ ხალხს, რომლებიც თაობათა მანძილზე უქმელობის მსხვერპლნი იყვნენ, აქვთ გაღარიბებული სისხლი, ვინრო ბეჭები, ჩავარდნილი მკერდი, დაბლები და ფერმკრთალნი არიან. მათი სუსტი კონსტიტუცია, ფიზიკური უძლურება ნათელს ხდის, რომ ისინი არ გამოდგებიან მძიმე სამუშაოებზე“.<sup>90</sup>

საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი კვების რაციონში ცხოველურ ცილაზე მოთხოვნილებას იკმაყოფილებდა თევზით, რძის პროდუქტებით და კვერცხით. დასავლეთ და აღ-

მოსავლეთ საქართველოში განსხვავება იყო, როგორც კვების ხასიათში, ასევე ეტიკეტში. ძველად საქართველოში ყველგან, ხოლო შემდეგ კი დასავლეთ საქართველოში გარდაცვალებულის სულის მოსახსენიებელი ქელები სამარხვო იყო. ჭირისუფლები 40 დღის, ზოგჯერ ერთი წლის განმავლობაში მარხულობდნენ. დონ ჯუზეპე ჯუდიჩი მილანელი, ქართული წესრივეულებების შესახებ წერდა: „გარდაცვალების შემდეგ ნათესავები და ყმები მგლოვიარობის აღსანიშნავად მიწაზე გაშლილ ჭილოფზე იძინებენ, მთელი წლის მანძილზე არ ჭამენ ხორცს, თევზს, კვერცხსა და რძის ნაწარმს“.<sup>91</sup> ანალოგიურ ცნობას გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილი: „არა სჭამდინ ხორსცა და ცხოველსა წლამდე, გარნა მაშინაც იძულებითა დიდითა, შთა-

90. დ. ბახტაძე, პ. კოლუაშვილი, ქართველთა კვების კულტურა, თბ.

2009. გვ. 132

91. იქვე გვ. 138

იცვიან ძაძა-ფლასნი და დაიბურონ თავსა თხისურნი ჩაჩნი“.<sup>92</sup>

6. ჯანაშია ასე აღწერს აფხაზთა ქორწილს: „საზოგადოდ, აფხაზთა ქორწილი არ არის ნაქები ნაირ-ნაირი სასმელ-საჭ-მელებითა: ერთი ნაჭერი მშრალი ხორცი, სიმინდის ფქვილის ღომი, ღვინო და ქორწილის გათავების ხანს ქათმის ან ბატკის ხორცი, ეგრეთწოდებული „აძ“ — მორჩა და გათავდა“.

გერმანელი მკვლევარი კ. კოხი თავად ჩოლოყაშვილის სამხარის სუფრას კი შემდეგნაირად აგვინერს: „სამხარი მართლაც დღესასწაულს მოგაგონებდათ. ჩინებული ნახვრეტებიანი ყველით დაიწყო, რომელსაც ახალი კიტრები მოჰყვა, შემდეგ რიგ-რიგობით მოჰქონდათ ჩახოხბილი, ცხვრის ხორცი, თევზი და ბოლოს სხვადასხვა შემწვარი კერძი. შიგადაშიგ მადის შესანარჩუნებლად სურნელოვან მწვანილს შეექცეოდნენ“.

კვებასთან დაკავშირებული აღკვეთები და შეზღუდვები ყოფითი ტრადიციებისა და რელიგიური მსოფლმხედველობის უდიდესი მოვლენაა, ე. ი. როგორც ირკვევა კვებით აკრძალვას საკრალური საფუძველი აქვს. მაგ: მესხები, აჭარლები და ჯავახები არ ჭამდნენ ღორის ხორცს. ასევე მე-19 ს-ში ღორის ხორცი იკრძალებოდა ხევსურეთში, ხევში, გუდამაყარში, ფშავში, მთიულეთში, მთის რაჭველებში. კურდღლის ხორცს, კალმახს და ორაგულს არ ჭამდნენ ხევსურები.<sup>93</sup> დათვის ხორცი იკრძალებოდა ზემო სვანეთში. ზოგან ტაბუ დადებული აქვს არა ცხოველის ხორცს მთლიანად, არამედ მხოლოდ მის ამა თუ იმ ნაწილს, მაგ.: ქართველი მთიელები (ქსანზე, ლიახვზე, არაგვზე) დათვის ხორცის მხოლოდ მარცხენა მხარეს ჭამდნენ. აფხაზები XVII ს-ში მეგრელებისაგან განსხვავებით არ ჭამდნენ თევზს და კიბორჩხალებს. საქართველოს მთიელი მოსახელობა მარხვაში ჭამდა ნივრის ხინკალს, მოხარშულ ლობიოს, თევზს, ველურად მზარდ მხალეულს და მწვანილს.<sup>94</sup>

92. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. თბ. 1973. გვ. 395

93. Волкова Н. Г. Джавахишвили Г. Н. Бытовая культура грузии XIX-XX веков, М. 1982. – с. 163.

94. სააღდგომო დიდ მარხვაში იკრძალება ცხოველური ნარმოშობის საკვები, მხოლოდ ყველიერის კვირაშია დაშვებული რძის ნანარმი, კვერცხი და თევზი; პეტრე-პავლობის მარხვის დროს დაშვებულია მხოლოდ თევზი (ოთხშაბათი, პარასკევის გარდა); მარიამობის მარხვისას (14-27/VIII) საერთოდ იკრძალება ცხოველური ნარმოშობის საკვები და

XVII-XVIII საუკუნეებში თბილისის ბაზარზე კვების პროდუქტების დიდი ნაირსახეობა იყო: პური, ღვინო და არაყი, ბატყანი, ჭედილა, ბრინჯი, ერბო, შაქარი, ზეთის ხილი, ძვირფასი თევზეული — გელაქნური, ორაგული, ზუთხი, ხრამული, ფიჩხული: ხმელი თევზი — ზურგიელი, დოში, ხიზილალა და სხვა მრავალი. გაცხოველებული ვაჭრობა წარმოებდა აგრეთვე პროვინციებში. ამავე პერიოდისთვის მცირე ქალაქად წოდებულ ცხინვალში, სადაც ვაჭრობას დიდად უწყობდა ხელს მისი გეოგრაფიული მდებარეობა და მასზე გამავალი სავაჭრო გზები, ადგილობრივი წარმოების საქონელთან ერთად იყიდებოდა თევზეულიც: „...აბრეშუმი, მარილი, ზურგიელი, ზუთხი, დოში, ხიზილალა, გელაქნური, თეთრი ბრინჯი“.<sup>95</sup>

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე თბილისის ბაზრებზე დამკვიდრება დიდ ძალისხმევასა და შრომას მოითხოვდა, როგორც თევზით მოვაჭრე ამხანაგობებისაგან, ისე ცალკეულ მედუქნენოქრებისაგან. მათ სასამართლოებზეც კი უხდებოდათ თავიანთი პროფესიული კავშირების უფლებებისა და თავის დაცვა, როგორც რეაქციით მოსარგებლე აღებისგან, ისე სხვა ჯურის ქორ-ვაჭართაგან და ადგილობრივ ბიუროკრატ-ჩინოვნიკთაგან. აი რას წერს ამის შესხებ საუკუნის წინანდელი პრესა: „თფილისის თევზით მოვაჭრე ნოქრების, (რიცხვით 25 კაცი) კრებას ამ დღეებში თათბირი ქონდა ნოქართა მდგომარეობის შესახებ. კრებამ ერთხმად გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ჩვენმა აღებმა ისარგებლეს რეაქციის გაძლიერებით და წაგვართვეს ის მცირე თავისუფლების წამცეციც კი, რომელიც სისხლითა და ბრძოლით გვქონდა მოპოვებული, ისინი სარგებლობენ შემთხვევით და არ კეტავენ მაღაზიებს დანიშნულ დროზე, არც კვირა-უქმეობით, ამიტომ ჩვენ თევზით მოვაჭრეთა ნოქრები ერთხელ და სამუდამოდ ვადგენთ, რომ დაიკეტოს მაღაზიები კვირაობით მთელი დღის განმავლობაში, ხოლო საქმის დღეებში ნება მიეცეთ ივაჭრონ მხოლოდ დიღის

---

ბოლოს, საშობაო მარხვის დროს (28/XI-6/I) ისევე როგორც პეტრე-პავლობისას დაშვებულია მხოლოდ თევზი (ოთხშაბათისა და პარასკევის გარდა, ისიც მხოლოდ 25 დეკემბრამდე).

95. ცოტნიაშვილი მიხ. ცხინვალის ისტორია. — ცხინვალი, გამომც. „ირისთონი“. — 1986. — გვ.121

7 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ის ნოქარი, რომელიც არ დაემორჩილება ჩვენს გადაწყვეტილებას, დაუყოვნებლივ მიცემულ იქნება საამხანაგო სამართალში. ამის შემდეგ კრებამ ამოირჩია კომისია, რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულება ექნება ნოქართა პროფესიონალურ კავშირთან. ეს დადგენილება ძალაში შედის დღიდან გამოქვეყნებისა.-“<sup>6</sup>

საქართველოში ქალაქთა ბაზრებზე დიდად ფასობდა დამარილებული და გამშრალი თევზი (ერთი ხალხური, ფრთიანი გამოთქმაც ზუსტად დოშს უკავშიდება: „მიზეზ-მიზეზ დოშს მარილი აკლიაო“), თევზის დამარილების განსხვავებული ხერხები არსებობდა. ზუთხს ან სხვა ჯიშის მსხვილ თევზს სიგრძეზე ჭრიდნენ და ანყობდნენ მარილწყალში დიდ კასრებში, სადაც ერთი კვირის განმავლობაში აყოვნებდნენ, წვრილ თევზის ჯიშებს გამოუშიგნავად ამარილებდნენ და აშრობდნენ. დამარილებული თევზისაგან ილებდნენ ორი სახის პროდუქტს: დამარილებულ-გამშრალ და დამარილებლ-შებოლილ თევზს.

თევზისაგან ათეულობით სხვადასხვა გემრიელ კერძს ამზადებენ. ევლია ჩელები შავი ზღვის აღწერილობისას წერდა: „მათი სანაქებო თევზები: ზღვის ქორჭილა, კეფალი, სუმბრია და კიდევ ათასნაირი თევზია, მაგრამ ამათგან ლაზები ყველაზე უფრო ეტანებიან ხამსას... იმდენად სასარგებლოა, რომ მისი მჭამელი კაცის ძალა შეიდ დღეში არაჩვეულებრივად იზრდება. ძალიან ნოყიერი და სწრაფად მოსანელებელია. რადგან ჭამის დროს თევზს სუნი არა აქვს. მჭამელს წყურვილი არ აწუხებს. ტკივილებით შეპყრობილი ადამიანი თუ მას შეჭამს, გამოჯანმრთელდება... ორმოცნაირ კერძს ამზადებენ მისგან. კეთდება შემწვარი, წვნიანი, მოხრაკული, ხახვით შემზადებული ღვეზელი, ბაკლავა“. ამრიგად ხალხურ კვებით სისტემაში შევიძლია ეთნოსის თავისებურებებიც დავინახოთ, სადაც ვლინდება ეროვნულ თვითშეგნებაში გამოხატული სასიცოცხლო უზრუნვეყოფის კულტურის ღირებულებები.

ჩვენს მკითხველს ქვემოთ მივაწვდით უგემრიელესი თევზეულით, უგემრიელესი კერძების მომზადების რამდენიმე რეცეპტს, რაც დიდი ხანია ამშვენებს ქართულ სუფრას.

96. გაზ. „წინ“. — 1907, მარტი, №20, გვ.2.

## **შემწვარი კალმახი \* \***

— მასალა: კალმახი — 500 გრ; ერბო ან კარაქი (შეიძლება ზეთი) — 150 გრ; ნიგოზი 1/2 ჭიქა; ბრონეულის წვენი ჭიქა-ნახევარი, ხახვი ერთი თავი, ქინძი 2-3 ლერო, ნიორი, წინაკა და მარილი გემოვნებით.

მომზადება: გასუფთავებული და გარეცხილი კალმახი დავჭრათ ნაჭრებად. დავაყაროთ მარილი (გავაჩეროთ 10 წუთი). ამოვაგლოთ ფქვილში, დავაწყოთ ცხელ ერბოიან ტაფაზე და შევწვათ ორივე მხრიდან. გამზადებული თევზი სასურველია პირდაპირ ტაფით მივიტანოთ სუფრაზე.

ჭიქა ნახევარ ბრონეულის წვენში დავამატოთ მარილში დანაყილი: ნიორი, ქინძი, წინაკა და ნიგოზი, წვრილად დაჭრილი ხახვი და მოვურიოთ. გამზადებული საწებელი დავასხათ გაცივებულ თევზს. (შეიძლება საწებელი ცალკეც მივიტანოთ სუფრაზე თევზთან ერთად).

## **კალმახი საწებლით\* \***

— მასალა: კალმახი 500 გრ; გამხმარი (კურკების გარეშე) შინდი — 1/2 ჭიქა; ხახვი ერთი თავი; ნიორი ერთი კბილი, ძმარი 1/2 ჭიქა, წყალი ჭიქა ნახევარი; მარილი გემოვნებით.

მომზადება: მოხარშული კალმახის ნაჭრები დავაწყოთ ლანგარზე. სუფთა ქვაბში ჩავასხათ ჭიქა ნახევარი წყალი; ჩავყაროთ გამხმარი შინდი 1/2 ჭიქა; დაჭრილი ხახვი, დანაყილი ნიორი და ნიგოზი, 1/2 ჭიქა ძმარი, მარილი გემოვნებით და ვხარშოთ 15-20 წუთი, საშუალო ცეცხლზე. გადმოვდგათ ცეცხლიდან და გავაცივოთ. გაცივებული საწებელა დავასხათ თევზს.

## **სუხარში და კვერცხში შემწვარი კალმახი\* \***

— მასალა: კალმახი — 500 გრ; კვერცხი 2 ცალი, ერბო ან კარაქი 50-70 გრამი, ფქვილი და სუხარი რამდენიც დასჭირდება; დაჭრილი ხახვი, ლიმონი და მარილი გემოვნებით.

მომზადება: პატარა ზომის (ან საშუალო ზომის) კალმახი გავასუფთავოთ, დავაყაროთ მარილი და ამოვაგლოთ იმ წუთშივე

ფქვილში, შემდეგ ამოვავლოთ კვერცხში და შემდგომ სუხარში. დავაწყოთ ცხელ ერბოიან ტაფაზე და შევწვათ ორივე მხრიდან.

შემწვარი თევზი გადმოვიღოთ ლანგარზე, დავასხათ შეწვისას ნარმოქმნილი წვენი, მოვრთოთ ოხრახუშის ფოთელბით, ჩავაწუროთ ლიმონის წვენი (შეგვიძლია მოვრთოთ დაჭრილი ლიმონით) და დავაყაროთ დაჭრილი ხახვი.

### **მოხარშული ორაგული თავის წვენში\*\***

— მასალა: ორაგული — 500 გრ; ხახვი 400 გრ, შავი პილპილი, მარილი, ქინძი გემოვნებით.

მოზადება: გასუფთავებული და გარეცხილი ორაგული დავჭრათ საშუალო სისქის ნაჭრებად. შემდეგ ქვაბში ჩავაწყოთ ფენა-ფენა ორაგული და დაჭრილი ხახვი. თითოეულ ფენას მოვაყაროთ მარილი და შავი პილპილი. ასე დავაწყოთ ორ-სამ ან ოთხ ფენად, შემდეგ დავასხათ წყალი ისე, რომ ამ უკანასკნელმა ოდნავ დაფაროს ქვაბში მოთავსებული მასალა. დავაფაროთ ქვაბს სახურავი და ვხარშოთ დაბალ ცეცხლზე. გამზადებული კერძი გადმოვიღოთ ლრმა ლანგარზე თავისივე წვენით, დავაყაროთ წვრილად დაჭრილი ქინძი და გავაცივოთ.

### **ორაგულის ბოზათმა\*\***

— მასალა: ორაგული 500 გრ; ერბო ან კარაქი 300-400 გრ; ხახვი 1-2 თავი, ლიმონი, ქინძი, ოხრახუში, კამა (ცერეცო), ტარხუნა, მარილი გემოვნებით.

მომზადება: გავასუფთაოდ, გავრეცხოთ და დავჭრათ თევზი. ხახვი დავჭრათ მრგვლად და ავურიოთ მასში დაჭრილი ქინძი, ოხრახუში, კამა, ტარხუნა.

ქვაბში ჩავყაროთ ხახვის და მწვანილის ნარევის ნახევარი ცხიმთან ერთად, ზემოდან დავაწყოთ დაჭრილი ორაგულის ნაჭრები, დავაყაროთ მარილი და დარჩენილი ნარევი. დავასხათ წყალი ისე, რომ მან ოდნავ დაფაროს ქვაბში მოთავსებული მასა. დავდგათ ცეცხლზე და მოვხარშოთ.

მომზადებული კერძი გადმოვიღოთ ლანგარზე, მოვასხათ ლიმონის წვენი. სუფრაზე შეგვიძლია მიუიტანოთ როგორც ცივი ასევე ცხელი.

### **გელაქნური წვენით\* \***

— მასალა: გელაქნური — 1 კგ; შინდის ჩურჩა — 1ჩ/ჭ; ხახვი — 2-3 თავი; დანაყილი ნიგოზი — 4 ს/კ.

მომზადება: გელაქნური მოვხარშოთ ჩვეულებრივი წესით. ცალკე ქვაბში ჩავასხათ 3-4 ჭიქა წყალი, დავუმატოთ შინდის ჩურჩა, დაჭრილი ხახვი, დანაყილი ნიგოზი და ვადულოთ. მოხარშული გელაქნური თეფშზე დავაწყოთ და ზედ დავასხათ გამზადებული სანებელი.

### **დოში საწებლით\* \***

— დოში წინა ღამით უნდა დავალბოთ, ხოლო მეორე დღეს სხვა წყალში მოვხარშოთ. წყალი ბოლომდე უნდა დაესხას და ისე მოიხარშოს. გავუკეთოთ ნიგვზის ან ძმრის საწებელი და მოხარშული თევზი შიგ ჩავაწყოთ.

### **ლოქო წვენით\* \***

— მასალა: ლოქო — 1 კგ; დაფნის ფოთოლი 2-3 ცალი, ქინძი 6-7 ძირი, პილპილი, ტყემლის ტყლაპი, მარილი გემოვნებით.

მომზადება: ლოქო გავასუფთაოთ, დავჭრათ ნაჭრებად, გავრცხოთ, ჩავაწყოთ ქვაბში, დავასხათ იმდენი წყალი, რომ თევზი დაიფაროს. დუღილის დროს მოვხადოთ ქაფი, ჩავყაროთ მარილი, დაფნის ფოთოლი, დაჭრილი ქინძი, დაჭრილი ტყემლის ტყლაპი, პილპილი და ვადულოთ. როდესაც თევზი მოიხარშება და წვენი შესქელდება, ცეცხლიდან გადმოვდგათ.

### **მოხარშული ლოქო ქინძმარში\* \***

— მასალა: ლოქო — 500 გრ; ქინძი 9-10 ლერი; ძმარი — ნახევარი ჭიქა; 1/2 ან 3/4 ლოქოს ნახარში; მარილი გემოვნებით.

მომზადება: გასუფთავებული, გარეცხილი და საშუალო ზომებად დაჭრილი ლოქო მოვხარშოთ ადუღებულ მარილნარევ წყალში. მოხარშული თევზი ამოვილოთ ქვაბიდან, დავაწყოთ

სუფთა ხის დაფაზე, ზემოდან მოვაპკუროთ ცივი წყალი და გავა-  
ციოთ. გაცივებული ლოქო დავაწყოთ ლანგარზე და მოვრთოთ  
ოხრახუშით.

წვრილად დაჭრილი ქინძი ავურიოთ ძმარში და ლოქოს ნახ-  
არში, ვუქნათ მარილი და დავასხათ თევზს სუფრასთან მიტანის  
წინ. ქინძმარი შეიძლება ცალკეც მივიტანოთ სუფრაზე.

### **კალმახი ბოსტნეულით\* \***

— მასალა: 4 ც. საშუალო ზომის კალმახი; 1 ც. წითელი ბულ-  
გარული წინაკა; 1 თავი ხახვი; 2 ც. პომიდორი, ზეითუნის ან სიმ-  
ინდის ზეთი ან ერბო; მარილი, პილპილი გემოვნებით.

მომზადება: თევზი კარგად გარეცხეთ, გამოშიგნეთ,  
მოაყარეთ მარილი და პილპილი შიგნიდან და გარედან. ბულგა-  
რულ წინაკას მოვაშოროთ ყუნწი და თესლები. ხახვი და პომი-  
დორი დაჭერით თხელ რგოლბად. კალმახი სათითაოდ გამოტე-  
ნეთ ბოსტნეულით. დააწყვეთ ტაფაზე. სუფრასთან მიიტანეთ  
ლიმონის ნაჭრებთან ერთად.

## ტექსტში თანხმობის ტერმინების გამოარტება

**ბენთოსი** — წყალსატევის ფსკერზე ბინადარი ორგანიზმები  
**გამსვლელი თევზი** — გასამრავლებლად ან საკვებად ზღვი-  
დან მდინარეში, ან მდინარიდან ზღვაში გამავალი თევზი.

**გვერდის ხაზი** — წყლის ზოგიერთი ცხოველისათვის, მათ  
შორის თევზისათვის დამახასიათებელი ორგანო, რითაც აღიქ-  
ვამს წყლის მოძრაობას.

**დეტრიტი** — მკვდარი ორგანიზმების ნარჩენები წყალსატ-  
ევის ფსკერზე.

**დოში** — ზუთხის, ორაგულის, ლოქოსა და სხვა თევზთა  
შაშხად, ლორად გამოყვანილი გვერდი.

**ენდემური** — მხოლოდ გარკვეული ადგილისათვის, მხარი-  
სათვის დამახასიათებელი ცხოველი ან მცენარე.

**ეპითელური ბორცვაკები** — გამრავლების დროს კანზე,  
უმეტესად თავზე წარმოქმნილი ბორცვაკები რაც შემდეგ ქრება.

**ზოობენთოსი** — ცხოველური ბენთოსი (იხ. ბენთოსი)

**ზოოპლაქტონი** — ცხოველური პლაქტონი (იხ. პლაქტონი)

**ლარვა** — ცხოველის ჩანასახოვანი განვითარების მომდევ-  
ნო სტადია, რომელიც ხასიათდება ისეთი ორგანოებით, რომლე-  
ბიც დასრულებულ ცხოველს არ გააჩნია. ცხოველში ეს სტადია  
გრძელდება ლიფსიტის განვითარებამდე.

**ჰავადოკი** — არის სათევზაო მოწყობილობის ის ნაწილი,  
რომელიც მოთავსებულია ძირითად ძუასა და ანკესს შორის.  
ყოველთვის ძირითად ძუაზე წვრილი უნდა იყოს ერთი ან ორი  
საფეხურით. მისი სისქე დამოკიდებულია თევზის სიდიდეზე, ის-  
ევე როგორც ძირითადი ძუა.

**პელაგური თევზი** — პელაგიაში ბინადარი თევზი.

**პლაქტონი** — წყლის სისქეში ბინადარი უმეტესად მცირე  
ზომის ორგანიზმი, რომელთა გადანაცვლება ხდება პასიურად  
წყლის დინებით. პლაქტონში ცხოველური ორგანიზმები შეად-  
გენენ ზოოპლაქტინს, მცენარეული ორგანიზმები — ფოტო-  
პლაქტინს.

**რეოფილური** — ჩერარი წყლის დინების მოყვარული.

**სქესობრივი დემორფიზმი** — განსხვავება დედალ-მამალს შორის ზოგიერთი გარეგანი ნიშნით (მაგალითად, სიდიდით, ფერით და სხვა.)

**ტოფობა** — თევზის მიერ ქვირითისა და სპერმის (თესლის) დაყრის პროცესი.

**ყვითრის პარკი** — ლარვის მუცელზე მიკრული პარკი ნარჩენი ყვითრით.

გარეკანის პირველ გვერდზე: „ჟამურის ხეობა“,

მებადური მორგენი გაროზაშვილი

ავტორის ფოტოები

კომპიუტერული უზრუნველყოფა: თამარ ქიტუაშვილი

ტირაჟი 200

თბილისი

2011

სამეცნიერო, გთივა, განვითარების  
აკადემია

ფასი 7 ლარი

ISBN 978-9941-0-3332-2

9 789941 033322